


619
1989

420



ISSN 0130-1624

ბრძოლა

თბილისი
№ 7 1989



თბილისი
1989 წელი
26 მაისი



სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა

პირველი შრილობა

№7 ივლისი. (391), 1989

შურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-კოლტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო შურნალი

ნოემერი:

ოთარ ქინქლაძე. დეპუტატის მანდატი.

გრიგოლ რუხია. ცხენისწყლის პირას.

კომიტური იაღბარი.

აკოლონ შორდანი. საით წავიდა მამა (მოთხრობა).

ა. კორტნოვი. იყო თუ არა სტალინი „პარანოიკი“?

გურამ თაქთაქიშვილი. ფუტკრის ნობათი.

გიორგი გრიგოლია. მანდილოსანი.

ბარლო კობახიძე. ნიში (მოთხრობა).

ივანე შაიშვილი. კოდალოდან კოდალომდე.

მაია ფურცველაძე. და მუსიკა ასე უორი...

ელგუჯა ბერიშვილი. „ცალხელა“ ფალავანი.

ჩინური კირქვი.

საპარტოველოს კვ ცვ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბულნარა ხახტაძე (პ/მ. მღვიანე), ოთარ ბერიშვილი ვასილ ვახტაძე, ნათელა გიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ვახტანგია, ჯამალ მხერვილი, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

25 მაისს, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი:

- 1) ყრილობის სამანდატო კომისიის არჩევა;
- 2) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;
- 3) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევა;
- 4) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;
- 5) სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.
- 6) სსრ კავშირის მთავრობის მომავალი საქმიანობის პროგრამა;
- 7) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება;
- 8) სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა;
- 9) სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დამტკიცება;
- 10) სხვადასხვა.

ყრილობამ ფარული კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მ. ს. გორბაჩოვი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — ა. ი. ლუკიანოვი.

მოსხენებით „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი“ გამოვლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

ახალი კონსტიტუციის შემუშავების გამო შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა ნ. ი. რიჟკოვი.

სათანადო პროცედურის დაცვით დამტკიცებული იქნენ:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ — ე. ა. სმოლენცევი.

სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრად — ი. გ. მატვევი.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ გ. ვ. კოლბინი.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად — ა. ი. სუხარევი.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოდან წარგზავნილი დეპუტატები: თ. ვ. გამყრელიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ი. ნ. როდიონოვი, ე. ნ. შენგელაია, შ. ა. ამონაშვილი, გ. გ. გუმბარაძე.

ყრილობის განსახილველად გამოტანილ იქნა 1989 წ. 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებული გარემოებების საგამომძიებლო კომისიის შექმნის საკითხი და დამტკიცდა კომისიის შემადგენლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. მ. პრიმაკოვი, ხოლო ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ რ. ნ. ნიშანოვი.

ყრილობის დახურვისას მ. ს. გორბაჩოვმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს იმ უდიდესი წვლილისათვის, რომელიც მათ შეიტანეს ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში. აღინიშნა, რომ პირველად ამ ყრილობაზე იქნა გააზრებული იმ ამოცანათა სიდიადე, მნიშვნელობა, მასშტაბურობა, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ პოლიტიკური რეფორმის მომდევნო ეტაპზე, საბჭოთა ხელისუფლების ახალმა ორგანოებმა, ახალი მიდგომით, გულახდილობის, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში.

ყრილობაზე მიიღეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წერილი მსოფლიო ხალხებისადმი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. იესუბ.
გ. კლ. თეატ



გამოვიტყდებით, რომ ასერიგად მიჯაჭვული ტელევიზორთან არასოდეს ვყოფილვარ. მაშინაც კი, როცა მსოფლიოში გახმაურებულ მრავალსერიან კინოფილმებს აჩვენებდნენ. არც სხვა დროს. არც არასოდეს ყოფილა იმის შესაძლებლობა, რომ მრავალმილიონიანი აუდიტორია ასეთი დიდი ფორუმის თუნდაც პასიური მონაწილე ყოფილიყო. ხოლო, ასეთი შესაძლებლობა კიდევ რომ გვექონოდა, განა ვინ მოუხმენდა ადრინდელი შტატაინი ორატორების მოსაწყენ გამოსვლებს?

არა.
ეს სრულიად ახალი და საცხებით უჩვეულო რამ იყო.
ეს იყო სწორედ ის, რაც ჭერ-ჭერობით რეალურად მოგვიტანა გარდაქმნამ, საჯაროობამ, დემოკრატიზაციამ.

რაც მართალია, მართალია.
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა და გულახდილად გეტყვით, რომ ამ სტრუქტურებს მე ნამდვილად ღრმა შთაბეჭდილებით ნაკარნახევი გრძობით ვწერ.

იმიტომ კი არა, რომ ყრილობამ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ისეთი საკანონმდებლო აქტები მიიღო, რომლებიც რადიკალურად და უკეთესობისაკენ, ამასთან დაუყოვნებლივ და ახლავ, თუნდაც ზვალისაგან უცვლელი ჩვენს ყოფას, ცხოვრებას და განვითარების ახალ, აქამდე გაუკვალავ გზაზე გავიყვანენ. არამედ იმიტომ, რომ ჩავლილმა საყრილობო დღეებმა ერთხელ კიდევ დამანახა და საბოლოოდ დამარწმუნა ძველებურად ცხოვრების უვარგისობაში და იმაშიც, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება არამც თუ უხერხულია, არამედ სამარცხვინოც.

ასეა ეს.
მაგრამ მე ვერ ვიხილე მთავარი. კერძოდ ის, თუ მაინც როგორ და რა გზით აპირებენ სასურველი ცხოვრების მოწყობას ერთ კავშირში გაერთიანებული ხალხები მათ მიერვე არჩეული დეპუტატების იმედითა და რწმენით.

აი, რა არის საკითხავი, საფიქრალი და საზრუნავი.
იმას კი ვაბეზღვალ ვიტყვი, რომ წინ მაინც დიდი ნაბიჯია გადადგმული, რომ უკან დარჩა პასიური მორჩილების სამარცხვინო ტრადიცია და, რომ ეს შესანიშნავი გამარჯვება, გარდაქმნის ასეთივე შესანიშნავი მონაპოვარია.

ამიტომ ვარ და ვრჩები კიდევ მე იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომ სახალხო დეპუტატთა ეს ყრილობა უთუოდ არის და დარჩება გულახდილი, ვაბეზღვლი აზრის აქამდე არნახული დემონსტრაცია, რასაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ახლდა თან ყველა დეპუტატის საჭირო პოლიტიკური კულტურა, ინტელექტი და კომპეტენტურობა.

ახლა და დღევანდელ პირობებში კი სახალხო დეპუტატის მანდატი კიდევ ბევრ ისეთ სხვა პიროვნულ თვისებას მოითხოვს, რომელთა გარეშე გარდაქმნის ეპოქის დეპუტატის მანდატი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ გარდაქმნელ ფუნქციას.

დეპუტატი ანუ წარგზავნილი, არჩეული წარმომადგენელი, საკანონმდებლო ან საწარმომადგენლო ორგანოს წევრი.

მანდატი კი მინდობილობას ნიშნავს, რწმუნებულობას, ესე იგი ვისიმე რწმუნებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პირველად ჩემს ცხოვრებაში, მე სწორედ მაშინ, ყრილობის მუშაობის დღეებში, ვიხილე დეპუტატის მანდატი თავის აქამდე უჩვეულო როლში და პირველად ვირწმუნე მისი შეუვალი ძალა.

ამ პირდაპირი და ალბათ ამიტომაც ესოდენ შთაბეჭდავი გადმოცემის დროს, მე მომეჩვენა, რომ დეპუტატის მანდატი, როცა იგი ზეამართული უარისმთქმელი ხელების ტყეში აღმოჩნდებოდა ხოლმე, ამ ტყის პირისპირ მსხდომი ყრილობის პრეზიდენტი, მისი თავმჯდომარე და თვით ქვეყნის პირველი ხელმძღვანელიც კი გრძობდა, რომ მასთან ხუმრობა არ ღირს, არც გავა და რომ დეპუტატის მანდატი ფრიად ანგარიშგასაწევი რეალური ძალა გახდა. ყრილობის მსვლელობის რომელიღაც კრიტიკული თუ კრიზისული სიტუაციის მომენტში მეც მომეჩვენა, რომ დეპუტატის მანდატის წინაშე ისინი შეცდებიან თუ შედრკენ და უკანაც კი დაიხიეს.

კარგია ეს.
ადრე მსგავსი რამ არ მომხდარა.
მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში დემოკრატია ზემოდა.

მე იმას ვერ ვიტყვი, რომ დიდად მასიამოვნა დემოკრატიის ზეიმის ყველა მონაწილემ. ვერც იმას, რომ თითოეული მათგანი ღირსეულად მოიქცა და მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მართალია, საარჩევნო კომპანიის მსვლელობის დროს ყველამ მივიღეთ უნიკალური პოლიტიკური გამოცდილება, მაგრამ ისიც მართალი უნდა იყოს, რომ დეპუტატის მანდატი ზოგიერთმა თავგამოდებული კრიტიკითა და უფროსობის ლანძღვითაც კი მოიპოვა. რას იზამ. ასეც ხდება ხოლმე და მე, მაგალითად, ვერ დაგიდასტურებთ, თითქოს დიდად ვიყო აღფრთოვანებული ახლადარჩეულ სახალხო დეპუტატთა მთელი კორპუსის ხილვითა და მოსმენით.

საარჩევნო კომპანია საქართველოს რესპუბლიკურ პარლამენტში ჩვენი მოგველის და ამიტომ უფრო მაწუხებს ეს საკითხი. მით უფრო ესლა, როცა გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის, ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის განახლების ქეშმარიტად პროგრესულმა პროცესმა განაპირობა პოლიტიკური ცხოვრების მძლავრი აზვირთება.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა მე აღვიქვი, როგორც ათეული წლების მანძილზე დამკვიდრებული პროცედურული სტანდარტიზაციის კატეგორიული უარყოფის ენერგიული ცდა და იმის დასტური, რომ მიმდინარეობს შახლონური სტანდარტებით დადგმული სპექტაკლების რღვევის შეუქცევადი პროცესი.

ეს არ არის პატარა საქმე.

აბა, ვინ გამოუშვებდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ტრიბუნაზე კაცს ისე, რომ იგი წინასწარ არ გაეფრთხილებინათ, წინასწარ არ შეემოწმებინათ და არ ჩაესწორებინათ კიდევ მისი გამოსვლის ტექსტი და მას არ სცოდნოდა როდის, ან ვის შემდეგ გამოვა. ახლა კი ყრილობის გახსნისთანავე უცნაური და მოულოდნელი რამ მოხდა. მოხდა ის, რასაც არც ველოდი და რამაც გული სიამაყით, მადლიერებითა და თანადგომის კაცური გრძობით ამივსო. მე დავინახე როგორი ენერგიული ნაბიჯით გაემართა ტრიბუნისაკენ ჭაღარა წვერულვაშიანი ბრვე მამაკაცი და ის იყო გავიფიქრე, ნეტავი რა უნდა თქვასო, მან მთელი დარბაზი ფეხზე წამოაყენა, რათა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას პატივი ეცა თბილისში დაღუპულთა ხსოვნისათვის, ხოლო შემდეგ კი მოითხოვა, რომ ყრილობაზევე დაესახელებინათ იმათი გვარები, ვინც 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია. მადლობელი ვარ.

ადრე, თუნდაც 1956 წელს ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. არც მომხდარა.

ახლა სხვა დროა.

ახლა დეპუტატის მანდატს სხვა ძალა აქვს.

ახლა ისეთი დრო დადგა, როცა სახალხო დეპუტატები ქვეყნის მეთაურის მაღალ პოსტზე ასარჩევ პირს წინასწარ ეტყვიან, რომ დასახელებული კანდიდატების მხარდაჭერას ღდეს პირობითი ხასიათი აქვსო, რადგან მას ვუკავშირებთ ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე დისკუსიის მიმდინარეობას და მის რეაქციას იმაზე, თუ რის მოსმენა მოუწევს ამ დროს. მოსასმენი კი, მაგალითად, ასეთი შეკითხვებიც იყო: ერების თვითგამორკვევისა და რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვის რა იურიდიული და პოლიტიკური გარანტიებია აუცილებელი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში; შეერთება თუ არა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებას არმიის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებისათვის; ჩვენს ყველანი ძალიან განვიცდით თბილისის ტრაგედიას და ამასთან დაკავშირებით: როგორ ეკიდებით თქვენ, მიხეილ სერგის-ძევ, მოთხოვნას გაუქმდეს საგანგებო დანიშნულების ჯარები დემოკრატიულ სახელმწიფოში; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს რომელმა წევრმა იცოდა წინასწარ თბილისში ჯარების გამოყენების განზრახვა და ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, პირადად თქვენ როდის გაიგეთ მის შესახებ; რას იტყვით იმ ლაპარაკზე, რომელიც მიმდინარეობს ყირიმში აგარაკის მშენებლობის გამო. რატომ არის, თქვენს მიერ ხელმოწერილი ზოგიერთი გადაწყვეტილება ხალხმა არ იცის და ა. შ.
ძნელი და არც თუ მაინცდა მაინც სასიამოვნო კითხვებია.



მაგრამ, ახლა მართლაც და სხვა დრო დადგა.

ჩვენ არა ვართო შეჩვეული კითხვები დაუვსვით კაცს, ითქვა ყრილობაზე, რომელიც ხელ ჩვენი პრეზიდენტი იქნება, მაგრამ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ დღეს საწყენი კითხვების დროა და არა მათ გამორჩენისა.

ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საკმაოდ კატეგორიული ტონით ნათქვამი მტკიცებებიც კი გაისმა იმის თაობაზე, რომ ჩვენ არა გვაქვს გარდაქმნის ნათელი კონცეფცია და არა გვაქვს არც მმართველი პარტიის კონცეფცია.

და ასეთი განწყობა, გულახდილი და მოურიდებელი სჯაბაასი, გაბედული თქმა და საერთოდ უჩვეულო ვითარება, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნორმა ხდება.

ყოველივე ამის შემყურესა და გამგონს, მე ახლა ის მაფიქრებს, თუ როგორ წაიყვანთ ჩვენ აქ, ჩვენს სახლში საქმეს.

ვის ავირჩევთ რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ვიქნებით თუ არა ბოლომდე პრინციპულები, შევძლებთ თუ არა გონივრული და ამასთან გაბედული კითხვების დასმას, სწორი და ობიექტური, ერისა და სამშობლოსათვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას.

მე ისიც მაფიქრებს, არიან ან იქნებიან თუ არა მზად რესპუბლიკის ამჟამინდელი და მომავალი პირველი, აგრეთვე დარგობრივი ხელმძღვანელები უბასუხონ, როგორც ამას ყრილობაზე ჰქონდა ადგილი, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს. ესე იგი ამომწურავი პასუხი გასცენ ყველა კონკრეტულად დასმულ კითხვას და იყვნენ ბოლომდე გულახდილები. ამისათვისაც უნდა ვემზადოთ მგონია მე და არ არის ეს ისეთი უბრალო საქმე, როგორც ვისმეს შეიძლება მოეჩვენოს.

მ. ს. გორბაჩოვმა აღიარა, რომ რაც ახლა ამ დარბაზში ხდება, ჩვენი ყველასთვის უჩვეულოაო. და ისიც, რომ ჩვენ ბევრი შეცდომა გვაქვსო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ დემოკრატია და ყველანი ვსწავლობთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვაყალიბებთ პოლიტიკურ კულტურას და ჯერ კიდევ ვითვისებთ დემოკრატის ყველა მექანიზმსო.

მე მიმაჩნია, რომ ამ ყრილობამ ძალზე დიდი პოლიტიკური გამოცდილება შეგვძინა და მისი გამოყენება ყველას გვმართებს, დიდსა და პატარასაც. ყველას, ვინც ქართველი ერის ხვალისდელი დღისათვის ზრუნავს. საქმიანად ზრუნავს და სიტყვითაც, რეალურად ზრუნავს და რეალურად ცდილობს, გარდაქმნის მიმდინარე პროცესი გონივრულად გამოიყენოს ჩვენი ეროვნული და ეკონომიკური, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის.

მაგრამ, წინააღმდეგობა მაინც დიდია.

რატომ?

იმიტომ რომ, ათწლეულობით ჩამოყალიბებული ჩვენი სტრუქტურა წინააღმდეგობას გვიწევს, წინააღმდეგობას გვიწევს თვით სისტემა და მ. ს. გორბაჩოვი დასძენს — ჩვენ გვესმის: უნდა შევცვალოთ, წინ უნდა ვიაროთ, სისტემა კი ამის საშუალებას არ გვაძლევს.

მართალია ეს.

და იმიტომაც აუცილებელი გარდაქმნის დამუხრუჭების მექანიზმის უფრო გაბედული დემონტაჟი.

მე მგონი ასეთი დემონტაჟი ოდნავ დაგვიანებულიც კია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ამის თაობაზეც ითქვა ყრილობაზე.

გაბედულადაც ითქვა.

სახალხო დეპუტატის მანდატი ძალას იკრებს. ასეთი ძალისა და უფლებამოსილების მქონე მანდატი ბევრ ვისმეს ააფორიაქებს კიდევ და სიმშვიდესაც დაურღვევს, მაგრამ ეს არ არის დასანანი. დასანანი ის არის, როცა დეპუტატის მანდატი სიკეთესა და სამართლიანობას არ ემსახურება. სამწუხაროა, მაგრამ ასეც შეიძლება მოხდეს. და მოხდა კიდევ, როცა სახალხო დეპუტატებმა ხმების უმრავლესობით უარყვეს წინადადება ყრილობის მუშაობის დროს სსრ კავშირში კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ ბრძანებულების მოქმედების შეჩერების თაობაზე. სხვაც იყო დასანანი.

ჩვენში მაინც დიდია აკრძალვის მანია. ჯერ კიდევ დიდია, მაგრამ მე მაინც შემზარა სახალხო დეპუტატთა უმრავლესობის მიერ თავიანთ პირველსავე ყრილობაზე განხორციელებულმა ამ არც თუ მაინცდამაინც ჰუმანურმა აქტმა.

ამიტომაც ვამბობ, რომ საგრძნობლად გაიზარდა და უკვე დიდია დეპუტატის მანდატის როლი, ადგილი და მნიშვნელობა ჩვენს რეალურ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდია მისი დადებითი როლი, ადგილი და მნიშვნელობა, მაგრამ დიდია და, სამწუხაროდ, საშიშიც მისი აგრეთვე უარყოფითი, ნეგატიური მნიშვნელობაც, რასაც უთუოდ საჭიროა ყვე-

ლამ გავუწიოთ ანგარიში და რაც ყველას სიფრთხილისა და სიფხიზლისაგან მოგვიწოდებს.

საყოველთაო სახალხო კონტროლის მომთხოვნი ხელი ყველას უნდა გავწედეს და, უწინარეს ყოვლისა, დეპუტატის მანდატის მფლობელს.

ამ და შსგავს მტკივნეულ საკითხებზე როცა ვფიქრობ, მინდა ვუთხრა ჩვენს ამომრჩევლებს, რომ, ეს მათი არა მარტო უფლებაა, არამედ უპირველესი მოვალეობაც, რამეთუ ჩვენი ხვალისდელი დღე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ინტელექტუალური დონისა და კომპეტენტურობის დეპუტატთა კორპუსი აღმოჩნდება საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

მე ახლა ამაზე და ასე ადრე შემთხვევით არ დაფიქრებულვარ. თუნდაც იმიტომ, რომ ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თუ როგორ მოვაწყობთ წინასაარჩევნო კომპანიას, ჩავატარებთ არჩევნებს და ვის ავირჩევთ რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში.

საქმე ის არის, რომ ნამეტანი ბევრს და ხმამაღლა გავიძახით რეალური სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის თაობაზე, მაგრამ ცოტა არ იყოს მოვიკოჭლებთ პოლიტიკაშიც და დიპლომატიაშიც. ასეთი რამ აზრი ამეკვიტა, ყრილობაზე გამოსულ ორატორებს როცა ვუსმენდი და ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ რა შეიძლება ამ საქმეს ეშველოს.

გაუჩეილს გატეხილი სჯობია და ვიტყვი, რომ მომქმედი კანონმდებლობის დახვეწისა და სუვერენული უფლებების მოპოვებისათვის კონსტიტუციური გზით ბრძოლის შესაშური მაგალითი ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის მართლაც ღირსეულმა წარგზავნილებმა — სახალხო დეპუტატებმა მაჩვენეს. მე მათ პარლამენტურ კულტურას მაზიარეს თავიანთი დინჯი და გონივრულად გამიზნული გამოსვლებით, ქცევით, მოქმედებით და იმის ცოდნით, რასაც სახელმწიფო და სამართალი ჰქვია.

პირადად ჩემთვის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ეს პირველი ყრილობა მართლაც იყო პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფის, მისი დახვეწისა და გათავისების დიდი სკოლა. სახელმწიფო და სამართალი განყენებული თეორიიდან, როგორადაც იგი აქამდე მეჩვენებოდა, იგი ყოველდღიური პრაქტიკის საქმედ გადაიქცა და ეს რეალური სინამდვილე ანგარიშის სერიოზულ გაწევას მოითხოვს.

ანგარიშის გაწევაში კი მე, უწინარეს ყოვლისა, კარგად გააზრებულ და მიზანმიმართულ პრაქტიკულ მოქმედებას ვხედავ. ისეთ მოქმედებას, რომელმაც შედეგი უნდა მომცეს და რომელიც მიზანსწრაფული, დღის წესრიგში მდგარი მომწიფებული, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში დამეხმარება.

პრობლემები ბევრია.

სიმრავლემ დაბნევა იცის. დაბნეულობას შეცდომები ახლავს. შეცდომებს მთავარის დაუნახაობა და წვრილმანების გამოკიდება.

საქმე ის არის, შევძლებთ კია წამოჭრილი პრობლემების დალაგებას აქტუალობისა და მნიშვნელობის მიხედვით ისე რომ, ყველაფერს ერთდროულად არ მოვედოთ, ყველაფრის ერთდროულად, ერთი ხელის მოსმით მოგვარება არ მოვინდომოთ და მთავარი, არსებითი გამოვყოთ, გამოვკვეთოთ, წინ წამოვწიოთ.

ყოველთვის არ გვეხერხება რალაც ამდაგვარი საქმეების რიგიანი კეთება და ვკარგავთ პოზიციებს, ვშორდებით დასახულ მიზანს.

ვერა და ვერ მოვებით თავი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ისეთი ეროვნული მოდელის დამუშავებას, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალი სტრუქტურის მეშვეობით უზრუნველყოფს რეალური და მთლიანი სამეურნეო ანგარიშის განხორციელებას. ამ საქმეს კი მაღალი კვალიფიკაციის გონიერი ეკონომისტები ესაჭიროება.

სად და როგორ ვამზადებთ მათ?

სად და როგორ ვიყენებთ მათ?

სად და რას აკეთებენ ისინი?

და, რაც მთავარია, სად და რა პროდუქციას ამზადებენ ჩვენი კვებისა და მსუბუქი ან თუნდაც ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. ვის და რა შეიძლება მივიძლოთ და ვინ ან რას იყიდის ჩვენგან და ვისგან რა შეიძლება ვიყიდოთ ან გვექნება კია რაიმის ყიდვის შეძლება?

მე მეჩვენება, რომ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას, ჩვენ ცოტა არ იყოს გაუბრალოებული პოზიციებიდან ვუყურებთ და მიგვაჩნია, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

არ მოგვარდება.

ისევე, როგორც თავისთავად არც რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მომავალი არჩევნები ჩატარდება. არც თუ ისე უმნიშვნელოა, თუ როგორ განაწილდება და ვის ხელში აღმოჩნდება დეპუტატის მანდატი. ეს უკვე პოლიტიკის საკითხია და ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკის ვერ მოწყვეტ პოლიტიკას და პირიქით. ეს პრობლემა ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომაც რომ, საქართველოს პარლამენტის მომავალი არჩევნები მე მიმაჩნია, როგორც რესპუბლიკის პოლიტიკური სუვერენიტეტის დამკვიდრების გზის რეალური დასაწყისი.

დასაწყისი კი ყოველთვის ბევრის მთქმელია — შემდგომი წარმატებისა და მოსალოდნელი წარუმატებლობისაც.

დეპუტატის მანდატი!
და მისი მოპოვებისათვის გაჩაღებული წინასაარჩევნო პოლიტიკური ბრძოლა.

პოლიტიკური ბრძოლის გემო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ სულ ახლახან ვიგრძენით. სულ ახლახან და ისიც ნაწილობრივ იმიტომ რომ, რაღაც ვისწავლეთ და ვგონებ ვერც კი ვსწავლობთ ისე, როგორც ეს საჭიროა.

დრო კი მიდის.

ოთხი წელი უკვე გავიდა.
1985 წლის გაზაფხულიდან ვითვლი, თორემ ისე, მოგახსენებთ, ბარე ოთხჯერ ოციცაა გასული.

და რა მერე.

წელიწადიცაა და წელიწადიც. ისიც ოთხი.

ილია:

— ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვებავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხი წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვემ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოვიხმარა.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ აქ, საკუთარ სახლში ეს ოთხი წელიწადი რიგიანად მოვიხმარეთ.

სხვებმა მოიხმარეს. ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკამ მოიხმარა. შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურადაც მოიხმარა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ვერ მოიხმარეს. ისინი შეიკრნენ და ფეხშეწყობილები მიაბიჯებენ. ჩვენ აქ ვერა.

ჩვენ, ქართველებს ბეწვის ხიდი ფეხთაქვემ ჩავვიწყდა.

ჩატეხილი ხიდი.

1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანი კვირა“.

ახლა რა ვქნათ და რა მოვიმოქმედოთ ამ ჩატეხილი ხიდის აღსადგენად.

რაღაც ვერ ვატყობ სასიკეთო რასმეს.

ჯერჯერობით ვერ ვატყობ.

დროა კია, რომ გამოვფხიზლდეთ და საქმეს ვეწიოთ.

ჩვენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასაც მოუმზადებელი შევხვდით.

გათაციცებით ვემზადებოდით და მაინც მოუმზადებელი შევხვდით.

საწყენი და დასანანია ეს, მაგრამ მაინც ჯიუტი ფაქტია.

ახლაც გულნაკლული ვიგონებ ჩვენს მიერ ყრილობის გამოუყენებულ შესაძლებლობებს მისი სამუშაო ორგანოების შემადგენლობაში საქართველოდან წარდგენილი დეპუტატის მანდატის მფლობელთა თვალსაზრისითაც.

თუნდაც ყრილობის პრეზიდიუმი. სომხეთიდან — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ასევე უკრაინიდანაც. ლიტვიდან — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ასევე უზბეკეთიდან, ყირგიზეთიდან — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ხოლო ლატვიიდან — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და ა. შ. ხოლო საქართველოდან — მეკრავი-მოტორისტი. და ასევე ყრილობის სამდივნოში, აგრეთვე სხვა სამუშაო ორგანოებში, რომელთა შემადგენლობაში არჩეულ დეპუტატებს გარკვეული სადეპუტატო ფუნქციები ჰქონდათ დაეკისრებულნი. ჩვენ წარმომადგენლობის ისევე ძველი სქემა ვარჩიეთ და ახალი ვითარება, სადაც დეპუტატის მანდატი განსხვავებული უფლებებით სარგებლობს, ვერა და ვერ გავითვალისწინეთ.

ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. იმისდამხედავით, ვის რა შეუძლია, ვის რისი უნარი აქვს და სად უფროა მავანის და მავანის გამოყენება მიზანშეწონილი.

ახლა აღარავის გვეუკვება, რომ სუვერენული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის მაღალი კვალიფიკაციის გონიერი იურისტებია საჭირო.

სად და როგორ ვამზადებთ მათ?

სად და როგორ ვიყენებთ მათ?

სად და რას აკეთებენ ისინი?

მოსამზადებელია კანონი არჩევნების შესახებ?

რა ვქნათ?

გადავწეროთ ამჟამინდელი, მაგრამ არასრულყოფილი, რომელიც უკვე დაიწუნეს, თუ ჩვენ თვითონ მოვიკიდოთ ხელი მის მომზადებას.

დამოუკიდებლობა გვინდაო ვამბობთ, მაგრამ დამოუკიდებლობადაც ხომ უნდა შეგვეძლოს რაიმეს გაკეთება.

სადეპუტატო არჩევნების პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჩავლილმა ყრილობამ ბევრი სხვა საფიქრალიც დაგვიტოვა.

არ ყოფილა, მაგალითად, პროცედურული საკითხები უბრალო ფორმალთა. ისეთი, ჩვენ რომ გვეგონა. არც ის, პარლამენტის როგორი სტრუქტურა უფრო გამართლებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ისიც, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მომზადება ფრიალ საჭირო და საშური საქმეა. ამ, ასეთ და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო, აგრეთვე პროცედურული საკითხების გამო ყრილობაზე უკვე გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, მათ შორის ბევრი საინტერესო და საგულისხმოც. ვეცნობით და ვსწავლობთ კია ჩვენ მათ? თუნდაც მომავალი იურისტები, ჩვენი სტუდენტობა. დაფიქრება გვმართებს ყოველივე ამის გამო, ხოლო ფიქრი საკუთარი გზების, ფორმების, სტრუქტურების ძიებასაც გულისხმობს. და ვიფიქროთ ჩვენც იმაზე, თუ როგორ და რა გზით ვიაროთ მომავალში.

სად მოვუყაროთ თავი ყოველივე ამას?

ვინ ჩაუდგება სათავეში ამ შრომატევად სამუშაოს?

არის თუ არა მზად ამისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატი ან რა უნდა მოვიმოქმედოთ საიმისოდ, რომ მოვაშადოთ იგი ამისათვის.

სხვაც ბევრია გასათვალისწინებელი, მხედველობაში მისაღები, მოსამზადებელი.

ყველანი ვემზადოთ უნდა.

ცოტა არ იყოს, მიძნელებდა ამის თქმა, მაგრამ ბევრ დროსა და ენერჯიას ვხარჯავთ ფუჭად, უშედეგოდ. სასურველი უკუგების გარეშე. იმის გარეშე, რომ თუნდაც რაიმე კონკრეტულ საწადელს მივალწიოთ, განვიმტკიცოთ პოზიცია და კვლავ წინ ვიაროთ.

ვერა და ვერ მივალწიეთ ამ საწადელს.

ჩემმა თაობამ არ იცის, რა არის პოლიტიკური ბრძოლა. მით უფრო არ იცის ეს ახალგაზრდობამ, რომელიც ახლა აქტიურად ჩაება პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში. კარგია ეს და გვიხარია ყველას, მაგრამ პოლიტიკისათვის მარტოოცენ „ყიფინა“ როდია დამახასიათებელი. იქნებ იგი ყველაზე ნაკლებად გვეჭირდება დღეს ჩვენ და იქნებ პოლიტიკური ბრძოლის სწავლა ფორმები უფროა გამოსაყენებელი.

ასეთი და მსგავსი არც თუ ისე სტრატეგიული ხასიათის, არამედ უფრო მოქმედების ტაქტიკას რომ იტყვიან, აზრები ამეკვირათა, როცა ყურადღებით და ამასთან საკმაოდ კრიტიკულადც აღვიქვამდი ყოველივეს, რაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატ პირველ ყრილობაზე ხდებოდა და რაც უშუალო მიმართებაში აღმოჩნდა ჩვენი მომავალი სამოქმედო პროგრამის წიგნში. ჩასთან, მის დახვეწასა და სრულყოფასთან.

მთავარი დასკვნა კი, რომელიც გამოვიტანე ის არის, რომ ახლანდელ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში დეპუტატის მანდატი შეუდარებლად უფრო მეტის მთქმელია, გამკეთებელიც და ამიტომ საჭიროებს ძველისაგან განსხვავებულ დაფასებას, ფხიზელ დამოკიდებულებას და შედეგიან გამოყენებას.

მე ის მინდა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, ნამდვილად დემოკრატიული გზით არჩეული თითოეული დეპუტატის მანდატი ჩვენი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, განახლებისა და გაჯანსაღების ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდეს.

სიტყვითაც და საქმითაც.

და ემსახურებოდეს ნოყიერ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მაღალი ზნეობის, კომპეტენტურობის და პასუხისმგებლობის გრძნობის რეალურად გამოვლენის ჯანსაღი პოზიციებიდან.



სიხანის ხელოს პირას

ბათუმიდან ხელომდე გზა მოასფალტებულია და ავტომანქანებიც თავდაჯერებულად მიქრი-მოქრიან. გზატკეცილი აჭარისწყლის ხეობას მიუყვება, ხოლო თავად მდინარის ენერგიული და მკვირცხლი ზვირთები ლურჯ-თეთრად ციმციმებენ ღრუბლებიდან დასხლეტილი მზის სხივებით გათამამებულნი.

ვზივარ ბათუმ-ხელოს სარეისო ავტობუსში და ვათვალდებულებ ავტოსადგურში შექცენილ წიგნს „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“.

ერთგან წერია:
„აჭარა ჯერ კიდევ ინარჩუნებს გამრავლების მაღალ ტემპს. 1970-1980 წ. წ. აქ მოსახლეობა გაიზარდა 15,8%-ით. მაშინ, როცა ამავე პერიოდის საკავშირო მაჩვენებელი შეადგენს 9,4%, ხოლო უშუალოდ საქართველოსი — 7,6%. ამის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამ შეადგინა 362,6 ათასი სული, რომელთაგან ქალაქად ცხოვრობს 45,3%, ხოლო სოფლად — 54,7.“

სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდის პირობებში შეინიშნება შრომითი რესურსების (შრომითი რესურსები, არსებითად, მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს ან სულიერ ღირებულებას) სიჭარბე აჭარაში. ეს იწვევს გარკვეულ სიძნელეებს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით.

გავიარეთ ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიონები. გაცივებული შევცქეროდი აჭარისწყლის იქით-აქეთ გორებს, რომელთა კორტონებზე მერცხლის ბუდეებით იყო სახლები შეფენილი... ერთი მტკაველა მიწაც ვერ ვნახე მოცდენილი — ან სიმინდი ეთესა, ან თამბაქო, ანდა ბოსტნეულის სავარგულები მოეწყობა.

...მკათათვეში, მშობლიურ სოფელ პატარა ფოთში (ხობის რაიონი) ჩამოსულს მაუწყეს მეზობლებმა, აგერ, რიონს გაღმა

რომ ციტრუსების მეურნეობაა, იმის ბოლოში სოფელს აშენებენო. გავიგე, რომ ხელოს რაიონიდან ჩამოსულან ადგილის მოსახლეობადად მომავალი მოახალშენენი, მოსწონებიათ მიდამო... პირველი მოსახლენი ამა წლის ბოლოს დამკვიდრდებიანო, დასძინეს თანასოფლელებმა.

ერთმა-ორმა ისიც მიჩნია, შენ ხელი მივიწვევდა, წადი, გავიგე, ვინ არიან, ბოლოს და ბოლოს, ხომ ჩვენ გვექნება ხშირი მომსვლა და ურთიერთობა იმათთან, ხომ უნდა ვიცოდეთ მათი ინტერესები და ხასიათ-თვისებები, გაეძრაზე და შენი აზრი გვითხარო.

აი, უკვე ხელოს რაიონში ვარ. რაიონში და რაიონული ვაზეთის რედაქციაში ვერავენ ვნახე და მივაშურე ძველ ნაცნობს, სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მურმან თავართქილაძეს. მშვენიერი საღამოა. ერთი ნაბიჯი და მზეც ბინდიან გორებს მიეფარება. ჩემს ყურადღებას იპყრობს ლამის კილომეტრი სიგრძის საბაგირო გზა, რომელიც ხელოსა და სოფელ თავოს შორისაა გაბმული.

— ჯერ არ გამივლია ამ გზით, არც ვაპირებ, — იცინის მურმანი, — მხოლოდ თავოელები თუ დადიან.

— კი მაგრამ, ადრე როგორ დადიოდნენ თავოელები? — ვეკითხები ჩემს მასპინძელს.

— ქვეითად. ორი-სამი საათი სჭირდებოდათ შინ აღწევამდის...

ეს საბაგირო გზა უნიკალურია. საყრდენები მხოლოდ თავსა და ბოლოში აქვს. ეშვება უფსკრულის თავზე ვაგონ-კუპე და მერე ზევითკენ მიცოცავს. ათ წუთში კაცი ვაღმაა.

მაღე ჩამოვამდებო ხოლმე მთაში. კარათის გორიდან ნიაგა დაუბერა, ხის წვეროკინები ძალუმად ააშრიალა. ცოტაც და არგინეთის გორზე ჯერ წვერი ამოყო, მერე მთელი ტანით ამოიძარა ლამის მნა-

თობი, თონიდან ახლახან ამოფრიალებული ქართული პურივით ელვარე.


— კარათის თხემზე, — მიაბობს მურმანი, — ჯაჭვია გამობმული. ძველების გამოცემით, იქ ორჩხომელ-გემები ება, როცა ზღვით იყო დაფარული ეს ტერიტორია... სხვები ამბობენ, ნოეს კიდობანი სწორედ კარათის გორის წვერზე გამოვიდაო...

დილაადრიან ჩვენი მანქანა ერთ-ერთი პირველი გავიდა ხელოდან სოფელ ხიხაძირის მიმართულებით — იქ, ვარდციხის ძირში, მერვედ უნდა გამართულიყო ამ ხეობის მკვიდრის, დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ტბელ აბუსერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერო დღესასწაული.

მილეთის ხალხი ირეოდა იმ მზიან დღეს ხიხანისწყლის პირას.

ვერც ჩემმა ძველმა მეგობარმა, ვერც სხვებმა ვერ ამიხსნეს ხელოში, თუ რომელი სოფლის მცხოვრებნი აპირებდნენ კოლხეთში დამკვიდრებას. ერთმა ივარაუდა, ალბათ, თხილვანელები იქნებიან, ამ ცოტა ხნის წინათ იქ მდინარე თხილვანისწყალი აღიღდა და გვარიანად დააზიანა სახლებიო.

— ოთხი-ხუთი წელია ხელოსა და შუახევის სოფლებიდან დაიძრა მოსახლეობა კრასნოდარის მხარეში, — მეუბნება 74 წლის ილია მიქელაძე, ადრე ხიხაძირის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი. — ასე, ასი კომლი იქნება, ალბათ... კარგად ცხოვრობენო, ამბობენ, ერთი დაძახებაა საჭირო, ყველანი ჩამოვლენ და სიამოვნებით იცხოვრობენ, ვთქვათ, დმანისის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში... მაგრამ არავენ ეძახის მათ და კიდევ მიემატება კრასნოდარის მხარეს ჩვენი ერი, აქედან დაძრული... თავად ხელავ, ჩემო ბიძია, ამ ვიწრო ხეობაში გოჯსაც ვერ იპოვი უპატრონოდ მიტოვებულს. მაინცდამაინც სტიქიამ უნდა გვაზარალოს, რომ წავიყვანონ აქედან?



— ცალი თვალის მოჭრუტვით მეკითხება ბატონი ილია, — თუ ის გინდათ, მტერმა დაუძახოს აქედან სხვა რესპუბლიკაში წასულებს, „ტურქსკიე აჩარცი“ სამოსახლოს ითხოვენო?

ხელი მოიხრდილა მოხუცმა, ცას ახვებდა და, ცოტაოდენი დაყოვნების შემდეგ, თქვა შუბლგახსნილმა:

— აღმოსავლეთის ქარი უბერავს, წვიმა არ იქნება მთელ დღეს, კარგია.

მერე ხელი ჩამომართვა და ღინჯად გააბიჯა სახელდახელოდ გამართული სცენისაკენ, სადაც მალე უნდა დაწყებულიყო ტბელობა.

შევიტყვე, რომ ფოთის ახლოს, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე საცხოვრებლად მიდიოდნენ თბილვანისა და კალოთას კოლმეურნეები, 20 კომლი თბილვანიდან და 6 კალოთადან.

ცნობილია, თუ რა ზარალი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას ზვავებმა და წყლის სტიქიამ. განსაკუთრებით სვანეთის მკვიდრნი დაზარალდნენ. რესპუბლიკის მთავრობამაც მიმართა ექსტრემალურ ღონისძიებას — ჩამოსახლა მთის მცხოვრებლები ქვემო ქართლში, ქართულ მიწა-წყალზე. ეს ისტორიული მოვლენა გახლავთ და ამის ნაყოფს შემდეგ და შემდეგ უფრო იგრძნობს დედასამშობლო.

მაგრამ ჭარბი მოსახლეობაა, სვანეთის დარად, აჭარაშიც. საჭიროა აქედანვე დავიჭიროთ თადარიგი და ჯავახეთში, სადაც თითო-ორი ქართველი თუ ჭაჭანებს, გადავიყვანოთ აჭარელთა ნაწილი. ჯავახეთის შესახებ შენიშნავს მეცნიერი აბელ სურგულაძე: „ისტორიული ავბედობის შედეგად ეს ნოყიერი და უაღრესად ბარაქიანი მხარე მნიშვნელოვნად გაუკაცრიელდა და ახლა იქ აჭარიდან მოსახლეობის ჩასახლება ორმაგად მომგებიანი იქნება. ამით აჭარაში შრომითი რესურსების სიჭარბე შეიზღუდება, სამცხე-ჯავახეთი კი კვლავ გაშენდება და ადამიანის სამეურნეო ინტერესების სამსახურში ჩაღვება. ოღონდ ჩასახლება მეტად გონივრულ საფუძველზე უნდა მოეწყოს. მთიანი აჭარის მოსახლეობას მესაქონლეობის მრავალსაუკუნოვანი, შესანიშნავი ტრადიციები გააჩნია და ამდენად, მათთვის საცხოვრებლად ჯავახეთის ზევანის გამოყოფა გაცილებით სარგებლიანი იქნება“.

გფიქრობთ, მეცნიერის ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს კოლხეთში აჭარელების ჩასახლების წინააღმდეგი იყოს ვინმე. დღეს ჯავახეთში მათი დამკვიდრება და იქ ქართული სოფლების ფერფლიდან აღდგენა-განახლება, ჩვენი ერის ისტორიის ამ ეტაპზე, უფრო შორსმჭვრეტელური იქნება.

აჭარელი ქართველების ჯავახეთში ჩასახლება არაა გადასადები საქმე.

— აი, რას წერდა „საბჭოთა აჭარა“ შარშან ივლისში:

— 23 და 25 ივლისს კვლავ წამოვიდა ღვარცოფი. ამ დროს მუდამ მშვიდი სანთლის წყარო, აქაფებულ მდინარედ იქცა. ღვარცოფს ვერაფერი უკავდებოდა. ბეჭირ მამულაძის სახლის პირველი სართული წყალმა და მიწამ აავსო. შოთა ქამაშიძის ბოსელი კი წაიღო. მთელი სოფელი აბანოთფერდის ხე-ტყით მარაგდებდა. ერთხელაც არავინ დაფიქრებულა, თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა ტყის უმოწყალო ჩეხვას. მეწყერმა დაანგრია საავტო-

მობილო გზა, წაიღო ხიდი... 58 კომლი ამჟამად საშიშ ზონაშია... წაიღეს 5 ჰა სათამბაქოე ნაკვეთი, დაზიანდა 7 კომლის საკარმიდამო მეურნეობა. განსაკუთრებით საშიშ ზონაშია პასანი, შოთა, აკაკი, ქაზიმ ქამაშიძეების, ზაბით ცეცხლაძის, ოსმან ნაკაშიძის, ჯემალ ბეჭირ, მემო, ხასია მამულაძეების საცხოვრებელი სახლები.

წინათ თუ ღვარცოფი მოვარდებოდა, ახლა მთელმა მთამ იწყო დაშლა. ერთი კილომეტრის მანძილზე გაჩნდა 2-3 მეტრი სივანის ნაპრალები... საიდანაც ღვარცოფი ჩამოვიდა, ადრე წისქვილები და ნათესები იყო. ახლა ხრამები და ქვების გროვაა. ძნელია მშობლიური კუთხის მიტოვება, მამა-პაპის ნაგები კერის მოშლა, მაგრამ თბილვანელები ერთხმად მოითხოვენ რესპუბლიკის რომელიმე რაიონში ჩასახლებას.

...140 კომლი ამჟამად უგზოდაა დარჩენილი. მისი აღდგენა დიდ სამუშაოებს მოითხოვს. შესაბამისმა სამსახურებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ თბილვანაში ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩაადგეს. ამ გაჭირვებაში თბილვანელებს ყველამ უნდა შევაშველოთ დახმარების ხელი. უჭირს სოფელს, უჭირს მშრომელ კაცს...

ვარციხესთან დღესასწაულის დამთავრების შემდეგ თბილვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აკაკი ქამაშიძემ სოფლის საფინანსოზე გამატარა.

— ავერაა ჩემი სახლი, — მაჩვენებს ქაზიმ ქამაშიძე, ჟღალწვერიანი მოხუცი, საუბრის დაწყებიდან ცოტა ხნის მერე, — მყავს ვაჟი, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს... კიდევ ორი ვაჟი ლანჩხუთის რაიონშია და შრომობენ, ქალიშვილი კი ბათუმში სახლობს... აი, რა მაწუხებს, კოლხეთში ჩვენს გადასვლასთან დაკავშირებით ხულოდან ჩამოსულმა ერთმა დიდმა კაცმა მითხრა, პატარა ფოთში რომ გადახვალთ, ეს თქვენი ძველი სახლი ან გაყიდეთ, ან დაუანგრევთ... რათა-მეთქი, კაცო, რა მოხდება, ხანდახან ზაფხულობით ამოვალ ჩემს თბილვანაში, ორი-სამი თვით გავჩერდები-მეთქი... არაო, კანონით არ შეიძლებაო. აბა, ეს მადარდებს ძალზე... მასწავს, სანამ რუსეთის ხელმწიფე გადავარდებოდა, სულ 18 კომლი იყო თბილვანაში. ახლა 270 იქნება. ბევრნი ვართ, ვერ ვეტყვით... გვიჭირს — 250 კილო ხორცი უნდა ჩავაბაროთ წელიწადში. აი, კარაქს კი იმდენ 1,5 კილოს ვაბარებთ, რამდენი ათასი კვადრატული მეტრიც გვაქვს მიწა-საძოვარი. წელს, მაგალითად, მე გადავიხადე 13 კილო კარაქი. ახლა არ იკითხავ როგორა? წავედი ასპინძაში, სოფელ მტკვარში, ჩვენებურები რომ სახლობენ და იქ ვიყიდე კილო კარაქი 7 მანეთი ღირდა, და ჩავაბარე ჩვენს რაიონში. აქ რომ ჩავაბარე, დამიბრუნეს 26 მანეთი... ახლა ამას დაუმატეთ დაზღვევა — სახლის, მიწის, საქონლის, სულ 82 მანეთი... კიდევ თამბაქო უნდა ჩავაბაროთ... რა ვიცი, უჭირს გლეხკაცს.

მთაში სტუმარი ახლაც კი იშვიათია. სანამ პაპა ქაზიმი თავის ამბებს ჰყვებოდა, საფინანსო რამდენიმე კაცი კიდევ შემოემატა.

— კოლხეთში ჩემს ვაჟსაც უნდა წასვლა, — საუბარში ჩაერია ნური მამულაძე, — მე თავად სოფელ მტკვარში ვსახლობ,

ასპინძაში, სამ შვილთან ერთად. აქ კი, ძველ სახლში ავერ ჩემი ვაჟი დათოდა თავის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად სახლი შეიძლება დღევანდელ მდგომარეობაში და, რა გამაჩერებს მტკვარში. გული აქეთა მაქვს, მინდა, დროზე გააღწიონ აქედან...

— ჩვენ ექვსნი ვართ, — ამბობს ჯამბულ ქამადაძე, — მამაჩემი, ჩემი მეუღლე და სამი შვილი. ადრე მეცხვარე ვიყავი, ბათუმამდეც მიძოვებია ოთხფეხი, გორდაგორ მივლია... მერე დავყიდე ცხვარი, ახლა კოლმეურნე ვარ. ჩემი სახლიც საშიშ ზონაშია. ნეტავ მალე, მომავალ სტიქიამდე ავიბარგოთ აქედან.

— მე ავტობუსის მძღოლი ვარ, — მიხსნის მურად ქამაშიძე, — 36-ისა შევსრულდი, მყავს ცოლი და სამი შვილი. დედ-მამა და ძმები ადიგენს დამკვიდრდნენ... ვარ აქედან წამსვლელთა სიაში...

გვიან დამემდეგ ვისხედით საფინანსოზე. მსცოვნები და ახალგაზრდები მხურვალედ მსჯელობდნენ თავიანთ თუ საერო პრობლემებზე, სჯიდნენ, წონიდნენ, არჩევდნენ. ბოლოს კი გვემშვიდობებოდნენ და უკეთესი სვლის მოლოდინით უჩინარდებოდნენ ბნელში.

პაპა ქაზიმიც წამოდგა, ხელი ჩამომართვა და წავიდა.

საფინანსოზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეღა დავერჩით.

მეორე დღეს აკაკიმ ქვედა თბილვანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი შოთა ბოლქვაძე გამაცნო.

ბონდის ხიდი გადავიარეთ. გზადაგზა ჩვენი საუბარი „ტბელობას“ შეეხრა.

— ტბელ აბუსერისძე თბილვანიდანაა წარმოშობით, — ამბობს შოთა. — ამ ათითოთხმეტე წლის წინათ ბათუმიდან აქ ამოვიდა პროფესორი იური სიხარულიძე, რომელმაც ადვილად მიაგნო უძველეს ნასაყდრალს. უფრო ადრე, 1948 წელს, დავით მამულაძემ თავის ეზოში იპოვა წარწერიანი ქვა. ეს ქვა ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ეზოს ახლო-მახლო ქვის გორა იდგა. პროფესორმა დაიწყო გათხრა და მიაგნო კიდევ სამნავიანი საყდრის ფუნდამენტს. ნახეს რამდენიმე საფლავი, იქ ჩატანებული ნივთები, ჭურები რვაას-რვაასი ლიტრის ტევადობისა, ბრინჯაოს ჯვარი, კერამიკული ნაწარმი. დადგინდა, რომ საყდარი აშენებულია XIII საუკუნეში. ყველა მონაცემით ეს საყდარი აბუსერისძეთა საგვარეულოს ეკუთვნის, ხოლო ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, თავად ტბელიც აქვეა დაკრძალული. სამწუხაროდ, გუშინდელ დღესასწაულზე ტბელის სამარე-ძვალთშესალავი არავის მოჰგონებია. არადა, პირველი დღესასწაულები ტბელისა ჩვენთან, თბილვანაში გაიმართა.

— აი, აქედან მოჩანს ჩვენი სკოლა, — დასძინა შოთამ, — რომელიც ამ კუთხის სასახლო შვილის სახელს ატარებს. ხომ საცოდავ დღეშია, მაგრამ ალბათ, შეაკეთებენ იმ დიდ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მაინც, რომელსაც მთელი საქართველო გადაიხდის. 1990 წელს სრულდება 800 წელი ტბელ აბუსერისძის დაბადებიდან!

ცოტაც და მოსახვევიდან ძრავის მონოტონური ხმა მოისმა — გამოჩნდა სოფელ ბაკოდან ბათუმს მიმავალი სარეისო ავტობუსი.

პრივილ რუხია.



უძველესი სარკის ცანიშვილი

წარმოდგენილი ძეგლის ვრცელი სათაურია „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა სასუფლოთა და კათოლიკე ეკლესიისა“. მისი ავტორი ნიკოლოზ გულაბერიძე, დიდი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი, ერთხანს საქართველოს კათალიკოსი (1150-1178). თამარ მეფის უახლოესი თანამებრძოლი (გარდაიცვალა დაახლოებით 1190 წლების ახლოს).

„სვეტიცხოველის საკითხავი“ ორიგინალური თხზულებაა. ეძღვნება იმ მიწეებს, რამაც თითქოს გამოიწვია საქართველოს გაქრისტიანება სწორედ ქალის, ნინო განმანათლებლის მიერ. ბუნებრივია, საკითხის ამგვარი განხილვა ეხმარებოდა საქართველოში ქალის გამეფების უპრეცედენტო შემთხვევას. თხზულება („საკითხავი...“) საკმარისად ვრცელია. აქ წარმოდგენილია ნაწყვეტი ერთი თავიდან, რომელიც ე. წ. „გიხაროდენის“ საგლობლის ტიპისაა.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს თამარ მეფის ეპოქის მატინას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. აღნიშნულ ტექსტს შემოუნახავს ხუთსტროფიანი იამბიკო, რომელიც დაწერილია შამქორის დიდ ომში (1185 წ.) ქართველთა გამარჯვებაზე. იამბიკო მიეწერება თამარ მეფეს. იგი ტიპური ჰიმნოგრაფიული სტილის თხზულებაა თავისი ძირითადი თემებისა და მოტივების მიხედვით. თამარ მეფე, როგორც პოეტი და ღვთისმეტყველი, ამ შემთხვევაშიც თავისი დიდი წინამორბედის — დავით აღმაშენებლის ღირსეული მემკვიდრეა. იამბიკოში, გარდა საღვთისმეტყველო საკითხებისა, საუბარია შამქორის ომში გამარჯვების მნიშვნელობაზე, კონკრეტულად კი იმ ძღვენზე, რომელსაც თამარი სწირავს იმხანად გელეთში გადატანილ ზახულის ღმრთისმშობლის სახელობის ხატს (იგულისხმება შამქორის ომში მოპოვებული ხალიფას დროშა და ძვირფასთვლებიანი ყელსაბამი, მანიაკი).

ნიკოლოზ გულაბერიძე

გალობანი სუეტისა ცხოველისანი

აღადე პირი ჩემი და აღივსენ იგი მადლითა, რათა აღმოვთქუა სიტყუაჲ, სიტყუაო მამისაო, მხოლოდ შობილო, ჭროვანი და ღირსი, შესხმად საყდრისა შენისა და სუეტისა ცხოველისა!

შემოკერბით კრებულნო, სულიერნო, მორწმუნეთა ერნო, და ქებით უგალობდეთ დღესასწაულსა ამას, ყოვლად წმიდისა საყდრისა მადლისასა, და სუეტსა ყოვლად წმიდასა ვადიდებდეთ და თაყუანის — ვცემდეთ!

სუეტო ყოვლად წმინდაო, ნათელი და ბრწყინვალეობაო, და მზეო დაუვალო, რომელი ჰნათობ სულსა და გონებასა შინა მორწმუნეთასა, რომელი აღგვირებთ სასოდ და ხარწმუნოებით თაყუანის — გცემთ!..

სახმილსა შინა ჯოჯოხეთისასა პირველ მიმავლნი ღმრთისა მოწყალეობათაგან გამოხსნილნი ვლალადებდეთ და ვიტყოდეთ: კურთხეულ ხარ შენ უფალო!

არმაზისა ბომონსა პირველ ქმანი დაიკლოდეს და ტიროდეს, ხოლო აწ სუეტსა წინაშე, ამბაზსა შინა, ნათელ იღებენ და ღლადებენ, კურთხეულ ხარ (შენ უფალო)!

გიხაროდენ შენ, ღმრთისმშობელო ქალწულო უბიწო! სუეტო, სი ტკიცეო ჩუენო! ელვის სახედ განმანათლებელო და განმარწმუნებელო სულისა, გულისა და გონებისა ჩუენისა!

შენიშვნები: სიტყუაო მამისაო — იგულისხმება ქრისტე, ძე ღვთისა (ლოგოსი). სახმილი — ღუმელი, ქურა, დიდი ცეცხლი და ა. შ. ბომონი — კერპთ ტაძარი, ბავანი, წარმართთა ხალოცავი.

ცხა ცათასა — ძველი წარმოდგენით არსებობდა მრავალი ცა. ფრაზაში „ცხა ცათასა დამწყებ არს ღმერთთაგრობა“ საუბარია ცათა ცის ღვთისგანებით შექმნაზე. ხოლო მომდევნო ფრაზაში: „ძე საუკუნობს პირველი და ქუალად“ იგულისხმება ძე ღვთისა, როგორც პირველითაგანვე არსებული და მარადი. საერთოდ ამ სტროფში (იგულისხმება თამარის იამბიკო), რომელიც სრულდება ფრაზით „მიწით პირველი, პირმშოისა კაცისა“ — საუბარია მიწისაგან პირველი ადამიანის (ადამის) შექმნაზე.

მომდევნო სტროფში საუბარია კაცთა მოდგმის მიღრეკაზე სიმრუდისაყენ და ძე ღვთისას, ქრისტეს მისიაზე — სიბნელის ტყვეობიდან დახსნაზე. დრკუი-მრუდი, უსწორო, შენგან შობილმან — იგულისხმება ძე ღვთისა და მარიამ ღვთისმშობელი, ხოლო სტროფში საუბარია ამასთან მარიამისაგან ძე ღვთისას შობაზე.

მხსნელო ყოველთაო, ძლიერო ღმერთო! გაქებთ და გადიდებთ, რომელმან ღირს გ(უ)ყვენ ამის წმიდასა დღესასწაულსა მოწევნად და მხიარულ ყოვად სულთა გიხარობათა ჩუენთა!

გიხაროდენ სუეტო, რამეთუ ხორცთა სცავ განსაცდელთაგან, ხოლო სულსა ნათელსა საცნაურ ჰყოფ ემბაზისა და მიპრონისა მიერ, და ჩუენ დაუცხრომელად თაყუანის — გცემთ!

გიხაროდენ სუეტო, რამეთუ ელვებრ ჰბრწყინავ შორის ცისა და ქუეყანისა, და სიყუარულისა მიერ შეგიკრვან და შეგიერთებინა წეტისა და ქუეყანისანი!

ლოდი ნათლისაჲ, უხელოდ დამოკიდებული ჰაერთა, უხილავად მდგომარე არს და ანგელოზნი კაცთა თანა უგალობენ დაუღუემებლად: დიდება სუეტსა სასოსა ჩუენსა!

საყოფელო სახლო წმიდაო დიდებისა ღმრთისაო, ეჰა, დიდად შუენიერებასა სიწმიდისა შენისასა, რამეთუ სუეტი შენითურთ გუახარებს შვილთა თუისთა და გუფარავს!

სუეტო ჩუენო და ნათელი, დედაო ძისა ღმრთისაო! რომელმან ძუძუთა თუისთა მიერ იესუ ღმერთი აგემე, ეგრე სახედვე სუეტისა მიერ მიპრონსა ჩუენცა გუაგემე შენ!

თამარ მეფე

ცხა ცათასა

ცხა ცათასა დამწყებ არს ღმერთთაგრობა, ძე საუკუნობს პირველი და ქუალადი, სულმან შან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი, სამებით სრულმან ერთითა ღმრთებეთა, მიწის პირველის, პირმშოისა კაცისა.

შენ მიერ მისთუის დრკუსა მის განმგებელი, დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი, ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო, შენგან შობილმან ჩუენ ღირს გუყვენა აღმოშობად ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთუის დავით როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოვად, მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე, ცხებულობასა ღირს მყავ და თუისობასა. ედემს, ღადირთად სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ, ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა შევრთე, ცრუ-სჭულთა მოძღურისა დაჯოდ მძღუანი, ვინ დავით, ძეებრს ეფრემის მოისარმან, მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით,

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა ჩუენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო, მოწყუნეს, მოსწყურდნეს აგარის ნათესავნი. მუნით მოხმულთა ნიქთაგან ერთსა ამას შენდა შევწირავ, მიოხე ძეებრ, ღმერთო!



მომდევნო მესამე სტროფში კვლავაც ღვთისმშობლის მოტივია განვითარებული. საუბარია ბიბლიურ დავითზე, ბიბლიურ ეპიზოდზე, რომელშიც შოთხრობილია დავითის როკვაზე, რითაც წინასწარ იყო გაცხადებული ქალწულის მიერ ძე ღვთისას მუცლითღებაზე, აქვე იამბიკოს ავტორი, თამარი, თითქოს მიანიშნებს მის ნათესაურ კავშირზე მარიამთან. თუისი — ნათესავი. ღადირი — დასავლეთი (კ. კეკელიძე).

შუამფლობელი — თანამფლობელი (დ. ჩუბინაშვილი). მანიაკი — ყელსაბამი. დაჯოდ — ძველ ქართულში ნიშნავს ძლიერ სურვილს, ძნელად მოსათმენ გრძნობას (მაგალ. „ვეფხისტყაოსანში“). აქ ფრაზაში „დაჯოდ მძღუანი“ ეს სიტყვა ნიშნავს გამარჯვების ნიშანს (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. უაუზჩი-შვილის რედაქციით. ლექსიკონი). „ვინ დავით, ძეებრს ეფრემის მოისარმან“ — აქ იგულისხმება დავით სოსლანი, რომელიც საერთოდ როგორც ოცსთა მეფენი ბაგრატიონთა შტოსა, ჩვენს მატინაებში იხსენიება ბიბლიური ეფრემის შთამომავლად. მოირთხნა — იარალი აიხსნა, შეიარაღდა (კ. კეკელიძე).

მწერალი აკოლონ ჟორდანია ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, როგორც ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. „საით წავიდა მამა“ ავტობიოგრაფიული მოთხრობაა, რომელშიც გადმოცემულია მისი ოჯახის ტრაგიკული თავდასაჯადი ოცდაათიანი წლების რეპრესიების პერიოდში.

დღეს მათაყრდა პრემიერა. დიდი ხანი არ ცხრებოდა მაყურებელი. მსახიობებმა გაარღვიეს თეატრის გასასვლელთან შეჩვეულად თავი და თავიანისმცემლების რკალი. მამულე მამულე ოფელია მიაცილა სახლამდე. ცოტა ხანი შეყოვნდა კიბესთან, მერე მოტრიალდა და ხელი ნაბიჯებით გაუყვა გზას შინისაკენ.

ოთახში შევიდა, სანთელი აანთო, ტახტზე წამოწვა.

თვალი მოავლო ოთახს. მზერა კედელზე ჩამოკიდებულ დედის სურათს მოხვდა. მივიდა, ჩამოსხსნა, მტკვრი მიაცილა და ისევ ჩამოჰკიდა.

გვერდით ჩამოკიდებული მამის სურათიც გაწმინდა და მაგიდაზე დაემხო. ცოტა ხნის მერე წამოდგა, სინათლე ჩააქრო და დაწვა.

არ ეძინება. თვალწინ უდგას თეატრი, საღამო, ხედავს დარბაზს.

ქალიშვილები ყვავილებს ესვრიან. ისიც უხრის თავს.

ცილილობს დაძინებას, თვალებს ხუჭავს, მაგრამ უფრო ნათლად ხედავს: მოდის ოფელია თეთრი ყვავილებით და მის მუხლებთან იჩოქებს.

ჰამლეტი აცქერდება, აკვირდება. ჰო, ეს ჰერტრუდა და კლავდიუსი დგანან მის ადგილას. ბრაზი ერგვა, დანას იმარჯვებს, უნდა ჩასცეს მამის მკვლელს, მაგრამ კლავდიუსი ქრება და მარტო ჰერტრუდა რჩება.

დაბლა უშვებს დანიან ხელს. მაინც დედა!

შეტრიალდა, ბალიშზე დაემხო.

ერთმანეთში ირევა სცენა, მოჩვენება და სინამდვილე. კედელზე ჩამოკიდებულ დედის სურათს უცქერის. სურათი დიდდება და მოძრაობას იწყებს. დედა ხელებგაშლილი მოდის მისკენ. უნდა გადაეხვიოს შვილს.

საბრალო დედა, რა იქნებოდა, ისიც შესწრებოდა ამ დღეს.

— მაინც როგორ არ ჰგავდა იგი, ჰერტრუდა, დედაჩემს. იმან მამა მომიკლა, ეს კი მამის ჯავრმა გადაიყოლა. ჰო, ჯავრმა თუ შიშმა.

დედის გახსენებამ, მისმა სახემ დაფარა სცენაც და მოლანდებაც.

დედა!

— რატომ არ წვები, რა მოგივიდა.

— მე, არაფერი შვილო, მაგრამ მამა არ მოსულა.

— პირველად ხომ არ აკვიანებს, ზოგჯერ ღამითაც ვერ მოდის ხოლმე.

— აღრე კი, მაგრამ, ამ ბოლო დროს ცუდად გრძნობს თავს.

— დაწეჭი დედა, მამას რა უჭირს.

დედა წვება. გადის ხანი.

— არ გძინავს?

— რალაც ვერ ვიძინებ, შენ რატომ არ გძინავს?

— შენი ბრალია, ბავშვივით იქცევი,

საით წავიდა მამა

მოთხრობა

თითქოს პირველად იგვიანებდეს. დედა დგება, ტელეფონთან მიდის, ყურმილს იღებს.

— ვის ელაპარაკები?

— მდივან ქალს.

— რა გითხრა.

— არაფერი.

— რა მოგივიდა, უცნაურად იქცევი.

— შენ რა იცი, შვილო, ჯერ ბავშვი ხარ.

დილით დედა-შვილი ერთად გამოდიან სახლიდან და სხვადასხვა მხრით მიდიან — შვილი სკოლისკენ, დედა მეუღლის სამუშაო ადგილისაკენ.

— არ იცი, სად არის? — კითხულობს დედა.

ისინი სდუმან.

— რა მოგივიდათ, მითხარით, რა შეემთხვა?

ისინი ისევ სდუმან.

— მე მოვნახავ მას, იმასთან შევალ და ყველაფერს გავიგებ. მე მიცნობს ის.

ვინ არის ეს კაცი, ცინიკური ღიმილით რომ იცქირება სათვალეებიდან.

— თქვენ კარგი ქალი ხართ, მაგრამ თქვენი ქმარი მოლაღატა.

— მოლაღატე? თქვენ თვითონ უთხარით მადლობა, და ახლა მოლაღატეა?! რატომ არის მოლაღატე?

— კითხვას ასე არ სვამენ. თქვენ კარგი ქალი ხართ, მაგრამ თავი გაანებეთ ქმარზე ფიქრს. ის მოლაღატეა. საკუთარ თავს გაუფრთხილდა.

— თქვენი ქმარი მოლაღატეაო, — სადღაც მის იქით მომზირალი ამბობს ის და პენსნეს ხელში ათამაშებს.

— თქვენი ქმარი მოლაღატეა, — ესმის მას.

— თქვენი ქმარი მოლაღატეა!

— მოლაღატე!

— ხალხის სახელით გელაპარაკებით, — უბედურებაც იმაშია, ხალხის სახელით რომ მელაპარაკებით...

არ ახსოვს ეს სიტყვები, მართლა უთხრა თუ გულში გაიფიქრა მხოლოდ. ყელში მოადგა კიდევ რალაც სათქმელი, მაგრამ გაახსენდა ქმართან გატარებული უძილო ღამეები და გაიმეორა:

— რატომ არის მოლაღატე?

დედას სხვა არაფერი გაუგონია და არ ახსოვს. აკანკალებული გამოვიდა კაბინეტიდან. არც ის ახსოვს, როგორ მოვიდა სახლში.

მას არა, მაგრამ ახსოვს შვილს და ახლა თეატრიდან მობრუნებულს, აფრთხილებს და ლაფერი ეს და ხედავს: შემოდის იგი აღლევებულად, უცნაურად მხლებული. ჯდება და არაფერს ამბობს. სულ კარებისაკენ იყურება. დიდი ხანი გადის ასე.

— რატომ არ წვები, დედა?

— შენ რა იცი, შვილო, ჯერ ბავშვი ხარ. შემდეგ წვება, მაგრამ ტანსაცმელს არ იხდის.

— რას სჩადი, რატომ წვები ასე. სად გაგონილა, ვერ ხედავ, რა სიტყვა. ისედაც იწვის ქვეყანა.

— ქვეყანა რომ იწვის, მეც იმიტომ ვწვები, შვილო, ასე.

— არ მესმის, რა გინდა მაგითი თქვა.

— ჩუმად იყავი, ჩუ, — ტუჩებზე აფარებს ხელს. ისინი რომ მოვიდნენ, ისე წამიყვანენ, ჩაცმასაც არ დამაცლიან.

— ვინ ისინი, რას ამბობ?

დედა სდუმს.

— რას ამბობ, დედა! იგი ისევ სდუმს.

შვილი შემოეხვევა შეშინებულ ქალს და ჩურჩულით ეუბნება:

— ვინ წავიყვანს, შენ რა შუაში ხარ?!

— შუაში არც ის იყო.

ორივენი ჩუმდებიან და უსიტყვოდ უცქერიან თვალეში ერთმანეთს.

დედა გულში იკრავს და ჩურჩულით ეუბნება:

— სადმე გავიქცეთ, შვილო. დავიმალოთ. თუნდაც სოფელში წავიდეთ, იქ ვეღარ მოგვაგებენ.

— ზარის ხმა ისმის. ის დგება, მიდის, მაგრამ დედა აჩერებს, იჩოქებს, ხელებს შემოხვევს, არ უშვებს.

შემდეგ მოტრიალდება, აკვირდება შვილს და ეკითხება:

— სად არის ის?

— ვინ?

— მკვლელი. წელან ტყვია რომ ჩააწყო ლულაში და უნდა მოვეკალი.

— ვინ? რა ტყვია? რა მკვლელი? რას ამბობ?

— არ გესმოდა, ტყვია რომ ჩატენა მკვლელმა ლულაში?

შვილი ფხიზლდება. ხედე! დედის შიშს.

— ტყვია კი არა, მეზობე იყო, მამის ამბავი იკითხა და წავიდა. მოგეჩვენა.

— სტყუი, ის მკვლელი იყო. ახლაც აქ არის სადღაც დამალული. ჩუმად მითვალეებს უშუიდან, ძილში რომ მომკლას.

— გამიშვით, თქვენ ექიმები არა, მკვლელები ხართ. გამიშვით ჩემს რჯულს ჩემს შვილთან მინდა. მკვლელებმ რა იცით, რა არის შვილი, ან რა არ დედა.

თქვენ მხოლოდ სიკვდილი იცით, ათეობო. არ მინდა, გამიშვით, მკვლელებო, გამიშვით...

მთავარი ექიმის განკარგულებააო, უთხრეს და დედის სანახავად არ უშვებდნენ.

შვილმა ითხოვა, შორიდან შეეხედავო და შეუშვეს.

შვილი პალატას მიადგა. ფანჯრიდან შეიჭვრიტა. დაკაკუნება დააპირა, მაგრამ ექიმის ნათქვამი გაახსენდა და შეყოვნდა.

უცქეროდა დედას და ეჭირობდა იმ კასტაზე, რომელსაც ის ეკუთვნოდა და, რის შესახებაც თითქმის არაფერი იცოდა კაცობრიობამ.

დედა შეიჩხა. შვილი უცებ მოსწყდა ფანჯარას, ჩქარი ნაბიჯებით გაუყვა დერეფანს.

დღა წამოდგა, ფანჯარას გახედა. ეტყობა, დაინახა შვილი.

რომ არ გაუხედავს მისკენ?!
ალბათ, დედის ინსტინქტით იგრძნო შვილის იქ ყოფნა.
ინსტინქტი!

რა საცოდავი ხარ, ადამიანო, ვიდრე არ იცი, რა არის ის, რითაც დედამ იგრძნო შვილის იქ ყოფნა...

დღეს რკინის ჰიშკრიდან გამოეყო ხელები და შვილისკენ გაეწვდინა. თეთრხალათიანი კაცი და ქალი უკან ეწეოდნენ, მაგრამ იგი მაგრად ჩასჭიდებოდა რკინის რიკულებს.

შვილმა ვერ მოითმინა, შემობრუნდა, დედასთან მივიდა, მოეხვია.

— ვინ ხარ შენ, — იკითხა დედამ.

— შენი შვილი!

დედამ ისეთი თვალებით შეხედა შვილს, ვერასოდეს დაივიწყებს.

— შვილი კი არა, მკვლელი ხარ, ისეთივე მკვლელი, როგორც ის, როგორც ყველა ესენი.

რა განიცადა შვილმა ამ დროს, არავინ იცის და არც თვითონ იცის შვილმა.

კარის ჩარჩოს მიაყრდნო თავი.
რალაც წუთები და, თითები ნახად შეეხო თმაზე.

ეს ხელები, ეს ალერსი ნაცნობი იყო მისთვის და მოიხედა.

დედამ უწინდებურად დაწმენდილი თვალებით შეხედა შვილს, სახე დაუქოცნა და ჩურჩულით უთხრა:

— ჭკუით იყავი, ჩემო ბიჭიკო.
მერე ნელ-ნელა მისუსტდა და მის ფეხებთან ჩაიკეცა.

პალატაში შეიყვანეს, საწოლზე დააწვიანეს.

ექიმმა თხოვა შვილს, წასულიყო.

მიდიოდა, ხედავდა რკინის რიკულებიდან გამოშვერილ ხელებს და ესმოდა: — გამიშვით... ექიმები კი არა, მკვლელები ხართ... არ მინდა თქვენთან, გამიშვით...

...თავი გააქნია, კედლისკენ შეტრიალდა. გადის ხანი. არ ეძინება.

კედელზე ჰორაციო გამოჩნდება. მერე კედელი ქრება და სასაფლაოა მის წინ.

ისინი სასაფლაოზე არიან. მესაფლავემ თავის ქალა ხელში აიღო, ბარს დაეყრდნო და მეორე მესაფლავეს დაუწყო საუბარი.

მხარი იცვალა, პირადმა დაწვა, ჭერს შეაჩერდა. ხედავს, კუბოს მოასვენებენ.

ხელს ჰკიდებს ჰორაციოს და ისიც და ჰორაციოც ხეს ეფარება.

კუბო დაასვენეს. ნაცნობი სახე ჩანს კუბოში.

უნდა ვინმეს გამოელაპარაკოს, ხმა გასცეს, მაგრამ არავინაა.

მარტოა ის, შიში და ოთახი.

წყეული ოთახი. ამ ოთახიდან გავიდა მამა და აღარ მობრუნებულა. აქ იწვა ის ავადმყოფი დედის გვერდით.

უნდა მეზობელი გააღვიძოს, დაუძახოს, ყვირის. მაგრამ არავინ მოდის.

ყვირის კი?

ეჩვენება, რომ ყვირის. პირს ადებს, მაგრამ ხმას ვერ იღებს.

დგება, იცვამს და გარეთ გამოდის.

კარი მიაჯახუნა. ეზოდან შეჭრილ შუქზე ღია კარებში დედის სურათი გამოჩნდა. ქუჩამდე მისულს, დედის ხმა მოესმა.

თმებჩამოშლილი მოსდევდა დედა. დაბრუნებას ეხვეწებოდა.

— არ დავბრუნდები, — თქვა მან და სირბილით განაგრძო გზა.

ლაშვი გვიანი. ასეთ დროს იშვიათადაა ქუჩაში ვინმე. მხოლოდ ღამის გუშაგები

დადიან. მილიციელი დაინახა, მისკენ გაიქცა. მიუახლოვდა, შეჩერდა, რალაცის თქმა დააპირა. რევოლვერს მოჰკრა თვალი

და, ისევ შიშმა შეიპყრო. მოტრიალდა, სწრაფად გაშორდა. მოუხვია, კუთხესთან შეჩერდა. მოიხედა, ხომ არ მომდევსო და ისევ განაგრძო გზა. დიდ მოედნამდე მივიდა. ხედავს, საიუველირო მაღაზიის წინ, ძონძებგადაფარებულ ყუთზე, ქურქში გახვეული მოხუცი ზის და თვლემს.

მივიდა, თავზე დაადგა. ხელით შეეხო, უნდა გააღვიძოს, გამოელაპარაკოს.

მოხუცი ფხოზღდება, ცალ ხელს თვალებზე ისევამს, მეორე გვერდით მიყუდებულ თოფისკენ მიაქვს.

სწრაფად შორდება მოხუცს.

და მხოლოდ ახლა შთაგონდა, რომ აქ ახლოს ძინავს მის ოფელიას.

ეს აღმოჩენა წამით ავიწყებს ყველაფერს და სირბილით მიუყვება გზას მისი ბინისაკენ.

აღმართს შეუყვია. აღმართის თავზე მანქანა გამოჩნდა. მანქანაში პენსნეს მოჰკრა თვალი და კედელს აეკრა შიშით. მანქანა მისკენ წამოვიდა. იგი ღრიალით პირქვე დაეცა.

მანქანამ დაღმართი ჩაიარა, მოუხვია და თვალს მიეფარა.

წამოდგა. აღმართი აიარა. უკან მოიხედა, მერე ისევ განაგრძო გზა და მალე ნაცნობ სახლთან შეჩერდა. რამდენიმე საფეხური აირბინა, კარებს მიადგა. დააკაკუნა.

კაკუნს ხმაც მოჰყვია.

ქალი ძილ-ბურანში იყო და იფიქრა, ალბათ მომესმო. მაგრამ მაინც წამოდგა, კარი გააღო. არ გააკვირვებია, კაცი რომ დაინახა. უიმეო, — წამოივივლა მსუბუქად და ხელებით დაიფარა შიშველი მკერდი.

— ჩემო ოფელია, მიშველეო, — უნდოდა ეთქვა. თავი შეიკავა და მის თბილ საწოლს დაემხო.

გაუღიმა. თმაზე გადაუსვა ხელი.

— ეს სცენაზე ჩვენი ტრაგიკული დასასრულის ბედნიერი ვაგრძელებაა, — ჩურჩულებს ქალი.

— არ მინდა სცენის გახსენება, — ევედრება ვაჟი და ტუჩებზე აფარებს ხელს.

ქალმა თითები დაუქოცნა. მერე ხელი მხარზე დაადო და ლოყით მიუაღერა. ორივე ხელებით გადაეჭლო მის კისერს და მისკენ მოაბრუნა.

დღის სინათლემ და ხალხმა გადაავიწყა წუხანდელი შიში და კომპარული მოლანდებები.

როგორც იტყვიან, გაზეთები აჭრელეებული იყო მისი ქებით: „მშვენიერია“, „დიდებულია“, „შესანიშნავია“, „ნამდვილი ჰამლეტია“.

მეორე საღამო... ისევ სცენა.

ყოველი სურათის დასასრულს ტაში და შეძახილები.

დაიწყო მესამე მოქმედება. შემოდის ჰამლეტი. ხელმწიფე და პოლონიუსი მოფარებულში დგანან და უცქერიან.

— ყოფნა?.. არყოფნა? — დაიწყო მან და შეჩერდა. თვალი მოავლო დარბაზს.

— ყოფნა?.. არყოფნა?.. საკითხავი აი, ეს არის.

ისევ შეჩერდა. ისმის მოკარნახის ხმა. იგი აგრძელებს:

— სულდიდ ქმნილებას რაშეჰვერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტართა გვირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შეებრძოლვით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე... შეყოვნდა. გადახედა დარბაზს, იარუს-

ებს, პარტერს, შემდეგ ლოყას გაუხწორა თვალი. მისი მზერა პენსნეს მოხვდა.

— მოვსპოთ სიცოცხლე... დავიძინოთ... რომ დავიძინოთ, მერე სიზმრად იქ გზას ხავთ რასმე? ძნელი ეს არის. სიზმრად მინდა შინ, რა სიზმრები მოგვევლინება, როს მივეცემით სიკვდილის ძილს და მოვშორდებით მოკვდავთ ცხოვრების მღვლეარებას! აი, ეს გვიშლის და გრძელს ცხოვრებას ჩვენსას გრძელ ტანჯვადა ჰხდის. თუ რომ ეს არა, ვინ მოითმენდა ჟამთა სიმწარეს, მტარვალის ჩავგვრას...

— სიამაყის თავგასულობას, — ისმის მოკარნახის ხმა.

ჰამლეტი აგრძელებს:

— ჯალათების თავგასულობას, ტანჯვასა მწვავესა, უარყოფილს სიყვარულისას, მართლმსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან.

პენსნესაგან თვალი არ მოუწყვეტია, ისევ განაგრძო:

— მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით...

ხელები ბოძს მიადო, შუბლით დაეყრდნო საკუთარ ხელებს.

მოკარნახე კი განაგრძობს — სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება...

მაყურებელი მიხვდა, მეტის თქმას რომ არ აპირებდა და ტაში გაისმა. იარუსებს პარტერი აჰყვა, ლოყები.

პარტერს გახედა. თავის ქალები ერთიმეორეში აირივნენ. თვალებზე მოისვა ხელი. უკანა რიგებისკენ გაიხედა. იქაც ჩონჩხები. იარუსებზე, ლოყებში, ყველგან ჩონჩხები. ეს ტაში კი არა, ადამიანის ძვლები ჩხაკუნობს...

რალაც შექანდა, დარბაზი შეინძრა, თვალთ დაუხედა, ხელები გაშალა. ჰორაციოს რომ არ დაყრდნობოდა, წაიქცეოდა.

ჰამლეტი ტუალეტში, დიდი სარკის წინ დგას.

კარი გაიღო, ოფელია შემოვიდა. ჰამლეტმა სარკიდან დაინახა ის და ხმამალა გაიმეორა:

— მონასტერში წადი-მეთქი, ოფელია, მონასტერში!

— სადაც შენ გინდა, იქ წავალ, — ეს ოფელიას ხმაა.

— სად წახვალ, შე უბედურო, შენ მონასტერიც აღარა გაქვს, რომ წახვიდე, დაგინგრიეს. — თვალებში ჩაატქერდა. — საროსკიპოში წადი, საროსკიპოში. თუმცა წასვლა არ გინდა, დარჩი აქ, რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნები.

მისი ხელები კისრიდან მოიშორა:

— გვსმის? ხედავ? ეს იმას ხელებიან ტაშითა და ოვაციით. იმ პენსნეს... აბა, გახედე.

ქალს უნდოდა ეთქვა, იქ არავინაა და ტაშიაც არავინ უკრავსო, მაგრამ გაჩუმება არჩია.

— გებრალები არა? — განაგრძო. — მე კი ნეჯავრება ყველა ისინი, ვისაც ვებრალებ. ამიტომ არ მინდა გებრალებოდე და საერ თოდ არავის არა აქვს უფლება, ებრალებოდეს სხვა. თუ სიხარულია, უნდა გიხაროდეს სიკვდილი. გიხაროდეს, რომ ვეღარ ნახავ იმ სამყაროს, რომელსაც კლავდიუსები და ჰერტრუდები ფლობენ.

— მაგრამ ყველანი კლავდიუსები ხომ არ არიან?

— თუ მისთვის სასარგებლოა, ყველა მამაკაცი კლავდიუსია და ყველა დედაკაცი ჰერტრუდა. შენც ისეთი იქნები და მეც.



— წყეული იყოს ღმერთი და ბუხება, სიცოცხლე რომ შექმნა. წყეული აყოს ჩემი მი გაჩენა. იყო ქვეყანა ჩემსმდე მისთვის და ვიყავი მე ჩემთვის. **მეც — მისთვის!**

— ჰოდა, ისევ ისე იქნება ყველაფერი შენს მერეც.

— ნამდვილად გავვიჟდი, რა სისულელეებს ვროშავ.

მაგრამ მოიცა, ეს რა ხმა ისმის. ვინ არის?

ნაცნობი ხმაა.

ხმა კი განაგრძობს:

— სულ ტყუილია, შვილო, ვითომ მე მოლაღატე ვიყო ჩემი ქვეყნისა. სწორედ ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისთვის ვიტანჯები აქ. ვილაყამ დაგვაბეზლა, ალბათ იმან, ვინც ახლოს იყო ჩემთან. ამიტომ იყავი ფრთხილად. ნუ ენდობი ყველას. ბევრია გამცემი და მოლაღატე, სხვისი დალუპვის ფასად რომ ცდილობენ ერთი საფეხურით აიწიონ კარიერის კიბეზე. რომ დასჭირდეს, ამნაირი მამა შეილს მოჰკლავს, შვილი კი მამას დაახრჩობს.

ჰამლეტის მამის ხმაა?

თვალწინ ისევ სცენაა. ერთმანეთში ირევა ნამდვილი და მოჩვენება.

თვალებს ხუჭავს. ხელავს ნაცნობ სახეს, აკვირდება. არა, ჰამლეტის მამა არაა ეს.

— ხმა მესმის და ვერ კი გიცანი. მითხარ, ვინა ხარ ადამიანო.

— ადამიანი კი არა, სული ვარ. ვიყავ ადამიანი და მაქციეს სულად.

— იყავი სული, მე მივიღებ, როგორც ცოცხალს.

— მაშ კარგი. ახლა მაგ თეატრს, სხვის როლებს რომ თამაშობ, თავი მიანებე და იმ სცენაზე ითამაშე, ცხოვრებას რომ ეძახიან.

— მამა!

— ჰო, შვილო. ამის გამოცნობა ძნელი არ არის. ძნელი სხვა რამეა.

— მაშ, ისიც მითხარი, რა არის ძნელი?

— მე ყველაფერს ვერ გეტყვი, ზოგ რამეს შენით უნდა მიხვდე.

— საიდან მელაპარაკები?

— იქიდან.

— როგორ მოხვდი მანდ?

— ეგ უკვე, მეც არ ვიცი კარგად. გაივლის დრო და, ამას ჩემზე უკეთ თვითონ მიხვდები.

— შენ ამბობ, რომ მოლაღატე არა ხარ. მითხარ, ვინ არის დამნაშავე, რომ შევებრძოლო, შური ვიძიო.

— მოვა დრო და შენ თვითონ გაიგებ.

— რომ გავიგო, მერე რა ვქნა. შენ მირჩევ, ფრთხილად ვიყო, ესე იგი არ ვიბრძოლო, არა?

— უნდა იბრძოლო, მაგრამ ჰკუთით, მარტო გულით კი არა.

— ესე იგი...

— კარგად გიქნია, რომ მარტოხარ, ჰორაციო და მეგობრები არ გახლავს.

— კი მაგრამ, შევძლებ მეგობრების გარეშე ვიბრძოლო?

— კარგად გიქნია, რომ მარტო ხარ, ჰორადა სულში ჩახედე, თორემ ხშირად კლავდიუსებიც იცვამენ ჰორაციოსის სამოსს.

— გამოდის, რომ არც შენ უნდა გენდო. ეგებ შენც კეთილ სამოსში ჩაცმული ბოროტი სული ხარ.

— ამიტომაც უნდა იყო ფრთხილად. შორიდან ხმაური ისმის და მამის ხმა წყდება...

პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ი. ბ. სტალინი ფსიქიურად დაავადებული იყო. თითქოს ამგვარი დიაგნოზი მისთვის დაუსვამს ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს ვ. მ. ბებტერევეს. მართალია თუ არა ეს? ამის შესახებ აზრი გამოთქვა ცნობილმა ფსიქიატრმა, პროფესორმა ა. ა. პორტნოვმა.

— მე ბებტერევეს მოწაფის რაისა გოლანტის აღზრდილი განსვარით და ვებლმდებელი ლენინგრადის სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კათედრას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ბებტერევე ედგა სათავეში. მის სხვა მოწაფეს არისტრახ ილინსაც კარგად ვიცნობდი, სწორედ მის ხელეშში დავი სული მეცნიერმა.

ამდენად, აკადემიკოს ბებტერევეზე ბევრი ისეთი რამ ვიცი, რაზეც წარმოდგენა არა აქვთ, ან არ სურთ, გაითვალისწინონ იმ ავტორებმა, რომლებიც ცნობილი მეცნიერის შესახებ წერენ. მხედველობაში მაქვს 1988 წლის 23 სექტემბრის „ლიტერატურა“ გაზეთში „დაბეჭდილი ი. პორტნოვის სტატია „უკანასკნელი დიაგნოზი“. სხდომაზე ბებტერევე დიდი დავიანებით მოვიდა, ერთ-ერთმა დელეგატმა ჰკითხა დავიანების მიზეზი, რაზეც ბებტერევემა რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით გამაღიზიანებლად უპასუხა:

— „ერთი ხელგამშრალი (გამხმარი) შეშლილი გავსინჯე“. მაშასადამე, გამოითქვა ვერსია, რომ ბებტერევემა გამოიკვლია სტალინი და დაუთვა „პარანოზი“ დიაგნოზი, რის შესახებაც 1927 წლის დეკემბერში ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა ყრილობის კულუარებში თქვა. თითქოს ეს გახდა მიზეზი აკადემიკოსის დაღუპვისა. თურმე იქვე გამოჩნდნენ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული უცნობი პირები, რომლებმაც ბუფეტში შეიყვანეს იგი, შესთავაზეს საეჭვო ბუტერბროდები, რასგანაც ბებტერევეს დამართა საჭმლის მომხელელები სისტემის მწვავე მოწამვლა და მალევე გარდაიცვალა.

ეს დეტაქტური სიუჟეტი დაუჯერებელია — ამგვარი მოწამვლა შეუძლებელია. რაც შეეხება იმ ლეგენდარულ ფრანსს, ბებტერევეს მისი თქმა არ შეეძლო არა იმიტომ, რომ სასჯელის შეეშინდებოდა, იგი მართლაც გამბედავი ადამიანი იყო და დაურიდებლად ამხელდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო იგი — ამას სამართლიანად აღნიშნავენ ზემოხსენებული ვერსიის ავტორები. მაგრამ ისინი რატომღაც არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ბებტერევე უაღრესად კულტურული ადამიანი იყო და თავს ნებას არ მისცემდა, ვინმე შეურაცხეყო, მით უმეტეს ზურგს უკან.

იყო თუ არა სტალინი პარანოიკი

ბებტერევე უაღრესად კულტურული ადამიანი იყო და თავს ნებას არ მისცემდა, ვინმე შეურაცხეყო, მით უმეტეს ზურგს უკან.

„ხელგამშრალი შეშლილი“... დამწყები ფსიქიატრიკ კი არ იტყვის ამას პაციენტზე. ბებტერევე კი უდიდესი, მთელს მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი იყო. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ტაქტით, დელიკატობით, ადამიანებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, მუდამ მოუწოდებდა კოლეგებს ექიმის საიდუმლოს შენახვისაკენ, ავადმყოფის თვითყვარების დანდობას.

ბებტერევეს დიაგნოზიც რომ დაესვა სტალინისთვის, იგი არასოდეს გაამტკიცებდა ამას, თანაც ასე შეურაცხყოფილად. დარწმუნებული ვარ, ამას ის ადამიანები მიაწერენ მეცნიერს, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ მის ზნეობრივ პოზიციასზე.

ათეული წლების მანძილზე ბებტერევეს სახელი მივიწყებული იყო, ახლა ისევ ალაპარაკდნენ მის შესახებ და ჩვენ უფლება არა გვაქვს, ნებისთ თუ უნებლიედ, ჩრდილი მივაყენოთ მას, მით უმეტეს, თუ საამისო დამაჯერებელი მტკიცებანი არ გავაჩნია.

რაც შეეხება სტალინის ფსიქიურ მდგომარეობას, ვფიქრობ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ იგი ჯანმრთელი იყო. მთელი მისი ფსიქიური წყობა არ შეესაბამება იმას, რა მდგომარეობაშიც იმყოფება პარანოით დაავადებული ავადმყოფი.

პარანოით დაავადებული ადამიანი იმყოფება გარკვეული იდეის ძალაუფლების ქვეშ, რომელსაც თავადვე აყალიბებს, უქვემდებარებს საკუთარ და გარშემო მყოფთა საქციელსაც კი. შეშლილი უშიშარია, პირდაპირ (პირუთვნელი), მოკლებულია დიპლომატურ ნიჭს და

ვერ ითამაშებს იმ კაცის როლს, რომელსაც სინამდვილეში არც წარმოადგენს. მას არ შეუძლია ინტრიგების დახლართვა, შანტაჟის მოწყობა, ადამიანთა გამასხარავება, ყველაფერს აშკარად აკეთებს, თავალთმაქციების გარეშე, როგორც წესი, ანგარიშს არ უწევს საკუთარ საქციელს.

სტალინი აბსოლუტურად არ გავს ამგვარ ავადმყოფს. მისი ფსიქიკა გამოირჩეოდა მაღალი მანევრისუნარიანობითა და შემგუებლობით. იგი ადამიანთა ურთიერთგადამტერების დიდი ოსტატი იყო, თითქმის ხალხს და ბატონობდა მათზე. მეტიც, სტალინი საკმაოდ დიდი ფსიქოლოგი იყო საიმისოდ, რომ შიშზე დამყარებული ძალაუფლების მერყეობა შეემცნო. მისი გამყარება კი შეეძლო მხოლოდ სიყვარულსა და პატივისცემას ლიდერისადმი და ისიც შეუპოვრად იპყრობდა ხალხს. ხშირად იღებდა სურათს ბავშვებთან ერთად, გამოიმუშავა მოსიყვარულე მამის მანერა. თუმცა, ზოგჯერ აჭარბებდა, მაგრამ აქტიორული ნიჭის უკმარისობა არ ადასტურებს ფსიქიკურ არასრულფასოვნებას. პარანოით დაავადებულ ადამიანს საერთოდ არ შეუძლია ორპირობა, სტალინი კი ამას ათეული წლების მანძილზე ახერხებდა.

— სტალინი ყველა დროისა და ხალხის გენიოსს თამაშობდა.

— ეს განდიდების მანია არ გახლდათ. მსგავს გადახვევებს ფსიქიატრები უკავშირებენ პიროვნების პათოლოგიურ განვითარებას, რაც ცალმხრივ, მახინჯ ხასიათს იღებს, არ სცილდება რა ნორმის ფარგლებს. ხომ არ ვუწოდებთ ჭკუასუსტს კაცს, რომელსაც აუტანელი ხასიათი აქვს. და თუ ის დანაშაულს ჩაიდენს, მთელი სისასტიკით უნდა დავსაჯოთ.

ამიტომ მართებული არაა ფსიქიატრები, მედიკოსები, რომლებმაც დიაგნოზი დასვეს სტალინის პიროვნებას ნორმის უკიდურეს გადახვევად მიიჩნევენ. სტალინის დანაშაულებებს არა აქვს არც გამართლება და არც შემამსუბუქებელი გარემოება. და თუ ის არ იქნა მხილებული სიცოცხლეში, უფრო მკაცრი აღმოჩნდება ისტორიის სასჯელი.

— ეს საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ სტალინიზმი აღარ ვანმეორდეს. რა აზრისა ხართ იმ იდეის შესახებ, რომ უნდა შემოწმდეს იმ პირთა ჯანმრთელობა, ვინც უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე უნდა დაინიშნოს? — გამოთქვა რა ეს აზრი, თ. მოროზმა წამოჭრა კითხვა: „სად არის გარანტია, რომ ასეთ თანამდებობაზე კვლავ არ აღმოჩნდება უიმედოდ დაავადებული კაცი? შეუიარაღებელი თვალთაც ხომ კარგად ჩანდა ქმედუნარიობა ბრეჟნევისა, ხოლო ჩერნენკოს ჯანმრთელობის გამო საერთოდ არ შეეძლო ჭკვეყნის მართვა“?

— დასავლეთის ქვეყნებში არსებობს ე. წ. ლიდერთა ლაბორატორია, სადაც იკვლევენ მაღალ თანამდებობაზე წარდგენილ ყველა პირს, იქნება ის საწარმოო ფირმის, სახელმწიფო დაწესებულების, სამხედრო ქვეანაყოფის თუ სხვა თანამდებობის მოსურნე. მრავალგვარი შემოწმების შემდეგ, ცხადია, წარმატებას ყველა ვერ აღწევს. სპეციალისტები საზღვრავენ პრეტენდენტის ინტელექტუალურ დონეს, მის ფსიქოლოგიურ შეთავსებას ადამიანებთან, ამა თუ იმ სახის საქმიანობისადმი მიდრეკილებას და ა. შ. ბოლოს და ბოლოს სპეციალისტები აკეთებენ დასკვნებს — ვარგისია თუ არა გამოკვლეული პიროვნება ლიდერობისთვის, ცხადია არა საერთოდ, არამედ იმ ორგანიზაციაში, რომელმაც იგი ლაბორატორიაში მოავლინა. და თუ დასკვნა უარყოფითია, ფირმა არ მიიღებს მას, რადგან შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

საეჭვოა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამგვარი სისტემა დამკვიდრდეს, იმდენად დიდი ჩვენში შექანიკური, ადამიანისადმი უგულო დამოკიდებულების გავლენა.

სახელმწიფო მეთაურთა შემოწმება კი საერთოდ გულუბრყვილობაა. თუ ლიდერი ღირსია ამ თანამდებობისა, რალა საჭიროა მისი შემოწმება? თუ არა, მაშინ ეს ექიმთა საქმე კი არაა, არამედ დემოკრატიული პოლიტიკური მექანიზმისა.

გაზეივნება

ბანაობამ ძალიან დამქანცა... ხუმრობა ხომ არაა, მთელი დღე ზღვაში ვბანაობდი. მეგობარმა გადამარჩინა, მთლად გალურჯებული ამომავლო წყლიდან. ჩვენს ხუხულამდე ძლივს მივაღწიე და მოჭრილ ხესავით დავეგდე გასაბერ ლეიბზე, რომელიც საწოლის მაგივრობას მიწევდა. მეგონა მაშინვე დამეძინებოდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ხან აქით ვიტრიალებ, ხან-იქით. არაფერმა მიშველა, რული არ მომეკარა.

ჩამოვამდა. ვარსკვლავები აკიაფდნენ ცის კაბადონზე, თუმცა დიდხანს არ უბოგინიათ ღამის სამფლობელოში, ადგილი მთვარეს დაუთმეს, თვითონ კი განზე გადგნენ. ამ დიდისა და პატარის პაექრობას კარგად ვხედავდი სახლის სახურავში, ალბათ საგანგებოდ ჩემისთანებისთვის დატოვებულ ხვრელში.

ვეღარ გავძელი. ავდექი, ხალათი წამოვისხი და გარეთ გავედი. გრილი სიო აშოლტილ ეკვალიტებში დაძვრებოდა და ჩემამდე აღწევდა. მშვიდი ზღვა თავისთვის ღლინებდა. ხვერდოვანი ქვიშა ტერფებზე მეალერსებოდა და სასიამოვნოდ

ნოდ მიღიტინებდა. შორიასლოს სილაზე უზარმაზარი ლოდები ეყარა. მაგიდასავით ბრტყელ ქვაზე ავძვერი და ზღვის ლივლივს დავუწყე თვალთვალი.

ზღვას ხომ ისევე შეიძლება უყურო, როგორც ცეცხლს. არ მოგებზრდება მისი ცქერა. ფიქრებმა გამიტაცა, მომაგონდა ზღვასთან ჩემი პირველი შეხვედრა.

ხუთი წლისა ვიქნებოდი მაშინ. მშობლებმა სანაპიროზე გამიყვანეს სასეირნოდ. ქარი ქროდა, ზღვა ბობოქრობდა, ტყვიისფერი ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ. ამის დანახვაზე გული ღამის გამისკდა. ამდენი წყალი და ისიც ასე გავიყვებული, არასოდეს მენახა. მარჯვენა ხელი მამაჩემს შემოვხვეე ფეხზე, მეორე ხელით დედაჩემს კაბაზე ჩავაფრინდი და მოვრთე ღრიალი. მამაჩემი მერე სიცილით მიამბობდა: შენი კივილი ცასა და მიწას ძრავდაო.

ფიქრი ფიქრს მიჰყვა, დატრიალდა, დაბზრდილდა და თვლები თავისთავად მიმელულა. იმ ლოდზე მიმეძინა. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. თვლები

რომ გავახილე, მზე ახალი ამოწვერილი იყო. შორიასლოს მოხუცი კაცი დავინახე. შავი კოსტუმში ეცვა, თავზე თეთრი ჩალის შლიაპა ეხურა. ხელჯობს დაყრდნობოდა და სილაში მძიმედ მიაბიჯებდა... წელში ისე იყო მოხრილი, თითქოს დიდი ტვირთი მიაქვსო მხრით. ადგილობრივი უნდა ყოფილიყო, დამსვენებელს არ ჰგავდა.

ქვას ამოვეფარე და თვალთვალი დავუწყე. მოხუცი ისევე მძიმედ მიაბიჯებდა ზედ ზღვის პირზე, უკან კი სამ რიგ კვალს სტოვებდა სველ ქვიშაზე, ხელჯობისაგან დატოვებული ღრმულები ნაფეხურებს თან სდევდა. ქვიშის მომცრო ბორცვს მიაღდა — ეს ალბათ ციხე-კოშკის ნაშთი იყო, წინა დღით თამაშით გართული ბავშვების აშენებული, ახლა კიდევებამორეცხილი, ლაზათდაკარგული.

ერთ ხანს შეყოვნდა მოხუცი ბორცვთან. მერე გვერდი აუქცია, გზა განაგრძო.

უცებ უკან მოტრიალდა და ისევ ბორცვისკენ შემობრუნდა, გარშემო შემოუარა. კარგად დავინახე, როგორ იღიმებო-

და. ხელჯობის ძირს დადო; მუხლებზე ჩაიჩოქა, და, კაცი ვერა, გაიგებდა, რას აუთუბდა. მერე ყველაფერს მივხვდი — დედაჩემი ქვიშაშია. მოხუცი „ციხე-კოშკს“ ამაგრებდა. თვალები ანთებოდა, ახალგაზრდულად უბრწყინავდა. ქვიშის ბორცვი თანდათან ნამდვილ ციხე-კოშკს ემსგავსებოდა.

ჩემი თავშესაფარი მივატოვე. ახლოს მივედი, მოხუცმა ყურადღება არ მომაქცია. არც მე მინდოდა მისთვის ხელის შეშლა. ბავშვური გატაცებით განაგრძობდა მუშაობას. ახლას არქიტექტორიც იყო, მშენებელი ინჟინერიც და მუშაც. მაკვივოდ გამოიკვებოდა ქონგურებიანი კედლები, არხი და მიწაყრილი, კოშკი, კოშკურები.

ერთი სიტყვით მოხუცმა მეფის საკადრისი პალატი აავსო. მუშაობა დაამთავრა და წამოვადგა. წელში გაიმართა. სახეზე კმაყოფილება დასათამაშებდა. ჯობზე დაყრდნობილი ამაყად დასცქეროდა თავის ნახელავს.

მე ჩავახველე, მოხუცი შეკრთა. შეშინებულმა შემომხედდა: სადღა იყო მოხუცის ანთებული თვალები, იდგა სხივჩამქრალი, წელში მოხრილი. ძლივს გასაგონად წაილულულა, მაპატიეთ, ხანდახან ასე მემართება. გატრიალდა და თავის ნაკვალევს გაჰყვა.

— რას ბრძანებთ, მე გაპატიოთ? მაპატიეთ თქვენ, გთხოვთ მომიტევოთ. დმერთო, ეს რა ექენი. — დაბნეული გავძახოდი მოხუცი, რომელიც მხრებში მოხრილ ჯობით ხელში ზღვის ნაპირს უყუებოდა.

თამაზ საჩიშვილი.

ნუთუ მართალია?

ავადმყოფი კუჭის არეში „სუსტ“ ტკივილებს უჩიოდა. ოპერაციის შემდეგ აღმოჩნდა 2,533 საგანი, მათ შორის, 947 მოლუნული ქინძისთავი.

1916 წელს დაბადებული არლინ ნიოგარტი წინა თაობის ყველა 14 წარმომადგენელს — ბებებს, ბაბუებსა და მათ მშობლებს მოესწრო.

1978 წლის 7 იანვარს სარგენტო კაპრალ ბაზში შობილი ემილიო მარკოს პალმა იყო პირველი, ვინც ოდესმე ანტარქტიდაში დაბადებულა.

ინდოელ ბერს, სვამი პანლარასანადის, მსოფლიოში ყველაზე გრძელი თმა ჰქონდა. აბურძგნული მასა 26 ფუტს (7.92 მეტრი) შეადგენდა და ათასგვარი პარაზიტის ბუდე იყო.

პუკორი

ნასარტის სათვალე

ნასარტს შუაღამისას გაეღვიძა და ცოლს მუჭლუგუნი წაჭკრა, სად არის ჩემი სათვალეო.

— ახლა მოგაგონდა, შე ოხერო? — ჰკითხა დედაკაცმა.

— რაღაც დამეხიზმრა, კარგად უნდა ვნახო...

პროფესორი და სტუდენტი

მურთაზი მთელი წელი ზარმაცობდა. გამოცდები კარზე რომ მოადგა, მაშინდა დაფაცურდა.

— უდაბნოა თქვენს თავში, — გ. ნწლა პროფესორმა.

— სრული შესაძლებელია, მაგრამ უდაბნოში ოაზისიც არის, სამწუხაროდ, ყველა აქლემი როდი ამჩნევს!

ფიგარო

ომი რომ დაიწყო, ფილარმონია დერბენტში ევაკუირებულ იქნა. დირექტორად დანიშნეს მილიციის ყოფილი უფროსი, რომელიც ყველა რეპეტიციას ესწრებოდა.


ერთხელ არიის შემსრულებელს თითი დაუქცია:

— ნუ გაახურე, რას ნიშნავს ფიგარო აქაა, ფიგარო იქაა?.. ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინე, სადაა და მორჩი ბაზარს!

თარგმან მაგიკონ თამარინაშვილი.



ფოტო
ბადრი
ვარაჭკორიასი



ქრისტიანი
მედიაციკა



ბათუმში
გაიხსნა
ღვთისმშობლის
ტაძარი





მუსიკა

1988 წ.



ნადიმ თორდია

ქალი წითელი წიგნით

1983 წ.

ქალი თეთრებში

1988 წ.



მოსუცი


შემოდგომის ყვავილებით

1988 წ.



ზაფხულის დღე

1980 წ.





ქველანი დროიდან აღამიანე-
ბი საკვებად, საყოფაცხოვრე-
ბო მიზნებისათვის და სამკურ-
ნალოდ იყენებდნენ ფუტკრის
ისეთ პროდუქტებს, როგორი-

ცაა თაფლი, სანთელი, დინდგელი და ფუ-
ტკრის შხამი; უფრო მოგვიანებით კი ცნო-
ბილი გახდა ყვავილის მტკრისა და ფუტ-
კრის დედის რძის ძვირფასი მკვებავი და სა-
მკურნალო თვისებები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ფუტკ-
რის პროდუქტების სამკურნალო დანიშნუ-
ლებით გამოყენების ეფექტი, რასაც განა-
პირობებს მასში სასარგებლო თვისებე-
ბის მაქსიმალურად შენარჩუნება, ბევრად
არის დამოკიდებული მათი მიღების ხე-
რხეზე, დახარისხებაზე და შენახვის წე-
სებზე.

ძველთაგანვე ფიჭებიდან თაფლის გა-
მოსაწურად რამდენიმე ხერხი იყო ცნობი-
ლი: თაფლიანი ფიჭების დაწნევა, მაღალ
ტემპერატურაზე გადნობა, თვითდინებით
თაფლის დახურვა და სხვა. მაგრამ ყველა
ამ საშუალებით თაფლის მიღებას თავისი
ნაკლი გააჩნდა: ფიჭების დეფორმაცია,
თაფლის ხარისხის დაქვეითება, შესრულე-
ბულ სამუშაოზე დიდი დროს დახარჯვა
და სხვა. ამ გარემოებამ მეფუტკრეობის
სპეციალისტები უფრო ეფექტური საშუა-
ლებების ძიების გზაზე დააყენა, რაც თა-
ფლის გამოსაწური ციბრუტის გამოკონე-
ბით დამთავრდა.

სანამ თაფლის გამოწურვას შევუდგე-
ბოდეთ, თაფლიან ფიჭებს სპეციალური
დანების საშუალებით, რომლებსაც ორთ-
ქლით ან ელექტროდენის საშუალებით
ვატყელებთ, უნდა ავ-
ჭრათ გადაბეჭდილი
სანთლის ფენა და შემდეგ ჩავაწყოთ
ციბრუტში, რომელსაც სახელურის საშუა-
ლებით დავატრიალებთ; ბრუნვის შედე-
გად წარმოშობილი ცენტრიდანული ძალ-
ების მოქმედებით ფიჭებიდან თაფლი გა-
მოიშვება და ციბრუტის კასრში ჩაედი-
ნება.

თაფლის შესანახად მოსახერხებელი და
ჰიგიენურია მინის, თხის ან მომინანქრე-
ბული ჭურჭელი. შეიძლება გამოვიყენოთ
ხის კასრები გარდა მუხისა და წიწვოვანი
ჯიშებისა, აგრეთვე დაუშვებელია მისი
შენახვა რკინის ან თუთიის ჭურჭელში.

თაფლთან ერთად არ არის რეკომენდე-
ბული ბოსტნეულის, ხილისა და მძაფრი
სუნის ნივთიერებების შენახვა. თაფლი
უნდა შევინახოთ დახურული ჭურჭლით
მშრალ სათავსოში, რადგანაც ნესტიან გა-
რემოში ის იძენს ტენს და მკვდება; ეს
პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმ-
დინარეობს 15-20 გრადუსიან ტემპერატუ-
რაზე, ამიტომ თაფლის შენახვის ოპტიმა-
ლური ტემპერატურაა 5-10 გრადუსი.

პრაქტიკაში ცნობილია, რომ შესაფერის
პირობებში თაფლი ინარჩუნებს თავის სა-
სარგებლო თვისებებს ათეული წლების და
უფრო მეტი ხნის განმავლობაში.

ფუტკრის სანთელი საფუტკრეში შეგ-
როვებულ სანთლის ნარჩენებისა და ძვე-
ლი — შავი ფიჭების გადამუშავების შე-
დეგად მიიღება.

ღია ფერის ნედლეულის გადამუშავება
მზის სანთლის სადნობის საშუალებით სწა-
რმოებს, შედარებით მუქი ფერისა კი წა-
მოდულებით და დაწნევიან.

დინდგელის შეგროვება მიზანშეწო-
ნილია მთავარი ლაიანობის დამთავრების
შემდეგ. ამ დროს ის შედარებით რბილია
და ადვილად სცილდება ხის ზედაპირს.
სკისა და ჩარმოების სხვადასხვა ნაწილები-



დან მის ასაფხეკად ვიყენებთ საფუტკრის
დანას — ასტამს; თითოეული ოჯახიდან
სეზონის მანძილზე შეგვიძლია მივიღოთ
100-150 გრამი დინდგელი.

შეგროვებულ დინდგელს ვაძლევთ 150-
200 გრამი სიდიდის ბურთულების ფორმას
და ვინახავთ დახურულ ჭურჭელში ბნელ
ადგილას.

ფუტკრის შხამზე მოთხოვნილების გა-
ზრდასთან დაკავშირებით თანდათან დამუ-
შავდა მისი მიღების მეთოდებიც.

დღეისათვის საზღვარგარეთ და ჩვენშიც
წარმატებით გამოიყენება მალაქმწარმოე-
ბლური შხამის მიმღები ხელსაწყო, რომე-
ლიც იდგება სკაში — ჩარჩოების ზევიდან
და სუსტი ელექტროდენის საშუალებით
წარმოებს ფუტკრების გაღიზიანება. ეს
პროცედურა მათთვის მავნე არ არის; შხამი
გამოიყოფა მინის ზედაპირზე, შემდეგ მას
მოაგროვებენ აფხეკის საშუალებით და ინ-
ახვენ ჰერმეტიკულად დახურულ მინის
ქილაში.

ნახარალები სახით ყვავილის მტკრის
შეგროვება შესაძლებელი გახდა მტვერ-
დამჭერის გამოკონების შემდეგ. იგი შე-
დგება ნახვრეტებიანი ფირფიტისა და
მტკრის შემკრებ კოლოფისაგან. ფირფიტა
მაგრდება სკის საფრენში, შემკრები კო-
ლოფი კი მის ქვემოთ თავსდება.

ფირფიტის ხერხელის დიამეტრი ფუტკ-
რის ტანის ზომაზეა გაანგარიშებული, ამ-
იტომ ჭეოთი დაბრუნებული ფუტკარი მა-
სში ვერ ეტევა, ნახვრეტში ნახევრად შე-
სული ძალას ატანს და ფეხებიდან ჭეოს
მარცვლები სცივია, რომლებიც შემკრებ
კოლოფში გროვდება. დღის ბოლოს შემ-
კრები კოლოფები უნდა დაიკალოს.

საფუტკრეში უნდა შევარჩიოთ შედარე-
ბით ძლიერი სკები და დავყოთ ორ ჯგუ-
ფად: სადღედ და ძიძა სკებად.

სადღედ ვირჩევთ ისეთ სკებს, რომლ-
ებშიც ფუტკრები ფარავენ არანაკლებ 5-6
ჩარჩოს, სკაში ერთ ჩარჩოს ეტოვებთ ღია
და დახურული ბარტყით, ხოლო მეორეს
— თაფლით და ჭეოთი. მათ შორის ვდგამთ
კარგი ხარისხის ფიჭიან ჩარჩოს ჩასაკვე-
რცხად. დანარჩენ ფიჭებს ვაცლით, ფუტ-
კარს ჩავუბერტყავთ.

სადღედ სკებში ეს საშუალო ისეთნაირად
უნდა ჩავატაროთ, რომ როცა პირველ
სკას ჩასაკვერცხად ვუდგამთ ცარიელ ფი-
ჭას, მეორე სკიდან იმავე დღეს უნდა შე-

გვეძლოს ერთი დღის ხნოვანების ჭიებიანი
ჩარჩოს ამოღება. ასეთი მეთოდით საშუა-
ლება გვეძლევა სადღედ სკებიდან ყოველ-
დღიურად მივიღოთ ერთდღიანი ჭიების
საჭირო რაოდენობა.

ძიძა სკაში ჩადგმულ ჩარჩოს ხელოვნურ
სადღედებში ფუტკრები სწრაფად იწყებენ
რძის ჩასხმას ჭიების გამოკვების მიზნით.
სკიდან ჩარჩოს ვიღებთ სამი დღის შემ-
დეგ და ვიწყებთ რძის შეგროვებას.

ხელოვნურ სადღედ ჩამებში ჭიების გა-
დასაყვანად უნდა შევარჩიოთ თბილი ოთ-
ახი, სადაც ტემპერატურა იქნება არანაკ-
ლებ 15 გრადუსი. ოთახში საჭირო ტენი-
ანობის მისაღებად იატაკი სველი ტილო-
თი უნდა მოვწმინდოთ ან გაბმულ ბაწარზე
დავიკიდოთ ასეთივე ტილოები. ოთახი
უნდა იყოს ნათელი და სუფთა: სამუშაო
სრულდება ფანჯრის სიახლოვეს სუფთა
მაგიდაზე, რომელზედაც მზის პირდაპირი
სხივები არ უნდა ეცემოდეს. სამუშაო
სრულდება სწრაფად — იმ ვარაუდით,
რომ სადღედებში გადასაყვანი ჭიები ფუ-
ტკრის ბუდეს 30-40 წუთზე მეტხანს არ
მოვაცილოთ.

ამავე ოთახში შეგვიძლია ვაწარმოოთ.
ფუტკრის დედის რძის ამოსაღები საშუა-
შაობები, რომლის დროსაც საჭიროა შემდე-
გი სანიტარულ-ჰიგიენური წესების და-
ცვა: ჭურჭელი და სამუშაო იარაღი უნდა
იყოს დეზინფიცირებულ-სტერილიზირებ-
ული, ტანზე უნდა გვეცვას თეთრი ხალა-
თი, თავპირზე — დობანდის თავსაფარი.
თავდაპირველად სადღედებიდან ჭიები
უნდა მოვაცილოთ, ხოლო შემდეგ მინის
კოვზით დავიწყოთ რძის ამოღება.

სადღედ რძეს ვაგროვებთ მუქი ფერის
მინის ქილებში, როდესაც ქილა გაივსება,
თავი უნდა დავახუროთ ჰერმეტიკულად და
შევიწინოთ მაცივრის საყინულე განყოფი-
ლებაში. აქ მისი შენახვა შეიძლება 10
დღის განმავლობაში, რის შემდეგ უნდა
ჩაბარდეს გადამამუშავებელ საწარმოს.

ერთი სკიდან საშუალოდ დღეში შეგ-
ვიძლია მივიღოთ 2 გრამამდე სადღედ რძე,
ე. ი. 50-დღიანი სეზონის მანძილზე 100
გრამი. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ მი-
ღებული სადღედ რძის რაოდენობა შესა-
ბამისად იზრდება სკის სიძლიერესთან და-
კავშირებით.

განდილოსანი

მე პენსიონერი ვარ, მარტოხელა კაცი. სამოცდაათ წელს კარგა ხანია გადავაბიჯე და სამიქელგაბრიელოდ ვეშაადები. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ცხოვრების ასკეტური წესი, შკაცირი დიეტა და მომჭირნეობის რეჟიმი, ჩემს ასაკში სიცოცხლის განანგრძლივების უბებარი საშუალებაა. და თუმცა ცალი ფეხი ცოდვილ მიწაზე მიდვას, მეორე კი სამოთხეში, გამოგიტყდებით, იქ წასვლა მაინცდამაინც არცკი მეჩქარება.

ცხოვრობ ახალ თექვსმეტსართულიან სახლში, სადაც ბოლო სართულზე ერთთახანი იზოლირებული ბინა მიკავია. არწივის ბუდეს ჰკავია. აქედან, როგორც ფუნქციონირიდან, გადავყურებ ქალაქს. ამავე დროს ახლოს ვარ მამაზეციერთან, რაც მასთან მომავალი შეხვედრისა და ანგარიშგების პერსპექტივას საგარძნობლად მიმსუბუქებს.

ჩვენი სახლის პირველ სართულზე სასურსათო და ხილბოსტნეულის მაღაზიებია განლაგებული. მეზობელ კორპუსში დიეტური სასადილო და საპარკმახერო გახსნეს. ლიფტი, თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ყოველთვის მუშაობს. ამრიგად, როგორც იტყვიან, თანამედროვე ცივილიზებული ადამიანისათვის საჭირო ყველა პირობა გამაჩნია, რომ სიცოცხლის დარჩენილი წლები უშფოთველად დავლიო. შორს წასვლა არსად მჭირდება. ისე, კაცმა რომ თქვას, წასასვლელიც არსადა მაქვს. სამიოდე წლის წინათ მიწას მივაბარე საყვარელი მეუღლე. მეგობარ-მახლობლებისა და ნათესავების წრე ისე შეთხელდა, როგორც ქორიორი ჩემს გამელოტებულ თავზე. ირგვლივ შეიქმნა სიცარიელე, რომლის შევსება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გახლავართ სამამულო ომის ინვალიდი და სხვა პრივილეგიებთან ერთად, უფლება მაქვს, უფასოდ ვისარგებლო ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტით, ვარდა ტაქსისა. მაგრამ მოგეხსენებათ, არავითარ უფლებას ფასი არა აქვს, თუ კაცი ამ უფლებით არ სარგებლობს.

ამიტომ, ცოტათი მაინც რომ გავერთო, გონება გავანიაყო და გავფანტო უსიამოვნო ფიქრები, რომლებიც ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად მეუფლებიან, ზოგჯერ სახლიდან გამოვდივარ და ისე, ჩემთვის, უაზროდ დავბორიალობ.

ასეთი „ექსკურსიები“ დადებითად მოქმედებენ ჩემზე. დარდს მიქარებენ, მხნეობას მმატებენ, აჩქარებენ სისხლის მიმოქცევას და სიცოცხლის წყურველს აღვივებენ ჩემს მობერებულ სხეულში.

ამ დროს ბევრ რამეს ვნახულობ და ვისმენ. უცნაური შემთხვევაც ბევრი გადამხდენია თავს. ყველაფერი ეს ზოგჯერ სიამოვნებასა და სიხარულს მგვრის, ზოგჯერ კი სევდასა და მწუხარებას.

მინდა მოგახსენოთ ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ, რომელმაც დიდად ამაღლევა.

შარშან, გაზაფხულზე მოხდა ეს. სახლიდან გამოვედი იმ განზრახვით, რომ ქალაქის ძველ უბანს ვწვეოდი. იმ უბანში ეამთა სიავეს გადარჩენილი საცხოვრებელი სახლებისა და ისტორიულ ნაგებობათა აღდგენა-არესტავრაცია მიმდინარეობს.

კარგი საქმეა. მომავალ თაობებსა და ცნობისმოყვარე ტურისტებს რაღაც წარმოდგენა მაინც ექნებათ ძველი თბილისის ეგზოტიკური იერის, თვითმყოფადი არქიტექტურისა და მარადისობაში ვარ-

დასულ მის ყოფილ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ადრიანი დილაა. ხალხი სამუშაოზე მიიჩქარის. ავტობუსში ყველა ადგილი დაკავებულია. ფეხზე დგომამ მომიწია. წონასწორობა რომ დამეცვა, ხელი იმ სავარძლის სახელურს ჩავჭიდე, წითელყელსახვევიანი თორმეტოდე წლის ყმაწვილი რომ იჯდა. ვიმედოვნებდი, ყმაწვილი ყურადღებას მომაქცევდა და ადგილს დამითმობდა. სხვათა შორის, ჩვენს სინამდვილეშიც ხდება ხოლმე ასეთი კურიოზული შემთხვევები. მაგრამ მოსწავლე მკვიდრად იჯდა სავარძელში, ქუჩისაკენ იცქირებოდა და არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა. ვერც ჩემმა ხველებამ და ვერც ადგილზე წრიალმა ვერ მოაშორებინა თვალი ფანჯრიდან გადაშლილ პანორამას.

მორიგ გაჩერებაზე ავტობუსმა წინა კარებიდან ჩამოცალა მგზავრთა ერთი ნაკადი, უკანიდან კი მეორე შეისრუტა. ადგილიდან დაიძრა. ვიღაც შავებში გამოწყობილმა, ხანშიშესულმა მანდილოსანმა, რომელსაც ძველებური გახუნებული შლიაბა ეხურა და ცხვირზე ადამის დროინდელი პენსე ეკეთა, მკვახედ შენიშნა მოსწავლეს:

— ყმაწვილო, თავს ნუ იკატუნებ, კეთილი ინებე და დაუთმე ადგილი უფროს ადამიანს.

ყმაწვილი შეცბა. რაღაც წაიბუტბუტა. იატაკიდან წიგნებით გატენილი ჩანთა აიღო. უკმაყოფილოდ გადახედა უცნობ მანდილოსანს, უხალისოდ დამითმო ადგილი და იქაურობას გაეცალა.

— ახ, როგორი ახალგაზრდობა გვეზრდება, შეწუხებული ხმით დაიჩვილა მანდილოსანმა. შემდეგ ჩემსკენ გადმოიხარა, ხელი ტუჩებთან მიიღო, თითქოს რაღაც საიღუმლოება უნდა გამანდოსო და დაბალი ხმით გადმომიჩურჩულა:

— უნდა მოგახსენოთ, ორგანულად ვერ ვიტან უზრდელ ბავშვებს. ალბათ იმიტომ, თვითონ ინტელიგენტური ოჯახიდანა ვარ. მამაჩემი წარმოშობით აზნაური გახლდათ, გასაბჭოების შემდეგ კი ობერკონდუქტორად მუშაობდა საფოსტო მატარებელზე „თბილისი-ბათუმი“-ზე, ბავშვობიდანვე გვიწერავდა უფროსების პატივისცემას, მაშინაც კი, როცა ისინი ამას არ იმსახურებდნენ. ახლა სადღაა უფროს-უმცროსობა?!

— უთუოდ მეტად განათლებული კაცი იქნებოდა, სიამოვნებით ჩავები ლაპარაკში, რადგან ამის საშუალება იშვიათად მეძლეოდა.

— სათავადაზნაურო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, — სიამაყით წარმოსთქვა მანდილოსანმა. — თუმცა რა შუაშია განათლება, ინტელიგენტობა ადამიანის შინაგანი ბუნების გამოვლინებაა და რასაკვირველია, წესიერი აღზრდის შედეგი გახლავთ. დღეს ვინ ასწავლის ბავშვებს ეთიკასა და ზრდილობას. ან კიდევ ვისგან უნდა ისწავლონ, როცა თვით მათ აღმზრდელებს არ გააჩნიათ იგი. — დაიქოქა ჩემი თანამგზავრი.

— მაგალითისათვის მოგახსენებთ. ერთი მეზობელი მყავს. დოცენტია, სამი შვილის მამა. კვირაში ხუთი დღე ნასვამია. შაბათ-კვირებით კი ისე გამოიბრუყება ხოლმე, ფორთხვით ამოდის კიბეებზე. თითებოთ იჩიჩქნის ცხვირს და იმ თითებით მიირომევეს საჭმელსაც. ყოველი ორი სიტყვის შემდეგ მეტლესავით ივინება... აბა, რა სიკეთე უნდა ისწავლონ მისგან შვილებმა?

ცხოვებული მამაჩემის პირიდან ერთი უწმინდური სიტყვა არ გამიგონია, მაშინაც კი, როცა გუნებაზე არ ბრძანდებოდა. საცვლების ამარა ან გაღვლილი პერანგით ჩემს დღეში არ მინახავს. ის დოცენტი კი ზაფხულობით ტრუსების ამარა დატანტალობს აივანზე. შევარცხვინე მაგის ინტელიგენტობა.

— მართალი ბრძანდებით, — დავუდასტურე მე. — ძველი თაობის წარმომადგენლები ამ მხრივ დიდად განსხვავდებიან თანამედროვეთაგან. ახალგაზრდობასაც ნუ დავემდურებთ, რადგან ცხოვრება უკანახებთ, სიყრმიდანვე მიეჩვიონ სავარძელში განცხრობით ჯდომას. ბოლოს და ბოლოს მათაც ხომ მოუწევთ ამქვეყნის მართვა-გამგებლობა. ეს თვისება უთუოდ გამოადგებათ მომავალში.

ჩემი ნათქვამი მეტად მოეწონა მანდილოსანს, მჭკუნვარე სახეზე დიმილმა გადაუბრინა, სახე გაებადრა, ტონს დაუწია და მითხრა:

— სიტყვამ მოიტანა და ერთი საიდუმლოება უნდა გაგანდოთ. დისშვილი მყავს, მეცხრე კლასის მოსწავლეა. წარმოიდგინეთ, ეს ლაწირაკი უკვე ოცნებობს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამამე სარფიან ადგილზე მოწყობაზე. მაღაზიის დირექტორობაზე ნაკლები თანამდებობა არ უნდა. ისე კი საშინლად ზარმაცი, თაღლითი და უქნარაა, ვაწამებულია ჩემი საბრალო დაია. პირდაპირ არ ვიცი, რა ეშველება იმ უბედურს.

— გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ამ ამბავს, ქალბატონო, — დავამშვიდე საგონებელში ჩავარდნილი მანდილოსანი. — ცხოვრებისეული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმთავრესად სწორედ თქვენი დისშვილისნაირი ახალგაზრდები წარმატებით აღწევენ მიზანს. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხვალ ან ზეგ, იგი რომელიმე მაღალ თანამდებობრივ ქანდარაზე წამოსკუპული იხილოთ.

— ლმერთმა კაი ყურით გისმინოთ. მეც ამის იმედი მაქვს, — ამოიხრა მანდილოსანმა და ჩაფიქრდა, ალბათ თავისი დისშვილის მომავალ კარიერაზე ოცნებამ თუ გაიტაცა.

ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ. ჩვენს შუა ნახევრად ავტომატური სალა-როა. მგზავრები მაინცდამაინც არ ეტანებიან ტექნიკის ამ სიახლეს და არ გვაწუხებენ. ისიც შესაძლებელია, ბევრ მათგანს აბონიმენტებიც ჰქონდეთ შეძენილი.

— უკაცრავად, — მცირე პაუზის შემდეგ შეწუხებული ხმით მომმართა მანდილოსანმა. — შალურიანი ხომ არ გექნებათ? სახლიდან ისე გამოვედი, ხურდა არ გამო-

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



მყოლია. ათშაურიანი მონეტა მაჩვენა. ძალიან ცუდია, ავტობუსში ფულს ვერ დაახურდავებს ადამიანი.

მე განვუმარტე, რომ უფასოდ მგზავრობის უფლებით ვსარგებლობ და ამიტომ ჩიბეზე ხურდას არ ვატარებ.

— ო, რა ბედნიერებაა, ესე იგი დაგიმსახურებიათ ასეთი პატივი, — შემაქო.

როდესაც ქალაქის ცენტრს მივუახლოვდით და ავტობუსში ამოვიდა მგზავრების ახალი ნაკადი, სალარო ამუშავდა. ჩემი თანამგზავრიც შეუდგა ფულის დახურდავებას. იგი ართმევდა მგზავრებს შაურიანებს და ნაკადი კონტროლირებით უხევდა ბილეთებს.

ამის შემხედვარემ, ჩემს ცენტლმენურ ვალად ჩავთვალე, დავხმარებოდი გასაჭირში ჩავადნილ კეთილშობილ მანდილოსანს და საქმის დასაჩქარებლად დროგამოშვებით მეც ვავგოვებდი შაურიანებს, ვხევი ბილეთებს და თავაზიანად ვაწოდებდი მგზავრებს, ფულს კი უკლებლივ ჩემს თანამგზავრს ვაბარებდი.

რომელიღაც ახალგაზრდამ შაურიანის ნაცვლად სამკაპიკიანი გაუწოდა. მანდილოსანმა მკაცრად შენიშნა, რომ ავტობუსის ბილეთი ხუთი კაპიკი ღირს.

— ეს რა? ანგარიშსწორების ახალი ფორმაა?! — ფული მაინც აიღო და ბილეთიც მიაწოდა ხელმომჭირნე ახალგაზრდას.

— ნამდვილი „ოთარაანთ ქვრივია“, სამართლიანი და გულკეთილი, — რატომღაც გუნებაში გავიფიქრე.

უცებ შემფოთებული მანდილოსანის სანდომიან სახეზე ჩრდილმა გადაირბინა. მერე ისიც დავინახე, რა სწრაფად გააცურა ხელი სალაროსაკენ და ამჯერად ბილეთი თავისთვის მოხია.

იქითვე გავიხედე, საითქენაც მზერა მიეპყრო მანდილოსანს. თვალი მოვკარი შუახნის მამაკაცს ლურჯ სპორტულ ქურთუკში, ხელზე კონტროლიორის წითელი სამკლაური რომ ეკეთა. წითელსამკლაურიანი კაცი მგზავრებით გავსებულ ავტობუსში პნევმატიური უროსავით შთარღვევდა ცოცხალ კედელს და ჩვენ გვიახლოვდებოდა.

უნებურად ხელი ჩიბეზე მოვისვი, მოწმობა მოვისინჯე.

ამ დროს ვიღაც ახმახი მოიჭრა სალაროსთან და უცერემონიოდ მოხია ორი ბილეთი.

— მიმოზა, მიმოზა, თქვენი ბილეთი აღებულია, — რიხიანად დასკექა.

— გმადლობთ კუკა, რატომ წუხდებით?! — მოისმა ავტობუსის ბოლოდან ყმაწვილი ქალის მინაზებულვი ხმა.

— ფული ამხანავო, ფულის ჩაგდება დაგავიწყდათ: — შეახსენა ჩემმა თანამგზავრმა ახმახს.

ცხვირს ნუ ჰყოფ, დედილო, სხვის საქმეში, — შეუღრინა პასუხად ახმახმა და ისე გადაჩედა წესრიგის დამცველ მანდილოსანს, რომ ამ უკანასკნელს შიშისაგან ენა მუტელში ჩაუვარდა, მე კი ზურგზე ქიანჭველების ლაშქარმა გადაამირბინა.

მგზავრების დახმარებით ამხანავმა კუკამ ბილეთი ვადაწოდა ნაცნობ ქალიშვილს, თვითონ კი უახლოეს გაჩერებაზე ჩავიდა.

— ნახეთ, რა მოხდა!? — ყვედრებით მომმართა აღელვებულმა მანდილოსანმა.

უნებრულობა ვიგრძენი. ნირწამხდარმა თავი მისკენ მივებრუნე.

— არა, პირდაპირ აღმაშფოთებელია, — არ ცხრებოდა ჩემი თანამგზავრი. — აბა, რასა ჰგავს ეს!? დღისით, მზისით სახელმწიფოს ძარცვავენ და ამდენ ხალხში კაცი არ გამოჩნდა, რომ პასუხი მოეთხოვა ამ ზრეწრისათვის.

ეს შენიშვნა ჩემი მისამართით იყო ნასროლი.

— ბოლიში, მაგრამ კაციც ვარ და ქუდიც მხურავს, — შევუტეე. ორი წელიწადი ფრონტზე ვიბრძოლე სამშობლოსათვის. რაღაც სასწაულით ცოცხალი გამოვედი იმ ჯოჯოხეთიდან და მართალი მოგახსენოთ, ორი შაურისათვის თავს ვერ შევავლავდი იმ მუტრუკს.

— თქვენ სულაც არ მყავდით მხედველობაში, — მიტია მანდილოსანმა. — აქ სხვებიც იყვნენ, მაგრამ ყური არავინ გაიბარტყუნა. დარწმუნებული ვარ, კაციც

რომ მოეკლა, ხმას არავინ ამოიღებდა. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენია ასეთი თალღითი მგზავრი და როგორ ზარალს აყენებენ ისინი სახელმწიფოს!? ერთი ვიცოდე, ნეტავ, რაში აძლევენ ჯამაგირს ამ უსაქმურ კონტროლიორებს?

ესა თქვა გაანჩხლებულმა მანდილოსანმა და კონტროლიორიც ჩვენს გვერდით გაჩნდა. გამოირკვა, რომ ისიც ჩვენსავით რიგითი მგზავრი ყოფილა, მხოლოდ მის მოღურ ქურთუკს ორივე მკლავზე სადა, წითელი ნაჭერი ჰქონდა ჩაკვრებულად.

ამასობაში ავტობუსი ცენტრალურ უნივერსიტეტთან გაჩერდა, ჩემი თანამგზავრი აწრიალდა.

— ღმერთო ჩემო, ამ ლაბარაკში კინალამ საჭირო გაჩერებაზე ჩამოსვლა დამავიწყდა. მართალი ვითხრათ, ძალიან ნასიამოვნები დავიჩი თქვენთან საუბრით. ჩვენს დროში ძნელად შეხვდები ნამდვილი ინტელიგენტს. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ფაცაფუციტ დამემშვიდობა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— ქალბატონო, ფულის ჩაგდება დაგავიწყდათ სალაროში, — მაშინ კი შევახსენე.

— ოი, ოი, ოი, — შეიცხადა მანდილოსანმა. — ყველაფერი ამ წყეული სკლეროზის ბრალია: გმადლობთ, რომ მომაგონეთ.

სწრაფად შემობრუნდა და ზურგით ჩემკენ მდგომმა, რაღაც ჩააგდო სალაროში. ცნობისმოყვარეობამ წამძლია, წამოვდექი და სალაროს გამჭვირვალე ხუფში ჩავიხედე: რეზინის მინა-ესკალატორის შავ ფონზე ოქროსფრად ბრწყინავდა ეული სამკაპიკიანი...

ამ შემთხვევის შემდეგ საქალაქო ტრანსპორტის მგზავრობისას თუ შევამჩნიე, ვინმე ვერცხლის ფულის დახურდავებას ითხოვს, მაშინვე მაგონდება ჩემი თანამგზავრი ინტელიგენტი მანდილოსანი და უსიამოვნო გრძობა მეუფლება.

პენსიონარის ნაამგოვი ჩაიწვრა
გიორგი პრიგოლინა.

სიუჟი

ოთხნი

ძველ ამბავს ვუყვები, ათი წლის წინანდელ ამბავს. დავიწყების ღირსი იყოს, მეხსიერება არ შემოინახავდა. თითქოს არაფერია, ამასაც ისე უნდა ჩაველო, როგორც იმ ათი წლის წინანდელ გაზაფხულს. გაზაფხულზე ამას რომ ვამბობ, ვიცი, უხერხულია, მაგრამ გაზაფხულებიც ერთმანეთსა ჰგავს სილამაზით — ერთფეროვნება სილამაზესაც გულისხმობს. როცა სოფელში მივდივარ და ჩალაუბანს ვავცდები, იმ გაზაფხულის ერთი საღამო მახსენდება — სიხარულის ნაცვლად სევდა მაწევბა — წლები წადის და თანდათან ვშორდები. იმაზე კი არ მწყდება გული, რატომ მივდივარ-მეთქი, რომ მოვედი, ამაზე. არაფერი მჭირდა სატანჯველ-საწვალბელები, მაინც ჩამიმწარდა სიცოცხლე. ცხოვრებას ვერ ავუღე ალლო, მკითხავენის იმეღზე დავდევქი — ამინდი გამოკეთდებაო. ლოდინში ის ასაკიც გავიდა, სასაფლაოს დანახვა რომ აღარ შეგვაუჩიარებდნენ ხოლმე. მერე უკან მივიხედე და თავი შემეცოდა: რა სავალდებულო იყო ამ გზის ჰაპანწყვეტით გამოვლა, სხვა რომ საკუთარი ცხოვრების დაღინებაზე ფიქრობდა, მე რაღა სამშობლოს სიყვარული ამიტყდა! მეცხრამეტე საუკუნის ჩვენებური გლეხის სიალალით ვიჭერებდი ყველაფერს და ღლავის დასაჭერად გადაგდებულ ანკესს წამოვყავი.

გაზაფხულის ის საღამო მხოლოდ მაშინ მახსენდება, სოფელში რომ მივდივარ და ჩალაუბანს ვავცდები. ბუნებრივია, ვერც აქიდან ავუვლი გვერდს იმ პატარა ველებს, გზის პირას რომ იწყება და ბუჩქნარში შედის. ბუჩქნარს იქით მუხის ტყე იწყება, გორებს ასდევს და გორებს გადაღმაც გადადის. მარტო მუხები ჩანს, აქა-იქ რცხილა, შავრცხილა, იფანი, ხეშავა, ცაცხვი, ნეკერჩხალი ურევია. მაგრამ ისეა აწლიო-კებული, მოსჭრა, ფიჩხის ლობიოს შესადგმელად თუ გამოიყენებ, გაზრდას არ აცლიან, შეშას როგორღა დაყრის! ბალამწარა, შინდი, კუნელი გამოჩნდება ხოლმე გაზაფხულობით — როცა ჰყვავიან, მაშინ. სხვა დროს როგორ დაინახავ კანონით გაბრეყებულ ვეება მუხებში — თუნდაც ნაჯახს ვაგვიყვებს, სამართალში მისაცემად გაგიმეტონ, შავი ღღე დაგაღვება. მთლად დაჯღარკულ მუხასაც იცავს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ რკო არ უმძიმებს ტოტებს. ან რკო რაში სჭირდებათ, მთელი საქართველო მოიარო, გარეულ ღორს ზოობარკშიც ვეღარ შეხვდები, შინაურს კი არავინ შეგაშვებინებს ტყეში. ერთიც ვნახოთ, მაინც შეგხვდა, ტყის მფარველები გეტყვიან, ექსპერიმენტს ვატარებთ, იქნებ გაგარეულდესო. საყურადღებო მიგნებაა! — გარეული თუ მოვიშინაურეთ, შინაურის გაგარეულება რატომ არ შეიძლება ვითომ? ზოგი ამას ხუმრობაში ჩაუთვლის. ერთხელ მეც სიმართლე ვთქვი და, იუმორის გრძნობა გქონიაო, შემაქებს: საშვიდ-ნოემბროს სუფრასე თამადაშ სტალინის სადღერძძლო ბრძანა. საპატიო ვინმე გვერია, ვეღარ დავლევო, ღვინით მოპიპინებული ჭიქა ხელის ზურგით გასწია გვერდზე. წამოვუხტი: არ დაგიღვევია, ხელდას დაგაღწავ თავზე! მე ვთქვა უარი, კიდეც ჰო, ის არ ყოფილიყო, მაგ პატიოსნებისა და ცოდნა-განათლების პატრონს ასეთ თანამდებობას ვინ გაღირსებდა-მეთქი. დალია.

როგორ უღიმღამოდ უნდა გამეტარებინა

თუნდაც ის ათი წლის წინანდელი გაზაფხული, მთელი იმ სამი თვიდან ერთადერთი, მხოლოდ ერთადერთი ღღე რომ მახსოვს! ის ღღეც არაფრად ეღირება მისთვის, ვინაც, ჩემი არ იყოს, პატარაობისას ეგონა, სიცოცხლე გაუნელებელი სიხარულიაო, ოღონდ ჩემგან განსხვავებით გაუმართლა კიდევაც. ნურავინ დაიწყებს ქირქილს, ამ ამბავს ბოლომდე რომ მოისმენს — ასეთი კარგი ღღეები იშვიათად გამოერევა ხოლმე ჩემს ცხოვრებაში, ასე კარგადაც იმიტომ მახსოვს.

ოთხნი მივიღოდი თქვეთში — ჩემს სოფელში: მე და ჩემი მეუღლე, ზურაბი კი თავისი ლამაზი, ხითხითა ბიჭით — ნიკაით. წინ ისინი იხსენდნენ, უკან — ჩვენ. ნიკა მესუთუთ თუ მეექვსე კლასში იყო მაშინ. ზურაბი უურნალობს, მაგრამ სხვა მხრივაც იცნობს ქვეყანა — ესტრადაზე გამოდიოდა კარგა ხანს, ბოშურ სიმღერებს ასრულებდა. არც ჩემი ცოლია უმშუშვარი, საოჯახო საქმეები აბარია და ბაზარ-მალაზიებშიც დადის ხშირად, მაგრამ უფრო ფასები ანტიტერესებს, ვიდრე ყიდვა. მე კიდეც ესა ვარ, რაცა ვარ.

თავისი „მოსკვიჩით“ მივყავდი ზურაბს. ის მანქანა ისე იყო მოფახფახებული, აღმართს რომ შევუღებოდით, მეგონა, ჩაუქრებოდა და ამვლელს ან ჩამომვლელს შევებვეწებოდით, მიგვიბო. მაგრამ ზურაბმა მაშინაც მაგრად იცოდა მანქანა — რა უნდა გაუჭებოდა, უცებ არ მიეგნო და უცებ არ გაეკეთებინა! ომის დროს სატვირთო მანქანაზე იჭდა — დამხმარე ერქვა, თბილისელმა უკრაინელმა შეიკედლა. იმ უკრაინელს სიმღერა უყვარდა და, როგორც ზურაბი ამბობს ხოლმე, სწორედ სიმღერამ გადაარჩინა — იმ შიმშილობის უამს სამ ოჯახს ინახავდა ეს პატარა ბიჭი. ამ თბილისელ უკრაინელს ბერიკაცი ეთქმის უკვე, ორჯერ შევხვდი ზურაბის ოჯახში. ისე ესიყვარულბოდნენ ერთმანეთს, რაღა ესენი და რაღა მამა-შვილი.

მე და ჩემი მეუღლე საქმეზე მივდივართ სოფელში — დედაჩემიც უნდა ვნახოთ, ვენახიც მისახელი გვაქვს. მაგრამ ზურაბი რატომაც მოდის, მართალი გითხრათ, ამასა ჰქვია საქმე!..

აზნაურები ხართო, სახლ-კარი, ზვარი, ტყე-ჭალა, სახნავ-სათესი არ შეარჩინეს, მამა-პაპას გაუჩერებდნენ სოფელში? მათ ნასახლარზე ისეთი მავყალია მოდებული. ნახევარი სოფელი იმ მავყლის მურაბას აკეთებს. კედლები ნახევარ მეტრზეღა ამოწეული. იმასაც დაანგრევდნენ, მაგრამ ისეა ჩადულაბებული, ლომ-წერაქვითაც ვერაფერი დააკლეს — ენჭი ვერ გამოაძ-

რეს. ამათი სახლიც, ნათესავ-განაყრებისა, ბრტყელი, ქართული აგურით იყო აშენებული. გაივრი სოფელში, სახლ-ჭაქმენქ დაჯ, სათონებს, ბოსლებს, ნაშურალებს აგური გეტყვით, ამათი გვარი ვინ გააშუქა სოფლიდან, ვინ დაანგრია ის დიდებული სასახლები. სიღარიბიდან რომ ვერ ამოსულხართ, ამათი ბრალიაო, ადვილად დაარწმუნეს წერა-კითხვის უცოდინარი ბრძენები და, ვილაც მადლიანს არ გაეფრთხილებინა და არ გაესწროთ, მარტო იმ მასწავლებლებს, ცოლ-ქმარს ვინ დაეძებს, მთელ საგვარეულოს ამოუყუყავდნენ. ტახტის აზნაურები იყვნენ, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტები რა სათქმელია, კემბრიჯისას და სორბონისას ამთავრებდნენ. ხელოვნებაშიც წილი ედოთ, მეცნიერებაშიც — ყველაფერში. სოფლის მასწავლებლებიც ესენი იყვნენ, მკურნალებიც. მერე აღარც განცხადების დამწერი ჰყავდა სოფელს, აღარც საფალარათო ზეთის გამომწერი. მკითხავი რამდენიც ვინდა! თქვენზე კარგად ცხოვრობენო?! ცხოვრობდნენ — ექიმს ექიმი ერქვა, ინჟინერს ინჟინერი, მასწავლებელს მასწავლებელი და არც მათხვერული ხელფასი ჰქონდათ. მიწას ალაღავებდნენ?! ალაღავებდნენ — მოსავლის ცხრა წილი მომხვენელ-მომყვანისა იყო, ერთი წილი ამათი. ხალხსა ყვლეფენო?! ეს თუ გაუვლევია, ის რაღა, კილო ყურძენში ორმოც კაპიკს რომ მაძლევენ, იმ კილო ყურძნიდან გამოწეულ 0,7 ლიტრ ღვინოში კიდეც მევე მახდლებინებენ სამას კაპიკს, ანუ სამ მანეთს. გავბრაზდი თორემ, თავი გამხსენებოდა, შვილებიც, ამას რა მათქმევინებდა!

ზურაბს ყოველთვის მანქანაში უღევს გიტარა. ვისაც ვინდა, დაენიძლავე, მოგებული ხარ. ამაზე იყო, ერთმა ვინმემ, გიტარა ზურაბიო — ასე მოისხენია ხალხში. ის ერთი ვინმე ყველას თავისი ჭკუით მიაკერებს ხოლმე თიუნს, თვითონ რომ გლდანის სანაგვეზეა გასატანი, ის არაფერი ზრდილობით, სიკეთით ხავსეა ზურაბი. იმ ერთ ვინმეს კი სათბურში გაზრდილი ეგონა და ცხვირ-პირის დალილავებასაც გამოჩინა იმავე ხალხში. ეს ამხელა მუტრუკი, ეგრევე, ცხვირ-პირ ამღერებული გავარდა მილიციისაში, დამჩაგრეს, დამიბრიყვეს, მცემსო. გამოვარკვევთო. ვინ დაემოწმა! ამით კიდეც ერთხელ დამტყიცდა, რომ თვალები მარტო ცრემლის დასაღვრელად კი არა გვაქვს, არც მარტო წირბლის მოსაგროვებლად, არამედ დასახუჭადაც.

ისევ სიმღერამ უშველა ზურაბს — მეგობრის დაბადების დღეზე იმღერა თურმე. ჩვენი რაიონის ერთ-ერთი მოღურავი ყოფილიყო იქა, მოსწონებოდა ზურაბი, გეცნო და სადაურობა ეკითხა. თქვენი რაიონიდან ვარ, იქაური ფესვი მიყვირის, იქაური ნასახლარი, იქაური ნაწეოვარ-ნავენახარი, მაგრამ მტკაველი მიწა არ მამაღია, ქოხი მაინც ჩავდგაო. შენისთანა კაცს მიწას როგორ დავუჭერ, მარტო იქამდე ჩამოდი და დამენახვეო. ჩვენი რაიონის ის ერთ-ერთი მოღურავი სხვაგან გადაიყვანეს — დაწინაურეს. ახლა სხვა გამოღურავდა და ჩვენი რაიონი ახლა მას ჰგონია თავისი... დაენახვა ზურაბი — საეწვევც მოუწომეს და შემოლომა კიდეცაც, წნული მავთული შემოავლო.

საგარეგოს გამოვცდით. ნელა მიჰყავს ზურაბს მანქანა, რა გვეჩქარება, ყვავილობაშია ხეხილი, სიცოცხლე უხარია — ისე გაუფერადებია ქვეყანა, ტოტი შეატენო, კანონი მეკითხებოდეს, სამხრეთში რა მე-

საქმება, ჩრდილოეთ პოლუსზე გავისვრი-
ლი და ბალახსაც მოვანატრებდი.

— სახლი როდის უნდა დაიწყო? — ე-
ითხება ჩემი ცოლი.

— გაისად, მანამდე პროექტი მაქვს მო-
საფიქრებელი. შენ რას იტყვი, ნიკა?

ჩემ ვერაფერს იტყვის ნიკა, ამ ხეხილ-
ვით სიცილის გუნებაზეა ჯერჯერობით.

— დაპროექტებინებ, ალბათ.

— ვის უნდა დავაპროექტებინო?

— არქიტექტორს.

— არქიტექტორმა ჩემზე კარგად იცის,
რა მინდა?

— ეტყვი, რაც გინდა, ის კიდეც და-
პროექტებს.

— არა, მე ჩემი გემოვნებით უნდა ავა-
შენო. ის სახლი, სოფელმა რომ დავგინ-
გრა, პაპაჩემის გემოვნებით იყო აშე-
ნებული. მომსწრებმა მითხრეს წინა კვი-
რას, ამ ახლომანლო უკეთესი შენობა არ
იღგაო.

ჩემი ცოლი რაღაცის თქმას აპირებდა
და აღარ თქვა, სამაგიეროდ მე ვამბობ:

— ტრადიციას გულისხმობ. პაპაშენი
ალბათ ცხენით დადიოდა ხოლმე თელა-
ვში. რაო, შენც ცხენით უნდა გაება ამხ-
ელა გზაზე?

— თქვენი სახლის პროექტი ქალაქ-
ზეც მინახავს და აშენებულსაც ვხედავ-
ადრეც მითქვამს — მომწონს, მაგრამ გე-
მოვნების ამბავია — მაგისტანას არ ავა-
შენებ.

ვატყობ, უსიამოვნო კალაპოტში ვარდ-
ება საუბარი, ამიტომ არც ზურაბს ვუტო-
ვებ ფიქრის დროს:

— ჩემი ერთი კოლეგა მეუბნებოდა, სა-
ხლის აშენება მინდა, მაგრამ მეშინია, ამ
მხრივ გამოცდილება არ გაკლია, მასწავლე,
თუ ძმა ხარ, როგორ ავაშენო. მაგაზე ად-
ვილი რაღაა — მთავარია საძირკველი ჩა-
აგდო, მერე სოფლისა შეგრცხვება და, ვა-
ლი გახრჩობდეს, მაინც ააშენებ-მეთქი.

— მართლა ასეა? — სიჩქარეს უმატებს
ზურაბი.

— ჩემი შეძლების პატრონი სხვანაირად
ვერც ავაშენებდი.

— ჩემი სახლის პროექტის დიდებულ
გადაწყვეტას მივაგენი. ჩვენი უფლი სახლის
საძირკველის ერთი ნაწილი, თავისი ნახე-
ვარმეტრიათი კედლით, მარანში უნდა მო-
ვაქციო. მაგრამ ამ ნარჩენს კი არ გავაგ-
რძელებ კედლად, ასევე დავტოვებ. თუ
გახსოვს, ღელის მხარეს ორმოა დარჩენი-
ლი, ნამარნალია ისა. ისე უნამუსოდ ამო-
ულიათ ქვევრები, ორჩაფიანი ზედაშეც
არ დაურჩინიათ. მარტო ხუთურმიანია და-
რჩენილი, ვერ ამოულიათ და ჩაუმტვრე-
ვიათ.

მეცინება.

— რა ვთქვი სასაცილო? — სარკიდან
მიყურებს ზურაბი.

— რაღა ნამუსსა სთხოვ იმათ?

— დამავიწყდა.

— ამ ქალაქელმა კაცმა ჩაღეწილი ქვე-
ვრის ხუთურმიანობა საიდან დაადგინე?

— ხვთისო ძიამ მითხრა, ორჯერ გამი-
რეცხავს, კიბით ჩავდიოდი და ამოვდიო-
დიო.

— ხვთისო ძია ჩვენი მეგობრის მამაა —
ტყუილს არ იკადრებდა.

— მარნის ყრუ კედელი რომ ყოფილა,
გზიდან საძირკველი გეგონება, ღელის
მხრიდან — კედელია, თალიანი თახჩა
ჰქონია. ასევე უნდა დავტოვო ახალ საძი-
რკველ-კედლიდან ასე, მეტრის დაშორე-
ბით და ნიშად ვაქციო. არც ერთ რელი-
გიურ დღესასწაულს არ გამოვტოვებ, სა-



ნთელი არ დავანთო და ღმერთს არ შევე-
ვედრო: ღმერთო, წინაპართა სულები მი-
ცხონე, ნათელში მიმყოფე, ღმერთო! აქ
ვერ გაიხარეს, იქ მაინც გაახარე, ღმერ-
თო!.. წინაპართა ნაფუძარზე დავსახლდი,
ღმერთო, ამასაც ნუ გააპარტახებინებ ნუ-
რავის, ღმერთო! შენ მაინც იცი, ჩემი წი-
ნაპრებისა არ იყოს, ჯერ სამშობლოს შე-
გავედრებ ხოლმე, ღმერთო!

— წმინდა სანთლით მე მოგამარაგებ,
შენ გაგიჭირდება შოვნა — ღმერთისაც
აღარ ერიდებათ, სანთლის ფალსიფიკაც-
იაც დაიწყეს...

ნიახურას ციხე უკან დარჩა. ნიკა გარეთ
იხედება ერთთავად, რაიმე რომ მოეწონე-
ბა, ცმუკავს.

— ერთ საათში ჩავალთ? — კითხულ-
ობს ზურაბი.

— მანამდე რა გვინდა! მოდი, ის მოგვი-
ყვი, ორი კაცი ღვინოს რომ სვამდა ვერის
ბაზარში.

— ნიკა რას იტყვის? — შვილს თავზე
უსვამს ხელს.

— რაზე მეკითხები, მამა? — შეშლიმის.

— რაღაც უნდა მოვყვე, შენ კიდეც სხვას
ხომ არ მოუყვები-მეთქი.

— არ უნდა მოვუყვე არავის?

— რომ მოუყვე, ის კიდეც სხვას მოუყ-

ვება, შვილო, ვინმე ბოროტი გაიგებს და
დამიჭერენ.

— არავისაც არ მოვუყვები!

— დამჭერე ბიჭი ხარ და იმიტომაც უყ-
ვარხარ ყველას! ეგე, ძიასაც უყვარხარ,
არ უყვარდე, ნიკოლოზ მესამეს კი არ და-
გარქმევდა!

ზურაბის მამა ოცდაჩვიდმეტ წელში და-
იჭირეს და საფლავადაც აღარ დაუტოვეს
ოჯახს. რა უნდა დაეშავებინა — ნიჭიერი
კაცი იყო, ლამაზი, ზრდილობა-პატიოსნე-
ბით სავსე. ნაბიჯის ხმას არ აწყულია, ცა-
რიელი ლაპარაკით და ლოზუნგებით კი
არა, საქმით ემსახურებოდა ქვეყანას. უნი-
ჭო, შურიანი არაკაცის შეთითხნილ ბრალ-
დებას შეეწირა ორივე. ამდენი ხალხი
ჰყავდათ დასახვრეტ-გასაცემიბირებელი,
ფაქტების შესამოწმებლად სად ჰქონდათ
დრო! უნიჭოების, უსაქმურების ბრალია
ნიჭიერი ხალხის დაღუპვა, თორემ როდის
იყო, ნიჭიერი ნიჭიერსა ღუპავდა! ნიჭიერ-
ებსაც აქვთ ერთმანეთთან სადავო, საკინ-
კლაო, საჩხუბარი, მაგრამ ასეთი უსიამო-
ვნება არასოდეს გადასცდენია კაცთმოყვა-
რეობის ზღურბლოს, არასოდეს მონატრე-
ბიათ ერთმანეთის სიკვდილი. ერთმანეთის
გაქრობაზე გაუთავებელი ფიქრი, ენის

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ლ. თეა

19038

ტრიალი, მიდგომ-მოდგომა სახელმწიფო მოღვაწეების პროფესიული ავადმყოფობაა მხოლოდ.

— შენ არ მოგისმენია ეს მშვენიერი მინიატიურა? — ჩემს ცოლს ეკითხება ზურაბი.

— არ ვიცი, რომელ მინიატიურაზეა ლაპარაკი.

— სწორი შენიშვნაა!.. მაშინ გლეხებს ქალაქში გასასყიდად ისე თავისუფლად ჩამოჭონდათ ღვინო-არაყი, ახლა ვაშლი, მსხალი, ატამი, კიტრი, პამიდორი, მწვანელი ვერ ჩამოუტანიათ ისე, ოფიციალური შლაგბაუმი არ უშვებთ. საზამთროს ჩამოტანა ხომ ტრაგედიალად ექცათ. ორმა იმერელმა — შენს პატრისაცემად გავაიმერელე — ჭყინტი ყველი გაყიდა და ქალაქიდან წასვლისას დავლიოთო, იქვე, ბაზარში სვამენ. ცარიელ ყუთებზე სხედან და პურ-მარლიც ყუთზე აქვთ გაშლილი.

თავისი საქმის გაკეთება უკვე მოასწრო ქვეყრის ღვინომ — თვალების ბლეტა აუტყდათ. ჭიქა ასწია ერთმა: „ამ სასმისით, აი, მე რო მე ვარ და შენ შენა ხარ... ცოლ-შვილი რო გყავს თავისი ბაღლებითა!“ „რა ენა გაქ, კაცო, რა მოქარგული ლაპარაკი იცი — აქებს მეორე, — იმიტომ მიყვარს შენთან პურის ჭამა!“ „ვინმე რომ გაივლის გზაზე და დაგინახამს!.. კაი კაცი რო გაივლის!“ „რა კარგი ლაპარაკი იცი, კაცო, სუ მინდა ვისმინო!“.

თამადა, თუ რა ჭკვია, შექანდა, ზურაბით გადაეშვა და ცარიელ, თავლია ყუთში ჩაიჭედა. წამოიწია, მაგრამ ღონე არ ეყო. მერე უცებ გაყურდა — ზეცას გაუშტერა თვალები. წამოდგა მეორე — ხელი ჩაავლო მაჯაში: „ცოცხალი შენც გატოკდე და ამოვიშვებ“! „მოიცა, კაცო, არ ამაყენო!.. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ეს რა მშვენიერი ზეცა გვქონია! რა ლამაზად დაფრინავენ მერცხლები! ნამგალებიც ლამაზად ურევიათ!.. ის პატარა ღრუბელი რა ლამაზად გაწოლილა, კაცო!.. ამას რას ვხედავ, კაცო, ეს რა ლამაზი ზეცა გვქონია, კაცო!.. გუბეში რო ჩანდა ხოლმე, ეს რა ლამაზი რამეა-მეთქი, იქ მამწონდა, მალდა, თავის ადგილზე უფრო ლამაზი არა ყოფილა?!.. რაც ესენი მოვიდნენ, რაც კოლექტივში შემადგდეს, მას აქეთ თავი არ ამიწევია, არ ამიხედავს მალდა!.. ეს რა დახატული ზეცა გვქონია, დამბადებელი!“.

ჩემი ცოლი ჩაოსდა სიცილით. აღარ მახსოვს, მერამდენად ვისმენ და მეც კი მაქას ვისვამ ცრემლიან თვლებზე. მე რომ მოყვევი, ეს რა მოყოლა! — ზურაბის ენის ბორძიკს, ჩიფჩიფს თუ არ მოუსმინეთ, ვერც იმ წაქცეულ კაცს მიუხვდებით, ვერც ჩვენს სიცილს გაიგებთ. ჩვენ რომ ვიცინით, ნიკას მარტო იმაზე ეციენება.

აღრე, ჩვენი სტუდენტობის დროსაც, ვინმე რომ ჰყვებოდა ვერის ბაზარზე მოქეიფე ორი კაცის ამბავს, მაშინაც აქეთ-იქით გვახედებდა შიში, ვინმე გარეწარმა არ მოჰკრას ყურიო. ყური მოეკრა, შენს ქვეყანაზე ჩამოხედებულ მზეს ვინ გაყურებინებდა შენს ნებაზე. ახლა ვინდა დაგიჭერს, ვინც დაიჭირეს, იმასაც უშვებენო. ღმერთო, შენ მიშველე! — ჩემი რწმენაც დავკარგე, სხვისიც, ღმერთის იმედზედა ვარ! ზურაბი კაჭრეთის მალაზიასთან აჩერებს მანქანას.

— სიგარეტს ვიყიდი. ხომ არ გაივლ-გამოვივლით?

— ახლახან არ გამოვედით თბილისიდან?

— ნიკავ, ნაყინი ხომ არ მოგართვა? აქ კარგი ნაყინი იცისო.

— არ მინდა, — თავს აქნევს ნიკა. — ჯერ ცივა.

სანტერესო მალაზიაა — ფართულელობა და რკინეულობა ერთად იყიდება — ერთ დარბაზში. გვერდით სასურსათო ქონება. სიგარეტსაც სურსათი ჰქვია.

მალე ბრუნდება ზურაბი, სიგარეტს მოაბოლოებს:

— გამვიღველმა, სხვა ფული არ მაქვსო, თუმბიანი მივაწოდე და ცხრა მანეთიანი დამიბრუნა. ესეც არაფერი, გამოვიყენებ. ღერბი ახატია ყველას.

ჩალაუბანს გავციდით, ხუთ წუთში ბარჯისხევი შევალოთ. სამანქანო, ანფალტიანი გზა ხევს მიუყვება. აქეთ-იქით ტყიანი გორები. სად აქაურობა და სად ბარჯი! შიგნიკახეთში შესასვლელი გზა ალბათ ეს იყო. შესასვლელიც და გამოსასვლელიც ალბათ ხელმწიფისა თუ მეფისნაცვალის მოხელეები ბაჟს ახდევინებდნენ საბაჟო საქონლის წამღებ-მომტანებს. დრომ კი ბაჟი ბარჯად გადააკეთა.

— ესენი ვინაა არიან?! — სიჩქარეს უკლებს ზურაბი.

მეც წინ ვიხედები — სამი ფურგონი მოდის, სავსეა ბოშებით, უმეტესობა ბავშვია.

— ჩვენებური ბოშები უნდა იყვნენ. ადამიანი კოსმოსს მივიღ-მოვივლის, ესენი კი მაინც არ ჩამოვლენ ფურგონიდან.

— როგორ თუ ჩვენებური?

— ჩვენს რაიონში დაიბუდეს.

ზურაბს გზიდან გადაჰყავს მანქანა, ბუჩქნარში შეჭრილ ველოზე აჩერებს:

— როდის ჩამოსახლდნენ?

— ომის შემდეგ.

— აქაურობას აიკლებდნენ ქურდობით.

— პირიქით — ემალდებოდნენ. რა შორს ჩვენი სოფელია, ქურდობდნენ, იქამდეც მოაღწევდა ხმა. სამეზობლო ხალხიაო. ქალები მკითხაობენ, კაცები კვერს იქნევენ, რა აღარ გამოაქვთ ველისციხის ბაზრობაზე: ბარი, ზედადგარი, ჭაჭვი, ასტამ-შამფური... ქართულიც ისწავლეს.

ფურგონები მოახლოვდა. მანქანიდან გადავიდით.

— გააჩერეთ! — ხელი ასწია ზურაბმა.

წინა ფურგონზე ოციოდე წლის ქერა ბიჭი იჯდა, გიტარა ეჭირა ხელში.

— საით გაიწევიათ? — იმ ქერა ბოშას ჰკითხა.

— ხვალ კვირა და ყანდაურის ბაზრობაზე ვიქნებით, გლეხური იარაღები მიგვაქვს გასასყიდად.

— ეს რა კარგი ქართული გცოდნია! — უხარია ზურაბს.

— აქაურები ვართ და რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

— აი, ხალხი!

ყველა ფურგონი უკებ დაცარიელდა — შემოგვეხვივნენ. ჩხუბი თუ ატყდა, მტრისას, ქალები და ბალები უფრო მაგრები არიან, გააქვს ქვას ზუზუნია!

ხელებში შემოგაყურებენ ბალები. ზურაბმა მანეთიანი ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან და თითო-თითო დაურთა ბავშვებს.

იმდენი იყვნენ, ყველას რას გასწვდებოდა!

— შეუბერე რამე, — ქერა ბოშას უთხრა ზურაბმა.

— არც სიმღერა ვიცი, არც დაკვრა.

— აბა გიტარა რაღას დაგაქვს?

— ჩვენი წესია — მაინც უნდა გვქონდეს გიტარა.

— მოიტა, — ხელი გაუწოდა ზურაბმა. მოაწოდა. ზურაბმა მარცხენა ფეხი ფურგონის ფერსოზე შემოლო, გიტარა დაიღო ზედ და უცებ ააწყო:

— გამომართვი. „შავი თვალები“ მაინც არ იცი? ან ის, ერთმა გოგამ, ერთხელ რომ მიქარა და მერე სულ უარშია რათა ერთხელ მიქარვა, რაღა ასწავლა.

— აკი ვითხარი, არ ვიცი-მეთქი, — ხელები ზურგუქან წაიღო ქერა ბოშამ.

— მაშინ მე გიმღერებთ, — გაეცინა ზურაბს, თავზე გადაიგდო გიტარის თასმა და სიმღერაც დაიწყო. დაიწყო და რა დაიწყო! მარტო ბოშურ სიმღერებს მღერის. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. მერე სათვალავი ამერია. უცნაური სიტბო, სიხარული ვიგრძენი.

აღარავინ ახსოვს ზურაბს, თვალები აქვს მილუღული. თუ გაახსნა, ტყუეს ხედავს მაშინაც. ტყუეს აყვავებული შინდი, ბალამწარა, კუნელი ურევია. ხშირად მომისმენია ეს სიმღერები, ერთი ამდენჯერაც მოვისმინო, მაინც არ მომბეზრდება. გამოვერკვიე, ბოშებს გადავხედე: კაცები ოხრავენ, ქალებს ცრემლი მორევიათ, სიყვარულით მისჩერებიან ბავშვები.

სიმღერას ამთავრებს ზურაბი და გიტარას ღიმილით უბრუნებს ფურგონში მოკეცილ, ჩაფიქრებულ თუ დაღონებულ ქერა ბოშას. ტაშის ხმა მესმის — უკან ვიხედები: მანქანები ერთმანეთზეა მიყრილი, გადაკეტილია გზა. მანქანიდან გადმოსულა ხალხი და მთელი ძალით ატყაპუნებენ ხელებს. გახარებულია ყველა, კეთილი ღიმილი აფენიათ პირისახეზე. ზურაბიც ღიმილით ხრის თავს:

— გამადლობო, ქალბატონებო და ბატონებო!

ბოშა ქალები ზურაბს უკან წაღებულ ხელებს ძალით გლეჯენ ზურაბს — უკოცნიან, კაცები ბეჭებზე შინაურულად უტყაპუნებენ ხელებს.

— ესტრალაზე მომისმენია შენთვის, — ეუბნება ჩემი მეუღლე. — ეს სიმღერებიც მომისმენია. ნუ გეწყენება — ასე კარგად არასოდეს, არასოდეს არ ვიმღერია.

— ალბათ იმიტომ, რომ მათთვის პირველად ვიმღერე, ვისაც ეს სიმღერები ეკუთვნის.

მანქანები გზას ათავისუფლებენ — თანდათან იძვრებიან ადგილიდან.

ჩვენც მანქანაში ვსხდებით.

ათიოდე წლის ბოშა ბიჭი მოვარდა და ზურაბს რაღაც ჩაუღო პიჯაკის ჯიბეში. ნიკა ღიმილით მისჩერებია მამას და ისე უცებ კოცნის, თითქოს უშლიანო.

ირგვლივ გააფხულოს სურნელი ტრიალებს. ასკილი, ბალამწარა, ზღმარტლი თავს იკლავს სიცილით, ხეხილიც ხაჩხაჩებს. სადაცაა გორას მიეფარება მზე.

— ნეტა იმ ბიჭმა რა ჩამიღო ჯიბეში? — ქალაღის დაჭმუჭნული ფული ამოიღო ზურაბმა — მანეთიანი იყო ყველა. ხელუკულმა მომაწოდა, — ნახე, რამდენია.

დავთვალე:

— თორმეტი მანეთია.

— ისე ეციენება ზურაბს, ეშინია რაღაცას ან ვიღაცას არ წააწყდეს — გზიდან გადაჰყავს მანქანა და აჩერებს.

ყველანი ვიცინით, ნიკა კი ხითხითებს.

აი, ეს ამბავი მახსენდება ყოველთვის, როცა სოფელში მინადენი ჩალაუბანს გავციდები, აქედან მონადენი კიდეც — ვუახლოვდები. მაშინ შედარებით ახალგაზრ-

დები ვიყავით, ახალგაზრდობა კი რასაც ნიშნავს, ეს ჩვენი ასაკის ხალხმა უკეთ იცის, ამიტომ არც გატირებისა გვრცხვენია.

ქოლალოლან ქოლალოლე

ახეთის მშვენიერ სოფელ ქოდალოში 1793 წლის 11 ნოემბერს დაიბადა და 75 წლის ასაკში 1868 წელს

იქვე გარდაიცვალა რუსეთის არმიის კავალერიის გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, რომლის მხედართმთავრული მოღვაწეობის შესახებ თვით კ. მარქსი და ფ. ენგელსიც კი წერდნენ. 1856 წლის 25 იანვრის სტატიაში ფ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით 1853 წლის 14 (25) ნოემბერს ბრწყინვალედ განხორციელებულმა ოპერაციამ, როდესაც 7,5-ათასიანმა რუს-ქართველთაგან შედგენილმა რაზმმა თურქების 18-ათასიანი კორპუსი გაანადგურა და ყარსის მიმართულებით გენერალ ბებუთოვის მიერ წარმატებით ჩატარებულმა ბრძოლამ თურქეთის არმიის საბრძოლო სტრატეგიაზე გატეხა. კიდევ უფრო დიდი რეზონანსი ჰქონდა ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით მოქმედი 13-ათასიანი რუს-ქართველთა რაზმის მიერ 1854 წლის ივნისში მდ. ჩოლოქზე თურქთა 34-ათასიანი კორპუსის განადგურების ფაქტი.

ახალციხისა და ჩოლოქის ბრძოლებში მოპოვებულ ჭეშმარიტად მქუხარე გამარჯვებებს თავის დროზე ჯეროვანი შეფასება მიეცა, უმაღლესი მეომრული ჯილდოებით აღნიშნეს მათი ორგანიზატორის — ივანე ანდრონიკაშვილის მამულიშვილური დამსახურებაც. დასაინანი მხოლოდ ის არის, რომ ამ ფრიად კოლორიტული ქართველი სამხედრო მოღვაწის უაღრესად საყურადღებო მხედართმთავრული ტალანტი ღირსეულად არ არის წარმოჩენილი და ამიტომ წარუშლელი სახელის მქონე ქართველ სარდალთა რიგს ვერ დგას.

ივანეს მამა — მალხაზი ლეკი მძარცველებისაგან კახეთის დაცვის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი და უშუალო მონაწილე ყოფილა. დედა — მაია ერეკლე მეორის შვილი-

შვილი (ერეკლეს ქალის — ელენეს შვილი) იყო XVIII ს-ის მიწურულს მალხაზის ვისი ცოლისძმის — მეფე სოლომონ II-ის მიწვევით, იმერეთში გადასახლებულა. როდესაც სოლომონ მეფე რუსეთის მთავრობას მიენდო, თბილისში ჩავიდა და მისი სამეფოც გააუქმეს, მალხაზი თავისი ცოლშვილით თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ახალციხეში გადაიხვეწა. მაია და ივანე მალე უკანვე წამოსულან. ცოტა ხნის შემდეგ „საპატიო ტყვეობიდან“ (თბილისიდან) გამოქცეული სოლომონ მეფეც ახალციხეში ჩასულა, მალხაზი ხლებია მას და იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის წარმოებულ უპერსპექტივო საქმიანობაში ჩაბმულა. სოლომონ მეფე რომ გარდაიცვალა (1815 წ.), მალხაზი რუს ხელისუფალთ შერიგებია. ამ ხანებში მალხაზის ცოლ-შვილი უკვე ვორონეჟში იყო გადასახლებული, საიდანაც მაია და ივანე პეტერბურგს წასულან იმერეთის დედოფალ მარია მის სანახავად. ამ უკანასკნელთან აღსაზრდელად ივანეს დატოვების შემდეგ მაია 1817 წელს საქართველოში დაბრუნებულა. ამგვარად, მალხაზსა და მაიას აღუდგენიათ ოჯახი, მშობლიურ სოფელ ვეჯინში ჩასულან და მამულების აღორძინებას მოჰკიდებინან, ხოლო მათი ვაჟიშვილი ივანე, მარიამ დედოფლის თხოვნით ლეიბგვარდიაში იუნკრად ჩარიცხულა.

1818 წელს ივანემ კორნეტის წოდება (უმცროსი ოფიცერი) მიიღო, 1821 წელს — პორუჩიკობა, 1824 წელს კი იგი უკვე შტაბს-როტმისტრია. აღნიშნავენ, რომ ივანეს მიმართ ყველა უჩვეულო პატივისცემით იყო განწყობილი. თვითონ იმპერატორსაც არაერთხელ ჩავარდნია თვალში და შესანიშნავი ცხენოსნობის, შეუდარებელი წარმოსადგეობისა და გონება-მანკილობისათვის შეუქცია კიდევ. ივანეს ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ (1821 წ.) დაკნინებული მამუ-

ლიდან მხარდაჭერა მოჰკლებია და საქართველოში გადმოყვანა მოუთხოვია. 1824 წლის შემოდგომაზე მაიორის წოდებით ყარაღაჯში (ახლანდელი სიღნაღის რაიონი) მდგომ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ესკადრონის მეთაურად გამოუსტუმრებიათ.

ორი წლის შემდეგ რუსეთ-სპარსეთის ომი (1826-1828 წ. წ.) დაიწყო.

განჯის (ახლა კიროვადი) მიდამოებში პრინც აბას-მირზას 15-ათასიან ცხენოსანთა შეტაკებაში ივანე ანდრონიკაშვილმა სასწაულებრივი სიმამაცისათვის ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი დაიმსახურა. გენერალ-ადიუტანტ პასკევიჩს, რომელიც მაშინ აქ რუსთა ნაკრებ რაზმს სარდლობდა, ივანეს ვინაობა ჩაუნიშნავს. მომდევნო 1827 წელს ივანე უკვე დივიზიონის მეთაურია და აბას-აბადის სიმაგრის შტურმში მონაწილეობს. სპარსელ მეციხოვნეებს ისევ ის აბას-მირზა მოშველებია დიდძალი ცხენოსნით. პასკევიჩმა მას თავისი კავალერია შეაგება და მტერი ერთბაშად დაჯანა, — ბრძოლის ველს პირველად აბას-მირზა გამოორდა. უუქცეულ სპარსელებში ივანე ანდრონიკაშვილმა მათი ცხენოსნის უფროსი ნაჯავ-ხანი მოიხელთა, დაატყვევა და პასკევიჩს მიჰგვარა. ივანეს, რომელიც თავში იყო დაჭრილი, წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი უბოძეს. ცოტახნის შემდეგ ერევნის განთავისუფლებისას გამოჩენილი გულადობისა და საზრიანი მოქმედებისათვის ივანეს პოდპოლკოვნიკობა მიანიჭეს.

1828 წელს რუსეთ-სპარსეთის ეს ომი დასრულდა, ხოლო იმავე წლის 14 აპრილს რუსეთ-ოსმალეთის ომი (1828-1829 წ. წ.) დაიწყო. ყარსისაგან დაძრული რუსეთის ჯარის ავანგარდში ივანეც მიდიოდა. 23 ივნისს ეს ციხე-ქალაქიც აღებულ იქნა. შემდეგ რუსეთის ჯარებმა ახალქალაქი და ხერთვისის ციხე თურქთაგან გაწმინდეს, ახალციხეს მაიადგინეს. ქალაქს თურქთა ძლიერი გარნიზონი იცავდა, რომელსაც დამატებითი ძალებიც მოეშველნენ. 6-დღიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ თურქებმა დატოვეს ქალაქი. აქ გამოჩენილი შეუპოვარი მოქმედებისა და ჯარების ხელმძღვანელობაში გამოვლენილი ოსტატობისათვის იანეს პოლკოვნიკის ჩინი მიანიჭეს.

1829 წლის ბოლოდან მომდევნო წლის ივნისამდე ივანე ანდრონიკაშვილი მუშაობდა ე. წ. „ლეკეთის საზის“ უფროსად. მოკლე დროში მან მოქმედი არმიის ზურგში აღკვეთა მძარცველთა პარპაში. კახეთი-



სა და ქართლის მოსახლეობამაც შეება იგრძნო.

1829 წლის ივნისში პასკევიჩმა კვლავ მოიხმო ივანე ანდრონიკაშვილი და ნიჟეგოროდელ დრაგუნთა პოლკის მეთაურად დანიშნა. რუს-ქართველთა ჯარები არზრუმისა და ბაიბურთისაკენ მიიწვედნენ... ამ ნამდვილი ციხე-ქალაქების აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის იგი წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1830 წლის ბოლოს ჯანმრთელობის გაუარესების გამო ივანემ სამსახურიდან გადადგომა მოითხოვა. მეფისნაცვალმა პასკევიჩმა იმ პირობით მისცა თანხმობა, თუ საჭიროებისას კვლავ დაბრუნდებოდა მოქმედ არმიამში.

1837 წლამდე ივანე ანდრონიკაშვილი თბილისსა და კახეთის მამულებში ტრიალებდა.

1837-1840 წლებში ივანეს კვლავ მოუწოდებენ დაღესტნისა და ოსეთის ოპერაციებში მონაწილეობისათვის, სადაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ყაჩაღობასა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას მისდევდა. 1841 წელს კვლავ დაღესტანშია და მოქმედი არმიის ზურგისა და ქართლ-კახეთის მოსახლეობის საარსებო ინტერესებისათვის იღვწის.

1846 წლიდან ივანე ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორია და სამოქალაქო ნაწილის მმართველი; ამ აქტთან დაკავშირებით მას შემოუვლია აღმოსავლეთი საქართველო და დაუყოვნებლივ დაუწყია გზების, ხიდების, სარწყავი არხების მშენებლობა, ამავე დროს კახეთში ლეკი



ავაზაკების წაწალი აღუკვეთია. სამსახურებრივი მოვალეობის საუკეთესო შედეგად მისთვის ივანე ანდრონიკაშვილს 1850 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა... სამწუხაროდ, ბევრი რამ თავისი გეგმებიდან შეუსრულებელი დარჩა, — ყირიმის ომი (1853-1856 წ.წ.) კარზე იყო მომდგარი და მას კვლავ დასჭირდა ამხედრება.

დასავლეთის ქვეყნების წაქეზებით თურქებს გაზრახული ჰქონდათ, ხელთ ევდოთ ყირიმი და ამიერკავკასია. ამ უკანასკნელის პირისპირ თურქებმა 100 ათასიანი არმია დააჯგუფეს და მიზანში თბილისი ამოიღეს. ივანე ანდრონიკაშვილი, როგორც თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ვალდებული იყო, თვალი სჭეროდა არდავანი-ახალციხე-თბილისის მიმართულ ბაზაზე. 1854 წელს მას კიდევ ერთი — ბათუმის ქუთაისი-თბილისის მიმართულ ბაზაზე დაუჭემდებარეს და ამიტომ ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობაც გარკვეული დროით მას დააკისრეს. ობიექტურად ეს იყო ქართველი მხედართუფროსისადმი მთელი საქართველოს საქმეების დაქვემდებარება. მაგრამ სახეზე იყო მიზნებისა და ამოცანების უნიკალური გადახლართვა. ასე იყო თუ ისე, ქართველებს საქართველოს სიყვარულით აედოთ ხმალი და რუსებთან ერთად ძმურად მუსარავდნენ საძულველ აგრესორებს. ამავე დროს რუსეთი რეგულარული ჯარების მწვევე ნაკლებობას განიცდიდა ამიერკავკასიაში. ამიტომ მეფის მთავრობამ თვითონ მოუწოდა ქართველობას, „ურჯულთა“ წინააღმდეგ დარაზმულიყო; 10 ათასზე მეტი ადგილობრივი მოხალისე-მილიციელი ამოუდგა მხარში რუსეთის ჯარს და არსებითად ამან გადაწყვიტა ამიერკავკასიაში მოქმედი თურქთა არმიის ბედობა.

რამდენიმე მცირემასშტაბიანი გამოსტომის შემდეგ თურქებმა თავიანთი არდავანის 18-ათასიანი კორპუსი ახალციხეს მოაყენეს, ქალაქი აიღეს, სიმაგრის მცველი რუსული გარნიზონი გარემოიკვეს და ავანგარდით უკვე აწყურში შემოვიდნენ. მეფისნაცვლის ბრძანებით ივანე ანდრონიკაშვილი დაუყოვნებლივ გაეშურა ახალციხისაკენ.

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა სამარცხვინოდ დაასრულა თურქთა ამ კორპუსმა თავისი არსებობა. აწყურამდე შემოღწეული მტრის ავანგარდი აქედან მომავალმა რუს-ქართველთა ნაწილებმა ნაცემ-ნაგვემი გააძევეს.

ახალციხეში ჩასვლისთანავე ოფიცრებთან გამართულ

პირველ შეხვედრაზე ივანემ მშვიდად განაცხადა, რომ აქ იგი უსასრულო თათბირების ჩასატარებლად კი არ იყო მოვლენილი, მას თურქების დამარცხება ევალდებოდა და ამას განახორციელებდა კიდევ. ორიოდ დღის შემდეგ მისი გეგმის თანახმად ორ კოლონად მოწყობილი ახალციხის რაზმი თავისი 10 ზარბაზნით ერთბაშად მიუსია სოფ. სხვილისთან მდგომ თურქთა ცენტრალურ დაჯგუფებას; გაანადგურა რამისი დამფარავი დასაყოფები, მთავარ ძალებსაც მისდგარუს-ქართველთა ამ პირველი წარმატების ფონზე თურქებმა თავიანთი უკანდასახევი გზების გადაჭრის საფრთხე დინახეს. სხვა პოზიციებზე მდგომმა მათმა ნაწილებმაც ერთი გაიბრძოლეს, შემდეგ მთელ თავის არტილერიას ხელი უშვეს, ნაქარცვ-ნაშოვნის მოიკიდეს და გაქცევას შეეცადნენ... ამასთან, ადგილზე დატოვეს 1500 დაღუპული ასკერი (ორი ამდენი დაჭრილი წაიყვანეს), დენთის დიდძალი მარაგი; ახალციხის მიდამოებში ერთი თურქი ჯარისკაციც კი არსად დარჩენილა. ეს მოხდა 1853 წლის ნოემბრის შუახანებში.

ყირიმის ომის 1853 წლის კამპანიის ბოლოს რუსეთის ფლოტმა ადმირალ ნახიშოვის სარდლობით სინოპთან ჩაძირა თურქეთის ფლოტის მთელი ესკადრა. ეს უკვე თურქეთის დამარცხების მაუწყებელი ნიშანი იყო. თურქეთის მოკავშირე ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ომი გამოუცხადეს, თავიანთი საზღვაო ძალებით შავ ზღვაში გაბატონდნენ. თურქებმა თავისი კავკასიის არმია 120 ათას კაცამდე გაზარდეს. რუსეთის ამიერკავკასიაში მყოფი 40-ათასიანი კორპუსიდან 18 ათასი ამბოხებულ კავკასიელ მთიელებს ებრძოდა.

თურქებმა ამჯერად ბათუმში შეადგინეს 34-ათასიანი კორპუსი და ქუთაის-თბილისის მიმართულ ბაზაზე სალაშქროდ მოამზადეს. გურიისა და ახალციხის რაზმების სარდლობა ამ საგანგებო ვითარებაში მეფის ნაცვალმა ივანე ანდრონიკაშვილს დაავალა. მასვე დაეჭვემდებარა აფხაზეთის სანაპიროებზე მოხსნილი პატარა გარნიზონებისაგან შექმნილი ხუთი ბატალიონი. დასავლეთ საქართველოს მოხალისეთაგან შექმნილი სახალხო ლაშქრის ფორმირებებით ანდრონიკაშვილმა რეგულარული ჯარის ნაწილები გააძლიერა, ჩამოაყალიბა პარტიზანული, სურსათისა და ტყვია წაშლის მზიდავი და სამედიცინო მომსახურების საგანგებო სატრანსპორტო გუნდები.

დაქვემდებარებული ძალების დასავლეთ საქართველოში გან-

ლაგების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში ივანე ანდრონიკაშვილმა ახალი სტრატეგიული ვითარება გაითვალისწინა: შავ ზღვაზე ანტირუსული კოალიციის საზღვაო ფლოტის გაბატონების შედეგად დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე მტრის მსხვილი დესანტების გადმოსხმის საფრთხე წარმოიშვა, ამიტომ გურიის რაზმის ადრინდელი განლაგება, რომელიც მტრის მხოლოდ ხმელეთიდან შემოჭრას ითვალისწინებდა, მიუღებელი გახდა. ამ ახალ გარემოებასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამატებითი მობლიზაცია და შეიარაღებაც გადაუღებელი აღმოჩნდა; ძალთა სიმცირის კომპენსაციისათვის განსაკუთრებულ შინაარსსა და მნიშვნელობას იძენდა აგრეთვე საომარი მოქმედების პროცესში ჯარების სწრაფი ოპერატიული მანევრირება, რაც თავის მხრივ დამატებითი გზებისა და ხიდების სასწრაფოდ მოწყობას ითხოვდა. ივანე ანდრონიკაშვილმა ჭეშმარიტად დიდი შრომა გასწია თავისი გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის და არცთუ ამაოდ...

თურქთა ბათუმის კორპუსის მეთაურის სელიმ-ფაშას ბრძანებით მისმა ავანგარდმა საზღვარი გადმოლახა და ნიგოთის მალაზღებისაკენ ქურდულად წამოვიდა. ამის შესახებ აქ განლაგებული რაზმის მეთაურს პოდოლოკოვნიკ ერისთავს გურულმა მესაზღვრეებმა შეატყობინეს. ეს ინფორმაცია ერისთავმა ივანე ანდრონიკაშვილს გადასცა და იმავდროულად სოფ. ქვიანში მდგომი ერთი ბატალიონი თავისთან გადაიყვანა. ივანე ანდრონიკაშვილმა ერისთავს რეზერვში მყოფი 12 ასეული სახალხო მილიცია მიაშველა და ჯართა მთელი თავისი ჯგუფიც ფეხზე დააყენა.

4 ივნისს რუს-ქართველთა ჯარის კოლონები ოზურგეთიდან გავიდნენ.

თურქთა კორპუსის პოზიციები ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე ფრონტიდან კარგად იყო დაკული მტკიცე ხელოვნური საველე ნაგებობებით, მარჯვნიდან მათ პოზიციებს მიუვალს ხდილ ღრმა ხრამი, მარცხნიდან ხშირი ტყე...

ანდრონიკაშვილმა გაშლილი ფრონტით მათს მარჯვენა ფრონტზე მილიციის ცხენოსანი ფორმირებები გაუშვა დემონსტრაციული ხმაურით, რათა თურქების ყურადღება შესუსტებულიყო მათი მარცხენა ფრონტისადმი.

თურქებისათვის მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა მათს მარცხენა ფრონტზე არტილერიის ცეცხლით მხარდაჭერილი რუს-ქართველთა დამრტყმელი

ჯგუფის (გენერალი მეიდელო) უეცარი გამოსტომა და ძალში მიწოლა. შემდეგ ქურქებმა ათასეულებს გენერალ-ლეიტენანტის კოლონა ეკვეთა, შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილის ბანაკის კარიც შელუწა. სელინ-ფაშამ მთელი რეზერვები ამოქმედა და ანდრონიკაშვილის ზოგიერთი დაწინაურებული ნაწილის უტყუადლო. შეეძმა თავის კრიზისულ ფაზაში შევიდა. ივანე ანდრონიკაშვილმა სწორედ ახლა ჩააბა ბრძოლაში თავის რეზერვში მყოფი ხუთი ბატალიონი და ამგვარად საერთო შეტევაზე გადავიდა. ახლა უფრო მეტად გააქტიურდა მთელი ქვეითი მილიციაც ლევან გურიელის სარდლობით. მათი წამით შეფერხებულმა წინა დასაყოფებმა დრო იხელთეს და წინსვლა განაახლეს, რასაც კამაყაშვილის სარდლობით რუს-ქართველთა მთელი არტილერიაც მხარს უჭერდა. ამ დროს აქ მოასწრო მოსვლა ქართველ თავდაზნაურთა ცხენოსანმა დრუჟინამ უმამაკესი ვაჟაკის — ჯანდიერის მეთაურობით. მეტისმეტად მძაფრი გამოდგა ამ შეტემის ფინალი. ჯანდიერის დრუჟინამ 120 კაცი დაკარგა, თუმცა თვითონაც მოასწრო თურქთა ერთი ბატალიონის აჩეხვა. აქ მამის მხარდამხარ იბრძოდა ივანეს ვაჟი — არჩილი. ამ ფიცხელ ბრძოლაში დაეცნენ კაზაკთა რაზმის მეთაური პოლოკოვნიკ ხარიტონოვი, ქართული მოხალისეების მეთაური ქაიხოსრო მიქელაძე, ნიკო ჭავჭავაძე. მაგრამ დაღუპვის პირად მისული თურქთა კორპუსის ნაშთებს კიდევ ერთი ფიცხელი იერიში დასჭირდა; წყაროები მიუთითებენ, რომ ამ დასკვნითი შტურმისას მხოლოდ ივანე ანდრონიკაშვილს, როგორც ძალგულოვან რაინდს, არ ტოვებდა ნათელი გონება, ოლიმპური სიმშვიდე... ახლა მაინც არაფერი ჰქონდა ასაღელვებელი: მის თვალწინ 34-ათასიანი ფურქების კორპუსის მზე ჩადიოდა... მან უკვე იცოდა, რომ მის მხედრულ ნადავლში იყო იმ უბედური კორპუსის მთელი არტილერია (28 ქვემეხი), თვითონ სელიმ-ფაშას ძვირფასი ხმალი, 35 დროშა, სურსათითა და ფურაჟით გატენილი სამი ბანაკი; ქართველი კაცი იყო და როგორ არ ინატრებდა საშობლოს შემდგომ აღზევებას, თავის ექვსი შვილიშვილის წრეში ქოდალოში თუნდაც ერთი მშვიდობიანი დამის გათენებას...

ივანე ანდრონიკაშვილი.



სში, სამწუხაროდ, სხვანაირი მდგომარეობაა.

რატომ? რაშია საქმე? ვფიქრობ, ეს მხოლოდ ვალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, მართი მათგანია ის, რომ არც ერთ საკონცერტო დარბაზში არ არის ნორმალური ინსტრუმენტი. ჩვენს როიალებზე დაკვრა პირდაპირ შეუძლებელია. ახალ ზელანდიაშიც კი (ალარაფერს ვამბობ ევროპისა და ამერიკის საკონცერტო დარბაზებზე), სადაც ოცი ათასი კაცი ცხოვრობს, ბრწყინვალე პირობებია საამისოდ. პირადად ვიცნობ ბევრ პიანისტს, რომლებსაც ძალიან უყვართ თბილისი, საქართველო, უნდათ ჩვენთან ჩამოსვლა, მაგრამ არ ჩამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს საკონცერტო დარბაზებში არ არის შესაფერისი ინსტრუმენტი.

და მუსიკა ასე უნდა...

სავშობიდანვე მუსიკა იყო მისი ცხოვრების აზრი. ისე კი ავიაკონსტრუქტორობაზე ოცნებობდა. დედამ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროსმა მასწავლებელმა, შეასწავლა მუსიკის ანბანი. მერე პირველი პედაგოგები, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ვანდა შიუკაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნატალია ხალატოვა უღვივებდნენ მუსიკის სიყვარულს. ცოტა მოგვიანებით კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედის მერვე კლასის მოსწავლე ალექსანდრე კორსანტია საქართველოს დამსახურებული არტისტის, პროფესორ თენჯიზ ამირჯიბის კლასში ჩაირიცხა.

— სწორედ მაშინ დაეიწყე, მუსიკაზე სერიოზული ფიქრი, — ეს მისი სიტყვებია. — დღესაც მახსოვს ბატონი თენჯიზის გაკვეთილები, ყოველდღიური ზღვა ინფორმაცია მუსიკის შესახებ: მაშინ ჩამომიყალიბდა გემოვნება, მაშინ მიგხვდია, რა უფრო ფასეულია. ერთი სიტყვით, ბატონმა თენჯიზმა აღმომაჩინა წმინდა მუსიკალური სამყარო. დიდი ვალაქტიონისა არ იყოს, „და მუსიკა ასე უნდა“, ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობდით ინტენსიურად, დროის განუსაზღვრულად.

თექვსმეტი წლის ალექსანდრე კორსანტია 1981 წელს ერევანში გამართული ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა. მოგვიანებით კი, უკვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი, შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტია. თვით პიანისტი თვლის, რომ სწორედ ამ კონკურსმა მოუშვა და ნიადაგი სიღნეში გამარჯვებას.

— სიღნეის საერთაშორისო კონკურსი ხუთ ტურად ტარდება. პირველი ტურიდანვე ვიგრძენი სილაღე და თავისუფლება. არ ვიცი, ამაზე ავსტრალიის კლიმატმა იმოქმედა, თუ საოცრად თბილმა ხალხმა, რაღაცით ჩვენ, სამხრეთელებს რომ გვგავს. რეგიონალური შესარჩევი ტურის შემდეგ, რომელიც ვენაში, ტოკიოსა და ნიუ-იორკში ჩატარდა, კონკურსში მონაწილეობის უფლება ორმოცემა პიანისტმა მოიპოვა. ჩვენთან, კუიბიშევში, ჩატარებული შესარჩევი ტურის შემდეგ სიღნეში გავემგზავნენ მე, სერგეი ეროხინი (მეხუთე ადგილზე გავიდა) და ანტონ ბატაგოვი — მას კი მერვე ადგილი ხვდა წილად. ეიური ძალიან კომპეტენტური იყო. საბჭოთა კავშირიდან მის შემადგენლობაში შედიოდა ლევ ვლასენკო.

დასკვნითი ტური სიღნეის ოპერაში ჩატარდა. კონკურსის შედეგებითა და ეიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი და ორი სპეციალური პრიზი ალექსანდრე კორსანტიას მიენიჭა. ოცდასამი წლის ქართველმა პიანისტმა კონკურსის შემდეგ უფლება მიიღო ოცდახუთი კონცერტი ჩაეტარებინა ავსტრალიაში, სინგაპურში, ჰონგ-კონგსა და ახალ ზელანდიაში.

საინტერესოა რას წერდა იმ დღეებში საზღვარგარეთის პრესა ალექსანდრე კორსანტიას შესახებ. გაზეთი „კანბერა ტაიმსი“:

— კორსანტია ვირტუოზია, იგი არაჩვეულებრივად მუსიკალურია. საერთოდ, ახალგაზრდებს ჭაბუკური გზებით დაკვრა ახასიათებთ, მაგრამ კორსანტიაში ეს ექსპრესიულობა დაღვინებულია და გაწონასწორებული ნაწარმოების გაკვების ინტერპრეტაციით. ეს აბსოლუტურად გამოარჩევს მას სხვებისაგან. მის მიერ შესრულებული ბალადა ფა მაჟორი დიდი იმპულსიურობით გამოირჩევა და ნატიფ ტონალობას გვიჩვენებს. პროკოფიევის № 4 სონატაში კი შემსრულებლის ვირტუოზულობა დომინირებს. ეს თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობაა.

გაზეთი „სტარ კრისტჩერჩი“: — კორსანტიას მიერ შესრულებული ჰაიდნის სონატა ფა მაჟორი უდიდესი საშემსრულებლო ოსტატობის ნიმუშია. ეს ყველაფერი უნდა მოისმინო, რომ დაიჭერო.

„ნელსონ ივინგ მეილი“: — შოპენის მეოთხე ბალადის შესრულებისას ჩვენ დავინახეთ ვირტუოზი. კორსანტია ბგერის ჯადოქარია...

თავად პიანისტი გასტროლებით, მუსიკისმოყვარულებთან შეხვედრებით კმაყოფილია:

— გასტროლები. ვფიქრობ, წარმატებით ჩატარდა. ყველგან მხვდებოდა გულთბილი, მაგრამ მომთხროვი და პრეტენზიული მსმენელი, რაც ბევრს მავალეზდა. არავისთვის არ არის უცხო, რომ დღეს კლასიკური მუსიკის კონცერტებზე ძალიან ცოტა მსმენელია. ეს არ იგრძნობოდა იქ. გასტროლების დროს. ჩვენთან კი, თბილისში.

არადა, საქართველო ხომ ის ქვეყანაა, რომელმაც ბევრი ხიჯიერი მუსიკოს-შემსრულებელი აღუზარდა მუსიკალურ სამყაროს.

ორმოცდახუთდღიანი საგასტროლო ტურნიდან ჩამოსვლის შემდეგ ალექსანდრე კორსანტია ჰოლანდიაშიც იყო, შემდეგ გერმანიის ფედერაციაში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკებსაც ესტუმრა. წლეულს პიანისტი კონცერტებს გამართავს საფრანგეთში, ვენაში, ფინეთსა და ესპანეთში (საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად).

მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი. თუმცა თვითონ ასე ამბობს:

— მუსიკალურ სამყაროში მრავლად არიან დიდი და საინტერესო კომპოზიტორები. ამიტომ არასწორია, როცა პიანისტი მხოლოდ ერთი კომპოზიტორის პოზიციებიდან აღიქვამს სამყაროს. აქაც არიან გამონაკლისები. მაგალითად, ვლადიმერ საფრანი. თელი ცხოვრება სკრიაბინს შეაღია, არავის არ ჰგავს, ძალიან თვითმყოფელია, მისგან არაფრის გადმოღება არ შეიძლება. ალბათ ამაშია მისი სიდიადე. ჩემი აზრით, უკეთესია შემოქმედების ერთი გარკვეული ეტაპი შეალიო რომელიმე ერთ კომპოზიტორს. თუ ამ მხრივ ვიმსჯელებ, მაშინ ჩემი საყვარელი კომპოზიტორები ამჟამად არიან ბეთჰოვენი და პროკოფიევი.

— საინტერესოა თქვენი დღის რეჟიმი.

— ჩვეულებრივ დღეებში ოთხ საათს ვმეცადინებო, კონცერტის წინ კი რვა საათს. მაგრამ იშვიათად. თავისუფალი დრო მაქვს და, ვაგრძელებ სათამაშო რკინიგზებს. ეს ჩემი ჰობია. საერთოდ, ყველაფერში სიზუსტე მიყვარს. ალბათ ამიტომ ვცემ განსაკუთრებულ პატივს კონსტრუქტორებს. ვცდილობ, რაც შეიძლება დიდხანს შემოვიწახო ჩემი ბავშვობა. ცურვა ჩემი გატაცებაა. ავსტრალიაში ყველაზე ცხელი წერტილია დარვინი. ჰოდა, იქაც ვერ მოვიმინე და ვიბანავე.

— ამბობენ მუსიკოსები მეოცნებენი არიანი.

— მუსიკოსები კი არა, ყველა ადამიანი მეოცნებეა. ჩემი ოცნებაა ჩემს შვილს, წლინახევრის ნიკუშას აღმოაჩნდეს მუსიკალური ნიჭი. მჯერა, ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე...

მანია ფურცელაძე.



თუ საზღვარგარეთული შურ-
ნალ-გაზეთებით: ხათრიანი კა-
ცია, ფეხი ვერ მოვაცვლევინე,
დროს თუ გამოხახავ, იქნებ ამ
მასალებში ჩაიხედო და შურ-
ნალისთვის ნარკვევი მოგვიმზა-
დო. უარს როგორ ვეტყვოდი,
ოღონდ ეგ არის, ცოტა გამიჭი-
ანურდა საქმე, ახლავა მოვები
თავი. ბატონ შალვასაც შევხვ-
დი და ვესაუბრე, რა თქმა უნ-
და.

ეს ჩვენი მეორე შეხვედრა
იყო. პირველად ამ ოთხი-ხუთი
წლის წინ ვესტუმრე სახლში.
მაშინ „ლელოში“ ვმუშაობდი
და შალვა ჩიხლაძეზე, როგორც
ომგამოვლილ სპორტსმენზე,
წერილის დაწერა დაშვალა.
კარი შალვას შვილიშვილმა
გამიღო.

— ბაბუ, ბაბუ, გაზეთის კა-
ცი მოვიდა, აქეთ გამოიხედე.

აქამდე მხოლოდ ფოტოსუ-
რათებით ვიცნობდი. გადასას-
ვლელ ხიდთან, ხარაჯ გოგიას
სახელოსნოში, სხვა გამოჩენილ
ფალავანთა სურათების გვერ-
დით, თუ არ ვცდები, ახლაც
ჰკიდია ალბათ ბევრისთვის ნა-
ცნობი ის ფოტო: ტანზევით გა-
ხდილ, კუნთებად ჩ მოსხმულ
ათლეთს ფოტოკამერისთვის

ზურგი შეუქცევია, თავი მარჯ-
ვნივ მიუბრუნებია და ასე დგას
ბიცეფსგაბერილი.

— ეგ, მაშინ, იცოცხლე, მა-
გარი ბიჭი ვიყავი, მთა ვერ და-
მიდგებოდა წინ. წლებმა თავისი
წაიღო. ჩანმრთელობას არ ვუ-
ჩივი, მაგრამ ძალას რას უშვებ-
დი. ადრე ორფუთიან გირას
ბურთივით ვათამაშებდი, ახლა
კი... — მკლავებზე დაიხედა,
მერე შვილიშვილისაკენ გადაი-
ხარა, — ერთი მეცა ვარ. რა
მაწუწუნებს, ჩემი ხნისა კენჭი
არ გორავს რიონის ნაპირებზე.
არა ბაბუ?

ოთხმოცს მიტანებული კაცის
კვლობაზე, სამდურავი მართ-
ლაც არ ეთქმის — კლდესავით
მიუვალა და დღესაც იოლად
არავის დაეჩაგვრინება. წარმო-
იდგინეთ, ყმაწვილკაცობაში რა
იქნებოდა! სამწუხაროდ, მე არ
მინახავს შალვა ჩიხლაძის ჭი-
დაობა. ერთი-ორი დოკუმენტუ-
რი კინოკადრისთვის თუ მომი-
კრავს თვალი. მაგრამ მისაუბ-
რია მისი თაობის ფალავანებო-
ნან, „სტაჟიან“ ვულშემატიკირე-
ბთან: შალვას ყველაზე გამო-
ჩენილ ათლეთსა შორის მოი-
ხსენიებენ. „რკინის ადამიანი“,
„მოჭიდავე ლეგენდიდან“, „ცა-

ლხელა ჩემპიონი“, „მოუხელ-
თებელი რიონისპირელი“ —
ომამდელი და ომისშემდგომ
სპორტულ პრესას, რა თქმა
უნდა, ყურადღების მიღმა არ
დარჩენია ქართველი ფალავ-
ნის ოსტატობა და იშვიათი ფი-
ზიკური ძალა. დაუჭერებელი
ამბავია: მთელი სპორტული კა-
რიერის მანძილზე ცალხელტრა-
ვმირებული გამოდიოდა და მა-
ინც... უღონიერეს ათლეთად
მოიხსენიება. არსენ მეკოციშვი-
ლის ნათქვამია: „შალვა ჩიხ-
ლაძეს დიდი ხანია ვიცნობ.
გასაოცარი ძალის პატრონია.
შემიძლია თამამად ვთქვა, რომ
მსოფლიო ჭიდაობის ისტორიას
აქამდე არ ახსოვს ასეთი ღო-
ნიერი ათლეთი“. ამ აზრისანი
არაინ მირიან ცალქალამანძე,
ალექსანდრე მასური და სხვებ-
ი, პირველ ყოვლისა კი ისინი,
ვინც თავის თავზე გამოსცადა
ეს, შეიძლება ითქვას, ზეადა-
მიანური ძალა. რომ თქვა, ბუ-
ნებამ დაანათლაო, მთლად მა-
რთალი არ იქნება, შალვა ჩი-
ხლაძემ ეს ძალა თავადვე „გა-
მოზარდა“ და იმდენი „ელო-
ლიავა“, ვიდრე ორმოცი წლის
კაცი ოლიმპიურ კვარცხლბეკ-
ზე არ აიყვანა. ორმოცი წლის



ავიბადე 1912 წლის
12 ივლისს ქუთაი-
სში, მუშის ოჯახში.
მამა — კონსტანტი-
ნე ჩიხლაძე გარდა-
იცვალა 1940 წელს, დედა ფო-
ტინე დოლაბერიძე 1954 წელს.
ბავშვობაში გაჭირვებაში ვიზ-
რდებოდი, მშვიერ-მწყურვალი,
სიყმაწვილის წლებს რომ ვი-
გონებ, ახლაც ცრემლი მომდ-
ის... თორმეტფურცლიან, სი-
უვითლემეპარულ რვეულშია
მოქცეული შალვა ჩიხლაძის
ბიოგრაფიის ძუნწი ცნობები.
ეს რვეული ამას წინათ შალვას
ერთმა მეგობარმა გადმომცა.
მარტო რვეული კი არა, მთელი
ალბომი სურათებით, საბჭოთა



მოგზაურობა კულინარულ სამყაროში

საყოველთაოდ ცნო-
ბილია კვების საკით-
ხებით ადამიანების
დაინტერესება. ერო-
ვნული კულინარია დღეს სა-
ერთაშორისო ასპარეზზე გა-
დის. ამას წინათ ქართველმა
კულინარებმა ამერიკის შეერ-
თებულ შტატებში საპასუხო
სამზარეულოს დეკადა გამარ-
თეს და ამ ქვეყნის კულინარიის
აკადემიის უმაღლესი ჩილდო
— დიდი მედალი დაიმსახურეს.

ქართველ მზარეულებს სხვა-
დასხვა წლებში საზღვარგარე-
თის სხვა ქვეყნებშიც ჰქონდათ
ასეთი წარმატებული ტურნეე-
ბი.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა
ქვეყნებთან მჭიდრო კონტაქ-
ტების განვითარების კვალდა-
კვალ შესაბამისად იზრდება
კულინარიისადმი გლობალური
ინტერესი. ეს გასაგებია: ბევრს
სურს იცოდეს, რომელია
და რანაირი რეცეპტით მზად-
დება ამა თუ იმ ქვეყნის უპი-
რველესი ეროვნული კერძები,
რათა უცხოეთში მოხვედრისას
გემო გაუსინჯოს, ანდა თვითო-
ნაც დაეუფლოს მათი დამზად-
ების ხელოვნებას და შემდეგ-
ში, თუკი შესაძლებლობა მიე-
ცემა, სწორედ შესაბამისი ერო-
ვნული კერძით გაუმასპინძლ-

დეს თავის ქვეყანასა თუ სა-
კუთარ ოჯახში მოხვედრილ
უცხოელ სტუმარს.

ამ მაცდური, მაგრამ კეთ-
ილშობილური სურვილისაგან,
ცხადია, არც ქართველი კაცი
იქნება დაზღვეული, ვინაიდან
მას პირის გემო არ აკლია, ხო-
ლო სტუმარი ღვთის წყალობ-
ად მიაჩნია!

მკითხველთა სურვილების
გათვალისწინებით ჩვენმა შუ-
რნალმა შემოიღო ახალი რუ-
ბრიკა: „მოგზაურობა კული-
ნარულ სამყაროში“, სადაც
სისტემატურად გამოვაქვეყნ-
ებთ საინტერესო მასალებს
მსოფლიოს ყველა კონტინენ-
ტისა და რეგიონის (მათ შორის,
ცხადია, ქართულზეც) სამზარე-
ულოს ხასიათზე, ტრადიციებ-
სა და ტენდენციებზე, მათი უპი-
რველესი ეროვნული კერძე-
ბის რეცეპტებს, რჩევა-დარი-
გებებს, კულინარიულ სიახლე-
ებს...

* * *

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ
იტალიური ეროვნული კერძი
რამპიოლი ჩინური წარმოშო-
ბისაა, რომელიც XIII საუ-
კუნეში სახელგანთქმულმა მო-
გზაურმა მარკო პოლომ შეი-
ტანა თავის სამშობლოში. ფრან-




გული გემრიელი თევზის სუ-
პი ბუნიბანსიც ასევე ჩინეთი-
დან არის იმპორტირებული,
როგორც მაგალითად, თოფის
წამალი და ქოლგა.

ჩინელი მზარეულები კერძ-
ებს ამზადებენ განსაკვირვებ-
ელი სისწრაფითა და სიხალი-
სით, მიუხედავად იმისა, რომ
მათ სამზარეულოში სულის
შემხუთავი სიცხე ტრიალებს.
ისინი თითქმის არ ხმარობენ
კარაქს — მას ცვლის გადამდ-
ნარი ქონი და მიწის თხილის
ზეთი. აქ არაპოპულარულია
ხმოს ხორციც — უპირატესო-
ბა ეძლევა ღორს, იხვს, ქათ-
ამს, თევზს... კერძის მომზადე-
ბის ისეთ მარტივსა და ფართ-
ოდ გავრცელებულ ხერხს, რო-
გორიცაა ხარშვა, ძალიან იშ-

ვითად მიმართავენ და უფრო
ამჯობინებენ მოშუშვას, შებ-
რაწვას, შებოღვას, დაშაშვას.

ფესვგადგმულია შეხედულ-
ება — ყოველი ჩინელი მზა-
რეულად იზადებაო. იქნებ ამი-
ტომაცაა, რომ მსოფლიოს თი-
თქმის ყველა დედაქალაქში შე-
ხვდებით ჩინურ რესტორნებს,
რომლებსაც არასოდეს აკლია
სტუმარი. თვითონ ჩინეთში
ხომ სათვალავი არა აქვს რე-
სტორნებს: როგორც მდიდრ-
ულსა და ძვირადღირებულს,
ისე ოთხთვალაზე შესკუბეულ
მოძრავ პატარა რესტორნებსა
და ლუქან-სასაუზმეებს.

ქვეყნის უზარმაზარი ტერი-
ტორიისა და ეთნიკური სიჭრ-
ელის კვლობაზე ჩინური სამ-
ზარეულოც მეტად ძველი,



მოჭიდავე და ოლიმპიელი! შალვა ჩიხლაძე, მისი სპორტული ბიოგრაფია, ცხადია, ვერ თავსდება რიგითი სპორტსმენის ჩარჩოებში — სხვათაგვის მიუწვდომელი, მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. თითქმის ოცი წელიწადი გამოდიოდა დიდ სარბიელზე, ოთხჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, შვიდეჯერ — პრიზიორი, მოიგო ექვსი საერთაშორისო შეჯიბრება და როცა ავანსცენა უნდა დაეტოვებინა, სწორედ მაშინ მოაპოვა ყველაზე დიდი გამარჯვება — ჰელსინკში ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მიიღო. არადა, ოქრო მეუთვნიდა, ამტკიცებენ თვითმხილველები. იმდროინდელი პრესაც ამახ ადასტურებს. ფინალური შეხვედრა ფინელ გრენდალთან ფრედ და მთავრებულა, მსაჯებს, ნახევარსაათიანი თათბირის შემდეგ გრენდალისთვის მიუციათ გამარჯვება, მაყურებლებს კი შალვა ჩიხლაძე „უგვირგვინო ჩემპიონად“ მოუწოდებდა. ნუ დაგავიწყდებათ — გრენდალი მასპინძელი იყო.

ჩიხლაძეზე ლეგენდებს ჰყვებიან, ლეგენდა კი სპორტულ შედეგებზე სიცოცხლისუნარიანია. როცა ჭიდაობაში მოვიდა, სპორტი და მეცნიერება მწყურვალად იყვნენ ერთმანეთთან. შალვამ თვითონ შექმნა „მეცნიერება“, ვარჯიშის ორიგინალური რეჟიმი, რომელიც მის გარდა, ალბათ, არავის გამოუყენებია.

ორ-სამ წელიწადში ყველაფერი მოხიზა: ცურვა, ვებბურთი, ცხენოსნობა, ველოსიპედი, გირები, ჭიდაობა... შუა წამთარში რიონში ბანაობდა, ეზოში ზეწრისამარა ეძინო, ღერძა და ორძელს ტანმოვარჯიშისთვის ფლობდა.

ცხრა-ათი წლის ბიჭი იყო, პირველად რომ ნახა ჭიდაობა და მოჭიდავეები. მეზობელმა (სერგო ხელიძემ) წაიყვანა ცირკში. იმხანად ცირკში გამოდიოდნენ გამოჩენილი ფალავნები — მიშიკო მაჩაბელი, კოლია ქვარიანი, პოდუბნი, მედელაური, კლემენტ ბული, ბაშკიროვი... აი, მაშინ აიჩემა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს გავხდეთ. დღე როგორ გავლიდა, ორი-სამი საათი მარცხ რომ არ ევარჯიშა, თან ქუთაისის აგურის ქარხანაში მუშაობდა, მშობლებს ოჯახის რჩენაში ეხმარებოდა. შემდეგ გიორგი ქავთარაძესთან გააგრძელა ვარჯიში, იქიდან კი ვახტანგ კუხიანიძემ თბილისში ჩამოიყვანა... ოცი წლისა იყო, ცხოვრებამ სერიოზული გამოცდა რომ მოუწყო: ცხენმა უმუხთლა და სამუდამოდ დაუზიანდა მარცხენა იდაყვი. მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობდა, ექიმებმა კი საერთოდ აუკრძალეს ჭიდაობა... კარგა ხანს არ გაჰკარებია სარბიელს, ოფიციალურ ტურ-

ნირებს გაერიდა, თუმცა თავისთვის ვარჯიშობდა, სხეულს იკაშვებდა. სულიც ფოლადით ნაწრთობი ჰქონდა. კვლავ საჭიდაოდ გაუწია გულმა. დაუშალეს: რას შვრები, ხელი მოსაჭრელი გაგინდებაო. ის კი თავისას არ იშლიდა. სამ წელიწადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, „ცალხელა“ ჩემპიონი. ეს მოხდა 1936 წელს, ათი წლის შემდეგ დაიბრუნა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. იმხანად უკვე მოსკოვში ცხოვრობდა, იქ დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, იქიდან წავიდა ფრონტზე. ერთ-ერთი სადაზვერვო ოპერაციის დროს მარცხენა წინამხარში დაიჭრა (ისევ მარცხენა ხელი!) და რიანის ჰოსპიტალში მოხვდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მაგრამ სპორტისათვის თავის დაწებება არ უფიქრია. 1944 წელს საქართველოს ჩემპიონატში გაიმარჯვა და იმავე წელს კვლავ მოსკოვს გაემგზავრა, „დინამოში“ გააგრძელა ვარჯიში... შალვამ, როგორც უკვე ითქვა, 1946 წელს მეორედ მოიპოვა ქვეყნის, ჩემპიონის ტიტული, მერე — მესამედ, მეოთხედ. ამასობაში ჰელსინკის ოლიმპიადაც მოახლოვდა. აი, რას წერს დიმიტრი მისიაკოვი უფრანლ „სპორტ ვ სსრ“-ის ფურცლებ-

ზე: „როცა საბჭოთა კავშირის კლასიკური სტილის მოჭიდავე შალვა ჩიხლაძის უფროსმა მწვერთნელმა ვახტანგ კუხიანიძემ წიწველს ოლიმპიადაზე წამსვლელთა სია გამოაცხადა, არავის დაჰკვირვებია ქვემძიმე წონაში შალვა ჩიხლაძის დასახელება. ერთი შეხედვით, მწვერთნელის გადაწყვეტილება, საკმაოდ იყო — ჩიხლაძე იმ დროს უკვე... 40 წლისა გახლდათ. დამეთანხმებით, მეტად დიდი რისკია ასეთი „ასაკიანი“ სპორტსმენის იმეღზე ყოფნა იმ დროს, როცა გვყავს, მართალია, შედარებით გამოუცდელი, მაგრამ უფრო ახალგაზრდა, ღონიერი და ენერგიული მოჭიდავეები. შეძლებს კი შალიკო თავისი უპირატესობის დამტკიცებას? ...და მწვერთნელმა მაინც ჩიხლაძე დაასახელა. რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს გააკეთებს გუნდის დასახმარებლად“. ჩიხლაძემ მართლაც ყველაფერი გააკეთა ჰელსინკში და მსაჯების დასანანი „შეცდომა“ რომ არა...

ასე დასრულდა ქედმოუხრელი ფალავნის სპორტული კარიერა, ფალავანისა, რომლის ცხოვრების გზა სამაგალითოა ახალგაზრდობისათვის.

ელგუჯა ბერიშვილი.

როგ სკი — მოუუშული სორცი

200 გ. ღორის სორცი, 1 თავი ჩინური კომბოსტო, ქორფა ხახვის 4 ღერი, 2 კბილი ნიორი, 4 ს. კ. (სუფრის კოვზი) დაჭრილი მწვანელი, 1 ჭიქა სოკო, 1 ს. კ. სახამებელი, ნახევარი ჭიქა ზეთი, ნახევარი ჭიქა სორცის ბულიონი, მარილი.

სორცი დავჭრათ თხელ ნაჭრებად, კომბოსტოს ფოთლები — გარდიგარდმო, ხახვი, ნიორი და სოკო — წვრილად. მწვანელი ავურიოთ წყალში გაღვეფილ სახამებელში.

დიდ ტაფაზე შევათბოთ ზეთი, შევწვათ სორცი და შემწვარი ნაჭრები მივაცუროთ ტაფის ნაპირზე. მერე ერთმანეთის მიყოლებით ტაფაზე დავაწყეთ სოკო, ნიორი, კომბოსტო, მწვანე ხახვი, ერთმანეთში ავურიოთ და მოვშუშოთ. ბოლოს სორცი და ბოსტნეულიც ერთმანეთში ავურიოთ და დავამატოთ ადგვეფილი სახამებელი (აქ სორცის ბულიონის ხმარებაც შეიძლება). ათ წუთს მოვშუშოთ და მივიტანოთ სუფრაზე ფანტულა ბრინჯთან ერთად.

როგ უანი — შემწვარი ბრინჯი

1 ჭიქა წვრილად დაჭრილი მოხარშული სორცი, 3 ჭიქა მოხარშული, გაციებული ბრინჯი, 3 ს. კ. ზეთი, 2 კვერცხი, 1 ს. კ. დაჭრილი მწვანელი, 2 თავი ხახვი, მარილი.

ტაფაში გავაცხელოთ ზეთი, დავამატოთ ბრინჯი და 10 წუთის განმავლობაში ისე შევწვათ, რომ თან ვურიოთ. მერე დავამატოთ სორცი, მწვანელი, კვერცხები და ერთმანეთში გავქნათ. მაგიდაზე მიტანამდე მოვაცუროთ ხახვი.

კვერცხიანი შაშხი

400 გრ. შაშხი, 4 კვერცხი, 1 ჩ. კ. (ჩაის კოვზი) ფქვილი, 65 გრ. დაფხვნილი ორცხობილა, ცხიმი.

შაშხი წვრილად დავჭრათ, კვერცხები გავღვეფოთ და ფქვილი და ორცხობილა შევურიოთ. შემდეგ ამ მასისაგან დავამზადოთ მტრედის კვერცხისხელა გუფები და 3-4 წუთს შევწვათ ცხიმში.


იუ კუ ხარ ხინხ ხიარ მფანე წიწაპა სორციით

150 გ. ღორის მჭლე სორცი, 1 ჩ. კ. დაჭრილი მწვანელი, 1 ჩ. კ. სახამებელი, 6 ცალი ტკბილი ქორფა წიწაპა, 4 ს. კ. ზეთი.

სოუსი: 1 ს. კ. დაჭრილი მწვანელი, 1 ს. კ. სადესერტო ღვინო, 1 ჩ. კ. მარილი, 1 ჩ. კ. შაქარი.

სორცი თხლად დავჭრათ და მოვაცუროთ მწვანელი. გახსნილ სახამებელში ავურიოთ სორცი და ერთი საათით დავტოვოთ ასე. წიწაპა დავჭრათ სიგრძეზე და მოვავროთ ყუნწი და თესლი. ერთმანეთში ავურიოთ სოუსისათვის დანიშნული სურსათი, მაგრად გაცხელებულ ზეთში სორცი შევხანხლოთ 30 წამის განმავლობაში და მაშინვე ამოვიღოთ, როგორც კი ფერს შეიცვლის. იგივე ზეთი ხელახლა გავაცხელოთ და ახლა დაჭრილი წიწაპა ჩავყაროთ შივ და ისიც 30 წამს გავაჩეროთ, ოღონდ გამუდმებით ვურიოთ. დავამატოთ სორცი, მერე სოუსი და შევწვათ რამდენიმე წუთის განმავლობაში.

სორცი უნდა გახდეს რბილი, ნაზი, წიწაპა-ხრაშუნა.



თარაზულად: 1. დრამატული ნაწარმოები, რომელსაც სასაცილო სიუჟეტი აქვს; 6. დიდი გერმანელი კომპოზიტორი; 9. ბუნებრივი წყალსატევი; 10. მუსიკალური ფორმა, რომელშიც მთავარი თემა ხშირად მეორდება; 11. ირმის ნაშიერი; 12. მსოფლიოს ექსპედიციონი ჯადრჯუმი; 13. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა დესპანის მეთაურობით; 15. მდინარე რუსეთში; 18. მოკლე ალტეგორიული მოთხრობა; 19. აღმოსავლური საკრავი; 20. ბედნიერი შემთხვევა, იბალი; 21. სპორტის სახეობა; 23. ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთი, რომელიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებს; 24. მდინარე საფრანგეთში; 27. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 30. იალქანი; 33. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 34. ფრანგი პოეტი; 35. ფულის ერთეული რუმინეთში; 36. დიდი ამერიკელი გამომგონებელი; 37. ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა.

შვეულად: 1. სანადირო თოფის მსხვილი საფანტი; 2. იტალიელი მწერალი; 3. მდინარე ევროპაში; 4. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 5. მელოდია; 6. ვაზის გახვლისას საშერმისოდ დატოვებული კვირტიანი რქა; 7. სოფელი ყვარლის რაიონში; 8. შტატი ამერიკაში; 14. წვრილი ფული საფრანგეთში; 16. ცნობილი ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი; 17. ფრანგი კომპოზიტორი; 21. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 22. გვინეის დედაქალაქი; 24. გარეული ცხვარი, რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ზოგ კუნძულზე; 25. ფრანგი მწერალი; 28. საზიდრების, საბარგო მანქანების ქარავანი; 29. სახელმწიფო აზიაში; 31. ფულის ერთეული ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში; 32. სოფელი დუშეთის რაიონში.

კროსვორდი შეადგინა მარიამ ლუღუშაშვილი

„დროშა“ № 6-ში გამომქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. უნივერსიტეტი. 7. ვეკუა. 8. ზურიკელა. 11. ახალუხი. 13. ორაგული. 15. შარა. 17. პლაჟმა. 19. ალაო. 20. მარი. 23. აქტივი. 24. ეშვი. 26. ანაკლია. 28. მორელი. 29. ილარიონი. 30. მარაო. 32. პალეონტოლოგი.

შვეულად: 1. ბუდე. 2. ავშანი. 3. კარაზანა. 4. ბიოლოგია. 6. ტრიკო. 9. ახვლედიანი. 10. კლდიაშვილი. 12. ლაზი. 14. რუბაია. 15. შანიძე. 16. ავანსი. 18. აზარტი. 21. ეტლი. 22. ესკულაპი. 25. ვარიეტე. 27. ადიღე. 28. მამალი. 31. არმია.

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე; მათ ხსოვნას ქვეყანას სანთლებად აინთებს! ფოტოგრაფიული ელუარდ გიგლაშვილისა.

გადეცა წარმოებას 18.05.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.06.89. უე 09353 ქალაქის ზომა 70x108¹/₈. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 50.000 შევსება 1158. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ვარუჭოთ ერთმანეთს შეიჯიბი

მორის ფოცხიშვილი

დღე დგება უტყვი და უჩვევი, მენამულ ბილიკზე ვდგები, — ვარუჭოთ ერთმანეთს სიცოცხლე, გავუთბოთ ერთმანეთს ძვლები. თქვენს ლამაზ ფიქრებში ვიჭრები, თქვენს სარკმელს ვანყდები

თრთოლვით...

ვარუჭოთ ერთმანეთს წვიმები, ვარუჭოთ ერთმანეთს თოვლი.

ყველას სიყვარულში გიტყვებით, გლოცავთ და მიშრება ყელი, — ვარუჭოთ ერთმანეთს ტიტები, ვარუჭოთ ერთმანეთს ცრემლი!

გავუგოთ ერთმანეთს უკლებლივ, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, — ავუვსოთ ერთმანეთს გულები, სიყრმის და სიცოცხლის რწმენით!

მისამღერი:


ვპოვოთ ერთმანეთი ღვთის ნებით, სიტყვა გამოვნახოთ თბილი, — ლოცვით მიმოვყაროთ ნისლები, ფარად ავეფაროთ თბილისს!

ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები, შევუნყოთ ერთმანეთს ხმები, ვარუჭოთ ერთმანეთს ზღაპრები, ვარუჭოთ ერთმანეთს წლები.

ო, სისხლო, რა უცებ წყალდები, ო, გულო, რა უცებ თვრები, ვარუჭოთ ერთმანეთს თვალები, ვარუჭოთ ერთმანეთს ფრთები,

ხორხს ცხელი სიმღერით ვილადრავ, ვფხიზლობ და ვრურჩულებ: — ამინ! დავუთმოთ ერთმანეთს დილა და დავუთმოთ ერთმანეთს ღამე!

მისამღერი:



380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგებების 9328-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ფოტო ბადრი ვადაჭკორიასი

ქაშალ სართავრის მუსიკა

მე-ნაშურ ბი-რე-ზე ვფავში ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს
 წყვი წვე-ბი უბ-ყვი ვა უბ-ყვი
 ყვე-ღის სი-ყვას-სურ-ღში გი-ტყ-ფე-ბით.....

სი-ტყუბ-ღე გი-ვუთ-შით ერთ-მანეთს ჭყე-ში თქვე-ნს რამის ფუ-ტყ-ში ვი-ჭრე-ში თქვე-ნს სან-შეს ვარე-ში

თხით-ღვით ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს ნე-ბე-ში ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს თხე-ღი ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს

სი-ტყუბ-ღე გი-ვუთ-შით ერთ-მანეთს ჭყე-ში ვის-ქით ერთ-მანეთს

ღვთის ნუ-შით სიტყვ-ს გი-მთვ-ნა-ხით თბა-ღი ღოც-ვით მი-მთვ-ღან-ღვით ნახ-ღე-ში

ფა-სილ ა-ვე-ფ-როთ თბა-ღის ა-ვე-ნ-თით ერთ-მანეთს სანთ-ღე-ში შეკუ-ნ-ვით ერთ-მანეთს

სმენი ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს ზრან-ღე-ში ვა-სუ-ქით ერთ-მანეთს წყე-ში

652/98



069351 76056